ყვარლის მუნიციპალიტეტის „მედია ცენტრის“ გაზეთი
2023 წელი, 31 დეკემბერი, №14-15-16 (6577)

# ყვარელი

გამოდის 1932 წლიდან
ფასი 1 ლარი

## გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!




## ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

*30 ნოემბერს, ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა გივი ზაუტაშვილმა, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარუდგინა 2023 წელს მერიის მიერ გაწეული საქმიანობის შემაჯამებელი დეტალური ანგარიში.*

*ანგარიშის წარდგენას ესწრებოდნენ საკრებულოს დეპუტატები, მერიისა და მუნიციპალური ა (ა)იპ-ების სამსახურების ხელმძღვანელები.*

*მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, ანგარიშის გაზეთ „ყვარელში“ გამოქვეყნება, რათა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას მისი გაცნობის შესაძლებლობა მიეცეს.*

*საქართველოს ორგანული კანონისა და დემოკრატიული პრინციპების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი ანგარიშ-ვალდებულია წელიწადში ერთხელ, როგორც საკრებულოს წევრებს, ასევე მოსახლეობას გააცნოს მიმდინარე წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში.*

მოგეხსენებათ, ორი წლის წინ მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ გამომიცხადა ნდობა და მაქვს პატივი, ვემსახურო ჩემს მუნიციპალიტეტს, ჩემს ხალხს ჩემს გუნდთან ერთად.

ჩვენი უპირველესი საზრუნავი ხალხია, მათი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება და მაქსიმალურად ვცდილობთ, ჩვენს ხელთ არსებული ყველა რესურსი გამოვიყენოთ და აქეთ მივმართოთ.

### მმართველობის პოლიტიკა – მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობა

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში, დღეის მდგომარეობით 122 შტატია. დასაქმებულია სულ 117 თანამშრომელი, აქედან 3 პოლიტიკური თანამდებობის პირია, 10 სამსახურის ხელმძღვანელი, 9 განყოფილების უფროსი, 95 პროფესიული საჯარო მოხელე, 10 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. ვაკანტურია – 5 საშტატო ერთეული.

მიმდინარე წლის მაისის თვიდან დღემდე, ერთხელ განხორციელდა მერიის ახალი საშტატო ნუსხის ცვლილება/დამტკიცება.

2023 წლის განმავლობაში ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა 4 ღია და 5 დახურული ტიპის კონკურსი.

დღეის მდგომარეობით, გამოსაცდელი ვადით დასაქმებულია 4 პროფესიული საჯარო მოხელე.

განხორციელდა პროფესიულ საჯარო მოხელეთა სამუშაოს შეფასება, პროფესიული საჯარო მოხელის შეფასების დამტკიცებული წესის შესაბამისად. სამუშაო აღწერილობის მიხედვით განისაზღვრა თითოეული მოხელისათვის მასთან მისადაგებული კომპეტენციები და უნარები.

პროფესიული საჯარო მოხელის შეფასება ხორციელდება წელიწადში ერთხელ – საბოლოო შეფასების შედეგად, რომელიც მოიცავს ერთ შუალედურ შეფასებას (6 თვეში ერთხელ).

2023 წლის საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების გეგმის თანახმად, დაგეგმილია 30 პროფესიული საჯარო მოხელის გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით, აქედან ოთხი მათგანია მენეჯერული პოზიცია.

საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მომსახურების მიმართულებით, მიმდინარე წლის 1 იანვრიდან 11 ოქტომბრის ჩათვლით, სულ მომზადებულია 875 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი (ბრძანება).

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე, რეგისტრირებულია – 7643 განცხადება. აქედან, მატერიალური სახით შემოსულია – 2478, ელექტრონული ან/და მოქალაქის პორტალით (my. gov. ge) – 1700, ხოლო სამედიცინო მომსახურების დაფინანსების შესახებ – 3465 განცხადება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, 2023 წელს დამუშავდა და მომზადდა მერიის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ 260 ინფორმაცია (პოსტი), 76 გაზიარება, ანონსი და განცხადება, 20 ვიდეოსიუჟეტი, საინფორმაციო სააგენტოებთან გაგზავნილია 210 ნიუსი (Mak. ge – 150, Pia. ge – 25, Region. kvira. ge – 35).

მუნიციპალიტეტის გვერდზე განხორციელებული აქტივობა:
- 140 – პოსტი
- 75 გაზიარება
- 20 ვიდეოსიუჟეტი
- 13 379 გამომწერი.

მუნიციპალიტეტის მერის გვერდზე განხორციელებული აქტივობა:
- 120 პოსტი
- 5 გაზიარება
- 9 ვიდეოსიუჟეტი
- 2336 გამომწერი.

მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე განხორციელებული აქტივობა:
- 75 პოსტი.

გაგრძელება მე-2 გვ. -ზე



## საახალწლო ღონისძიებები მთავრობის ორგანიზებით

4 იანვარს, ყვარელში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით საახალწლო ღონისძიება გაიმართება.

ღონისძიების ჩატარების ადგილი: ილია ჭავჭავაძის ქუჩა, იუსტიციის სახლის მიმდებარე სკვერი

საახალწლო პროგრამის დასაწყისი: 14:00 საათი

14:00-19:00 – საშობაო ბაზრობა: ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა, გლინტვეინი და საახალწლო ნუგბარი.

14:00-9:00 – ელფების სახელოსნო: საახალწლო ფიგურების დამზადება.

14:00-19:00 – საბავშვო გასართობი სივრცე: თამაშები ყველა ასაკის ბავშვებისთვის, თოვლის პაპა და საჩუქრები.

14:00-18:00 – მუსიკალური კარნავალი, თეატრალიზებული მსვლელობა ზღაპრის გმირებით.

14:00-18:00 – თოვლის პაპას ფოსტა: საახალწლო ღია ბარათების გაგზავნა საქართველოში და საზღვარგარეთ.

14:00-18:00 – ღია კინოთეატრი: საახალწლო ფილმების ჩვენება.

18:00-20:00 – საღამოს კონცერტი: ანსამბლი „ჰერიო“, მასტერი, ბენდი „მიქსტურა“.

ღონისძიების წამყვანი – თაკო ჩორგოლაშვილი.

20:00 – საზეიმო ფოიერვერკი.

ერთად აღვნიშნოთ ახალი წლის დღეები საქართველოში.

## ბავშვთა ფეხბურთს უნდა მიექცეს მნიშვნელოვანი ყურადღება, რომ აღიზარდონ კვარაცხელიას მსგავსი სასახელო ფეხბურთელები



*82 წელი შეუსრულდა ჩვენს თანამოქალაქეს, ღირსეულ პიროვნებას, წარსულში შესანიშნავ სპორტსმენს, დურუჯის ფეხბურთელთა საიმედო მეკარეს* დავით სომხიშვილს.

*დავითმა რთული და შინაარსიანი გზა გაიარა, რომელიც აღსავსე იყო სირთულეებითა და მოულოდნელობებით, წარმატებებითა და მრავალგზის სიხარულით.*

*ომამდე დათოს ოჯახი ახმეტის რაიონის სოფელ მატანში ცხოვრობდა მშვენიერ სახლსა და კარმიდამოში. ჰქონდათ გეგმები, იმედები და რწმენა უკეთესი*

გაგრძელება მე-7 გვ. -ზე

## გასხვლა სპეციფიკური აგროღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ცოდნას და გამოცდილებას...

*გასხვლა – მეტად მნიშვნელოვანი აგროტექნიკური ღონისძება უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. სხვლის მიზანს შეადგენს ყოველწლიური რეგულარული და ხარისხიანი მოსავლის მიღება, რქის დროული მომწიფებისათვის პირობების შექმნა.*

*ცნობილია, რომ გაუსხვლელად ვაზს ბევრი და გრძელი რქა უვითარდება, მცირდება მოსავლიანობა, ახასიათებს დაბალი სიმწიფე, ნაკლები სიტკბო და მეტი მჟავიანობა, ხოლო ყურძნის მარცვალი წვრილი და უხარისხოა. გასხვლით კი ეს უარყოფითი მაჩვენებლები დადებითად იცვლება.*

*მევენახე ფერმერების დახმარების და ცოდნის გაღრმავების მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყვარლის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის სპეციალისტს* მამუკა ბერიაშვილს *ვთხოვეთ ინტერვიუს ჩასაწერად დრო გამოენახა და ამ თემაზე მომზადებული კითხვებისთვის პასუხი გაეცა.*

**– ბატონო მამუკა, მსხვლელმა რა გარემოებებს უნდა მიაქციოს ყურადღება?**

– ვაზის კულტურას ბუნებრივ პირობებში შეუძლია დიდ ზომებს მიაღწიოს. თავისუფლად გაშენებული ვაზის რქა ძლიერ იზრდება, იტოტება, მაგრამ მარცვლები წვრილი აქვს, მწიფდება არათანაბრად და მოსავალიც არამყარი აქვს. ვაზის გასხვლა წარმოადგენს ცალკეული ორგანოების ნაწილობრივ ან მთლიანად

გაგრძელება მე-8 გვ. -ზე



# ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში





დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

ოქტომბრის თვეში, „ღვინის დღეებთან“ დაკავშირებით მომზადდა 6 სიუჟეტი, რომელიც სხვადასხვა ტელეკომპანიის ეთერში გავიდა.

მიმდინარე წლის განმავლობაში, „მაესტრო რეგიონების“ პირდაპირ ეთერში, ხუთჯერ განხორციელდა მერისა და მერის მოადგილის პირდაპირ ეთერში ჩართვა.

მუნიციპალიტეტის მერიაში ამოქმედებულია „ცხელი ხაზი“, რომლის საშუალებითაც მუნიციპალიტეტის მოქალაქეებს, მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხებთან დაკავშირებით მიეწოდებათ შესაბამისი ინფორმაცია. ამ დროისათვის სულ 90 მოქალაქის ზარი შემოვიდა და აქედან 90% დაკმაყოფილდა.

2023 წლის იანვრიდან დღემდე მერთან შეხვედრაზე იყო სულ 93 მოქალაქე.

## ბიუჯეტი

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ. ა“. ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 22 დეკემბრის №26 დადგენილებით ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 17308,8 ათასი ლარით.

2023 წლის 1 იანვრისათვის ყვარლის მუნიციპალიტეტის გარდამავალი ნაშთი შეადგენდა 3899,2 ათას ლარს, რაც 2023 წელს განხორციელებული 6 ცვლილებით განაწილდა ბიჯეტში.

ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებებისა და დამატებების შედეგად, 2023 წლის ბიუჯეტი 9 თვის მდგომარეობით, ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვრა 24179,0 ათასი ლარით.

## 2023 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტული მიმართულებები

ყვარლის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების, პროგრამების, მათი აღწერის, მოსალოდნელი შედეგებისა და შეფასების ინდიკატორები ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებებს (BBD) დოკუმენტთანაა შესაბამისობაში. (პრიორიტეტის) დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი გეგმის შესახებ. ბოლო წლებში ქვეყნის ბიუჯეტის დაგეგმვის პროგრამულ ფორმატზე გადასვლამ საშუალება მოგვცა ყვარლის მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტი შეგვედინა ახალ, პროგრამულ ჭრილში,რამაც განაპირობა შედეგებზე ორიენტირებული ბიუჯეტის შედგენა.

პრიორიტეტების დოკუმენტი მომზადდა „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივნისის N385 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

ყვარლის მუნიციპალიტეტის 2023-2026 წლებში ძირითად პრიორიტეტებად განსაზღვრულია:

- ინფრასტრუქტურის განვითარება;
- დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- განათლების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდობის, კულტურისა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

## შესყიდვები

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე სულ გამოცხადდა 136 ელექტრონული ტენდერი. აქედან 63 ტენდერი გამოცხადდა სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, ხოლო 73 ტენდერი საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით. მიმდინარე წელს არ შედგა 44 ტენდერი (ანგარიშგასაწევია, რომ ერთი და იგივე ტენდერი გამოცხადებულია რამდენჯერმე), 7 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით (დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს მიენიჭა დისკვალიფიკაცია). არ გვაქვს არცერთი „შეუსრულებელი ხელშეკრულების“ სტატუსის მქონე ტენდერი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ტენდერების გარკვეული ნაწილი მიმდინარე პროცესშია, ასევე „შესრულებული ხელშეკრულება“ სტატუსის მქონე 3 ტენდერი და 4 „შეწყვეტილია“ სტატუსის მქონე ტენდერი (ტენდერის შეწყვეტა ხდება სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე დოკუმენტაციაში გარკვეული ცვლილებების შეტანის მიზნით).

16 ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა საინჟინრო მომსახურებების (71300000) შესყიდვის მიზნით. აქედან შედგა და ხელშეკრულება გაფორმდა 6 ტენდერში, ხოლო 8 ელექტრონული ტენდერი არ შედგა, 1 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. 1 ტენდერი გამოცხადდა და ხელშეკრულება გაფორმებულია შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფთან“ საზედამხედველო მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით.

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე გაფორმებულია 99 ხელშეკრულება გამარტივებული შესყიდვის გზით, საქონლისა და მომსახურების შესყიდვის მიზნით, ხოლო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, გამარტივებული გზით გაფორმდა მხოლოდ 2 ხელშეკრულება – „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება“ საფუძვლით.

2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე CMR მოდულში გადაუდებელი აუცილებლობით გაფორმდა 2 ხელშეკრულება (ბულდოზერის დაქირავება). „ხარისხის გაუარესება“ სტატუსით 4 ხელშეკრულება (მერიის ბალანსზე მყოფი ექსკავატორ – დამტვირთველისთვის სარეგლამენტო სერვისის შესყიდვა), „სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიება“ საფუძვლით – 5 ხელშეკრულება და „წარმომადგენლობითი ხარჯები“ საფუძვლით დარეგისტრირდა 16 დოკუმენტი და ხელშეკრულება (ყვარლის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ღონისძიებებთან დაკავშირებით ჩამოსული სტუმრების გამასპინძლებისათვის სარესტორნე მომსახურებისა და ვიზიტებისთვის საჩუქრების შესყიდვა).

## ინფრასტრუქტურული პროექტები

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიმდინარე წელს დაფინანსებულია 10 პროექტი, ჯამური ღირებულებით – 4 697 617 ლარი.

ამ დროისათვის დასრულებულია ექვსი პროექტი. სამუშაოები მიმდინარეობს ოთხ პროექტზე.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული (დასრულებული) პროექტები:

1. დასრულდა სოფელ ახალსოფელში სპორტული დარბაზის მშენებლობის სამუშაოები. სრული სახელშეკრულებო ღირებულება – 1 890 881 ლარი;

2. დასრულდა სოფელ შილდაში №2 საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია. სრული სახელშეკრულებო ღირებულება – 977 777 ლარი;

3. დასრულდა სოფელ გრემში სასმელი წყლის სადრენაჟო სისტემისა და რეზერვუარის რეაბილიტაცია. სრული სახელშეკრულებო ღირებულება – 188 041 ლარი;

4. დასრულდა ქ. ყვარელში „ილიას ტბის“ მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. სრული სახელშეკრულებო ღირებულება – 835 068 ლარი;

5. დასრულდა სოფელ ჭიკაანში „ღვთისმშობლის“ სახელობის ეკლესიასთან მისასვლელი გზის მოასფალტება. სრული სახელშეკრულებო ღირებულება – 559 900 ლარი. დაიგო 1780 გრძივი მეტრი ორფენოვანი ასფალტის საფარი;

6. დასრულდა სოფელ საბუეში „გორისძირის“ უბანთან მისასვლელი გზის მოასფალტება. სრული სახელშეკრულებო ღირებულება – 754 140 ლარი. დაიგო 1200 გრძივი მეტრი ასფალტის საფარი, მოეწყო კიუვეტები, შესასვლელებში კი ცხაურები.





რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსებული (მიმდინარე) პროექტები:

1. მიმდინარეობს სოფელ სანავარდოში შიდა საუბნო გზის მოასფალტება.

სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 472 352 ლარი;

2. მიმდინარეობს ქალაქ ყვარელში, არიხაურის არხის მესამე მონაკვეთის რეაბილიტაცია. სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 179 999,9 ლარი;

3. მიმდინარეობს სოფელ თივთან მისასვლელი გზის მეორე მონაკვეთის მოასფალტება. სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 365 265 ლარი;

4. მიმდინარეობს სოფელ ჩანტლისყურესთან მისასვლელი გზის მოასფალტება. სრული სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 319 419 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მიერ დაფინანსებული პროექტები – დაგეგმილი იყო 11 პროექტი. მათი ჯამური სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 1 186 042 ლარს. საანგარიშო პერიოდში დასრულებულია ხუთი პროექტი. დანარჩენ ექვს ობიექტზე მიმდინარეობს სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში დასრულებულია ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული 10 პროექტი:

1. დასრულდა ქალაქ ყვარელში „ახალგაზრდობის სკვერის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება – 80 907 ლარი;

2. დასრულდა ქალაქ ყვარელში წანარების ქუჩის სამხრეთით ანაკრები რკინა-ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 25 766 ლარი;

3. დასრულდა სოფ. ბალღოჯიანში მისასვლელი მოასფალტებული გზის მონიშვნა და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები. სახელშეკრულებო ღირებულება – 23 376 ლარი;

4. დასრულდა ქალაქ ყვარელში, მუნიციპალიტეტის მერიის შენობის მისაღებში, დაცვის ჯიხურისა და შუშის მოაჯირის (ბარიერის) მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 29 950 ლარი;

5. დასრულდა ქალაქ ყვარლის შემოსასვლელში 25-მეტრიანი სადროშე ბოძის მიწოდება/მონტაჟი. სახელშეკრულებო ღირებულება – 29 900 ლარი;

6. დასრულდა ქ. ყვარელში „ბოგირის“ სკვერის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება – 233 650 ლარი;

7. დასრულდა სოფელ მთისძირში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება – 55 955 ლარი;

8. დასრულდა ქ. ყვარელში, ბესიკის ქუჩაზე, სკვერის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 250 000 ლარი;

9. დასრულდა ქ. ყვარელში, მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობის სახურავის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 293 994 ლარი;

10. დასრულდა ქ. ყვარელში სასაფლაოს შესასვლელის კეთილმოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 90 070 ლარი.

საანგარიშო პერიოდში მიმდინარეა ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსებული 1 პროექტი:

1. ქ. ყვარელში, რუსთაველის ქუჩის I შესახვევში, მიმდინარეობს სანიაღვრე არხის მოწყობა და სავალი ნაწილის მოხრეშვა; ასევე, ნინიკას ქუჩაზე მიმდინარეობს სანიაღვრე არხის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება – 69 474 ლარი;

2023 წელს სოფლის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ყვარლის მუნიციპალიტეტისათვის,მთავრობის განკარგულებით გამოყოფილია 326 000 ლარი, თანადაფინასების სახით განსაზღვრულია 648 252 ლარი. გამოვლენილია პრიორიტეტები და საკრებულოს მიერ დამტკიცებულია განსახორციელებელი პროექტების ნუსხა. გამოცხადდა ტენდერი და მოხდა საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა. სულ ამ პროგრამით შესასრულებელია 25 პროექტი. თერთმეტი მათგანი დასრულებულია, სამუშაოები მიმდინარეობს 11-ზე. სამ პროექტზე გამოცხადებულია ტენდერი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასრულებული პროექტები:

1. სოფ. მთისძირში დასრულდა სკვერის კეთილმოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 47 511 ლარი;

2. სოფ. ახალსოფელში დასრულდა გარე განათების სისტემის მოწესრიგება. სახელშეკრულებო ღირებულება – 24 489 ლარი;

3. სოფ. შილდაში დასრულდა მინი სტადიონის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება – 38 000 ლარი;

4. სოფ. შილდაში დასრულდა სასაფლაოს ნაწილის შემოღობვა. სახელშეკრულებო ღირებულება – 19 068 ლარი;

5. სოფ. ენისელში დასრულდა აღდგომის ეკლესიასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (მოხრეშვა). სახელშეკრულებო ღირებულება – 53 763 ლარი;

6. სოფ. საბუეში დასრულდა სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტება. სახელშეკრულებო ღირებულება – 59 996 ლარი;

7. სოფ. გრემში დასრულდა სკვერის კეთილმოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 43 840 ლარი;

8. სოფ. საცხენეში დასრულდა შოროხი-საცხენეს დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება – 24 440 ლარი;

9. სოფ. თივში დასრულდა სპორტული მოედნის შემოღობვა. სახელშეკრულებო ღირებულება – 25 183 ლარი;

10. სოფ. ჩანტლისყურეში დასრულდა სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 47 950 ლარი;

11. სოფ. შაქრიანში დასრულდა გარე განათების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 23 023 ლარი;

12. სოფ. ბალღოჯიანში დასრულდა არსებული სკვერის კეთილმოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 45 889 ლარი;

13. სოფ. შაქრიანში დასრულდა სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა. სახელშეკრულებო ღირებულება – 8 894 ლარი;

გაგრძელება მე-3 გვ.-ზე

დასაწყისი მე-2 გვ.-ზე

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიმდინარე პროექტები:

1. სოფ. ახალსოფელში მიმდინარეობს №1 საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგება. სახელშეკრულებო ღირებულება – 24 337 ლარი;

2. სოფ. ჭიკაანში მიმდინარეობს ფეხბურთის მოედნის რეაბილიტაცია. სახელშეკრულებო ღირებულება – 53 000 ლარი;

3. სოფ. გავაზში მიმდინარეობს სასმელი წყლის საუბნო ქსელების მოწყობა არსებული ჭაბურღილიდან. ასევე, გადასასვლელი ბოგირების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 59 331 ლარი;

4. სოფ. სანავარდოში მიმდინარეობს სასმელი წყლის საუბნო ქსელების მოწყობა სამარაგო რეზერვუართან ერთად. სახელშეკრულებო ღირებულება – 47 453 ლარი;

5. სოფ. თხილისწყაროში მიმდინარეობს სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 26 787 ლარი;

6. სოფ. შოროხში მიმდინარეობს სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 33 164 ლარი;

7. სოფ. თივში სასმელი წყლის დრენაჟის რეაბილიტაცია. გამოცხადებულია ტენდერი;

4. სოფ. სანავარდოში მიმდინარეობს სასმელი წყლის საუბნო ქსელების მოწყობა სამარაგო რეზერვუართან ერთად. სახელშეკრულებო ღირებულება – 47 453 ლარი;

5. სოფ. თხილისწყაროში მიმდინარეობს სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 26 787 ლარი;

6. სოფ. შოროხში მიმდინარეობს სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 33 164 ლარი;

7. სოფ. თივში სასმელი წყლის დრენაჟის რეაბილიტაცია. გამოცხადებულია ტენდერი;

8. სოფ. ზინობიანში მიმდინარეობს სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია (წყლის რეზერვუარის მოწყობა). სახელშეკრულებო ღირებულება – 32 946 ლარი;

9. სოფ. წინწკანაანთსერში მიმდინარეობს სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოხრეშვა და სარწყავ-სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 42 420 ლარი;

10. სოფ. კუჭატანში მიმდინარეობს სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხების მოწყობა. სახელშეკრულებო ღირებულება – 43 291 ლარი;

11. სოფ. ალმატში სარწყავი არხის რეაბილიტაცია. გამოცხადებულია ტენდერი;

12. სოფ. გრძელიჭალაში გზების მოხრეშვის სამუშაოები. გამოცხადებულია ტენდერი.

## საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროგრამა

სკოლების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ერთი პროექტი – სოფელი გრემის საჯარო სკოლის შენობის გათბობის სისტემის მოწყობა. სამუშაოები დასრულებულია, ღირებულება – 84 443 ლარი.

## საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა (PIRDP)

1. დასრულდა ქალაქ ყვარელში, „ილიას გორაზე“, ილია ჭავჭავაძის ძეგლის მიმდებარედ ტურისტულ-რეკრეაციული არეალის მოწყობის სამუშაოები. სახარჯთაღრიცხვო ღირებულება – 1 687 372 ლარი.

## სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მთავრობის განკარგულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ყვარლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1 390 000 ლარი. მათ შორის:

1. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ გავაზში „მდ. ჩანტალი“-ს არხის ბეტონის კალაპოტის მოწყობის სამუშაოებისათვის – 971 750 ლარი;

2. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მდინარის ხეობაში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სადრენაჟე ნაგებობის დამცავი ქვის გაბიონის მოწყობის სამუშაოებისათვის – 219 210 ლარი;

3. ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფელში მდინარის ხეობაში, სტიქიის შედეგად დაზიანებული სასმელი წყლის სადრენაჟე ნაგებობის დამცავი ქვის გაბიონის მოწყობის სამუშაოებისათვის – 122 199 ლარი;

4. ივლისის სტიქიით დაზიანებული სამი საცხოვრებელი სახლის სახურავის რეაბილიტაცია – 34 000 ლარი;

5. ივლისის სტიქიით დაზიანებული სახლების სახურავებისათვის პროფილირებული თუნუქისა და ხე-მასალის შეძენა – 46 000 ლარი.

რაც შეეხება 17 სექტემბრის სტიქიით დაზიანებულ საცხოვრებელი სახლების სახურავებს, მთავრობის განკარგულების თანახმად, ყვარლის მუნიციპალიტეტს გამოეყო 4 მილიონ 300 000 ლარი და ეტაპობრივად განხორციელდება მათი რეაბილიტაცია.

## სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები

ყვარლის მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების 2023 წლის ბიუჯეტი განსაზღვრული იყო 1 010 800 ლარით.

მიმდინარე წელს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს დაეწერა და განხილული იქნა 3440 განცხადება, აქედან დადებითად დაკმაყოფილდა 2804 განცხადება. სამსახური 2023 წლის განმავლობაში ახორციელებდა შემდეგ პროგრამებს:

## მრავალშვილიანი და ახალშობილ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა

მუნიციპალიტეტის მერია მრავალშვილიან ოჯახებზე (რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და აქედან სამი მათგანი მაინც არის არასრულწლოვანი) ახორციელებს სადღესასწაულო დღეებში, წელიწადში სამჯერ, ფულადი საჩუქრის გაცემას. დახმარებას იღებს 116 მრავალშვილიანი ოჯახი. სულ გახარჯულია – 26 300 ლარი.

## ახალშობილთა ოჯახების დახმარება

ახალშობილთა ოჯახებზე ფინანსური დახმარების გაცემა შესაძლებელია: პირველ ბავშვზე – პირველ და მეორე ბავშვზე – 300 ლარი. დახმარება მიიღო 146 ოჯახმა. გახარჯულია – 40 850 ლარი.



## სარიტუალო მომსახურების დაფინანსების პროგრამა

სარიტუალო დახმარების პროგრამიდან ფინანსური დახმარების მიღება განსაზღრულია 300 ლარის ოდენობით. დახმარება გაეწია 58 ოჯახს. სულ მიმდინარე წელს გახარჯულია – 16 550 ლარი. დაღუპულ მებრძოლთა სარიტუალო ხარჯები – 7 ოჯახზე – 3 050 ლარი.

## დროებითი საცხოვრებლის ქირის თანხით დახმარების პროგრამა

ხანძრით, მიწისძვრით, ბუნებრივი კატასტროფითა და სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახების, ასევე იმ ოჯახების დახმარება, რომელთა ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს.

ასევე, მარტოხელა მშობლები, შშმ პირთა ოჯახები; ძალადობის მსხვერპლი პირები; 18-21 წლის ახალგაზრდები, რომლებიც გასულნი არიან სახელმწიფოს ზრუნვიდან ბოლო ერთი წლის განმავლობაში.

მუნიციპალიტეტი ამ ეტაპზე ეხმარება 21 უსახლკარო ოჯახს. გახარჯულია – 20 980 ლარი.

## სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებში (0-დან 1,5 წლამდე ასაკის ბავშვების) მოვლისთვის საჭირო საგნებისა და საკვების შესაძენი თანხით დახმარების პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების დახმარებას, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 70 000-ს. კვების სახელმწიფო პროგრამაში ჩართვამდე დახმარების თანხა განისაზღვრება ყოველთვიურად, არაუმეტეს 150 ლარისა. ამ ეტაპზე ვეხმარებით 27 ოჯახს. გახარჯულია – 4 000 ლარი.

## ზამთრის სეზონზე ოჯახების სათბობი საშუალებების დაფინანსება

პროგრამიდან დაფინანსების მიღება შეუძლიათ ყვარლის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ პირებს (მარტოხელა პენსიონერი, მარტოხელა დედა, მრავალშვილიანი ოჯახი, ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ შშმ პირი), რომელთა სარეიტინგო ქულაც არ აღემატება 120 000-ს. თითოეული – 150 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე დახმარება გაეწია 195 ბენეფიციარს. გაიხარჯა – 29 700 ლარი.

## ერთჯერადი ფინანსური დახმარება

ერთჯერადი ფულადი დახმარება იმ შემთხვევაში ეძლევა, როდესაც პაციენტი (ონკოლოგიური) საჭიროებს სამედიცინო კვლევის ჩატარებას საზღვარგარეთ და ვერ ხდება დაფინანსებული თანხის კონკრეტულ კლინიკაში ჩარიცხვა, პაციენტის მიერ ან/და საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილებით, ქვეპროგრამით გამოყოფილი თანხა ჩაირიცხება პაციენტის ან/და საამისოდ უფლებამოსილი პირის პირად ანგარიშზე. ერთჯერადი ფულადი დახმარებით ისარგებლა 5-მა ოჯახმა. გახარჯულია – 3 900 ლარი.

## მარტოხელა დედის ელექტროენერგიის თანხით დაფინანსება

მარტოხელა დედის ელექტროენერგიის თანხით დაფინანსება ყოველთვიურად 10 ლარის ოდენობით. 3 ოჯახზე გახარჯულია – 180 ლარი.

## სასწრაფო-სამედიცინო მომსახურების დაფინანსების ქვეპროგრამა

პროგრამა მოიცავს როგორც კვლევების, ასევე ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსებას. დახმარება გაეწია 708 პაციენტს. გაიხარჯა – 264 106 ლარი.

## ონკოლოგიური დაავადებების მქონე პაციენტების მომსახურება

დახმარება გაეწია 218 პაციენტს. გაიხარჯა – 141 952 ლარი;

## დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა

პროგრამა ითვალისწინებს თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარებას, რომლებიც ჩართული არიან სახელმწიფო პროგრამაში. დაავადებულ პირთა ტრანსპორტირების თანხა განისაზღვრება ყოველთვიური 200 ლარის ოდენობით. პროგრამაში ჩართულია 27 პაციენტი. გახარჯულია – 49 950 ლარი.



## ეპილეფსიითა და ცერებრალური დამბლით დაავადებული პაციენტების დახმარების პროგრამა

მუნიციპალიტეტის მერია აღნიშნული დიაგნოზის მქონე პაციენტებს წელიწადში ოთხჯერ 100 ლარით ეხმარება. დახმარება გაეწია 101 პაციენტს. გახარჯულია – 40 100 ლარი.

## იშვიათი თანდაყოლილი, მძიმე პათოლოგიის მქონე ბავშვების დახმარების პროგრამა

პროგრამით ფინანსდებიან იშვიათი თანდაყოლილი დაავადებების მქონე პაციენტები, როგორიცაა ჰემოფილია, ცელიაკია, ფენილკეტონურია და სხვა. აღნიშნული პროგრამით სარგებლობს 8 ბავშვი. გახარჯულია – 6 800 ლარი.

## 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა დახმარება

18 წლამდე ასაკის დაუნის სინდრომის, 7 წლამდე ასაკის ბავშვთა ადრეული განვითარების შეფერხებისა და აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია-აბილიტაციის თანადაფინანსება. აბილიტაციის პროგრამით მუნიციპალიტეტის მერია ეხმარება 43 პაციენტს. გახარჯულია – 19 896 ლარი.

## სოფლის განვითარებისა და მიგრაციის შეჩერების ხელშეწყობის პროგრამა

სოფლის განვითარებისა და მიგრაციის შეჩერების ხელშეწყობის მიზნით, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულად ყველაზე დასახლებულ სოფლებში ბავშვიანი ოჯახების დახმარება განისაზღვრა ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით. 2 ოჯახზე გახარჯულია – 1 200 ლარი.

## საერთაშორისო და მუნიციპალიტეტთაშორისი თანამშრომლობა, ტურიზმი საგარეო ურთიერთობები

მიმდინარე წელს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიამ და მასთან დამეგობრებულმა პლუნგეს მუნიციპალიტეტმა (ლიეტუვას რესპუბლიკა) იმუშავეს ერთობლივ პროექტზე, რომელიც უნდა განხორციელდეს ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით და რომელიც გულისხმობს ერთი მხრივ, ფორუმის ორგანიზებას, ხოლო მეორე მხრივ, გამოცდილების გაზიარებას საჯარო მმართველობისა და ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

## საერთაშორისო პროექტები

მუნიციპალიტეტის მერიამ გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამის – ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (CESL) ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა და მოიპოვა დაფინანსება (100 000 ევრო) ქ. ყვარელში „9 აპრილის სკვერის“ რეაბილიტაციისათვის.

პროექტის ჯამური ღირებულება შეადგენს 350 000 ლარს.

## ტურიზმი

იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის მომსახურებით ისარგებლა 28 122 ვიზიტორმა. აქედან:

- შიდა ტურისტი 13 015 (ქართველი);
- უცხოელი – 15 107.

მიმდინარე წელს ინტენსიურად მიმდინარეობდა ილიას ტბის სკვერისა და ამფითეატრის რეაბილიტაცია. ასევე სხვა რეკრეაციული სკვერებისა და პარკების განახლება, რამაც კიდევ უფრო მიმზიდველი გახადა ყვარელი, როგორც ადგილობრივებისთვის, ისე ვიზიტორებისათვის.

2023 წლის 8 ოქტომბერს ყვარელმა უმასპინძლა „ღვინის დღეებს“.

## ეკონომიკა, ქონების მართვა, სტატისტიკა

2023 წელს მუნიციპალიტეტში გამოცხადდა 1 პირობიანი აუქციონი. კერძოდ:

ქ. ყვარელში, ყოფილი პ/ამბულატორის შენობის პრივატიზება პირობით: მყიდველმა 3 წლის განმავლობაში უნდა ჩადოს არანაკლებ 1 000 000 ლარის ინვესტიცია და განახორციელოს სამედიცინო მომსახურება როგორც სტაციონალური, ასევე ამბულატორიული მიმართულებით.

ამასთან, გამოცხადებულია 2 უპირობო აუქციონი, აქედან ერთი ჩატარებულია კერძოდ:

სოფ. ახალსოფელში მდებარე 15 კვ. მ. არასასოფლო მიწის (ს/კ 57. 02. 56. 000. 296) პრივატიზება, რომელიც გაიყიდა – 1900 ლარად;

ჩატარდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1995 და 1993 წელს გამოშვებული 2 ავტომანქანა FORD TRANSIT – ის პრივატიზება.

გაფორმდა ჩუქების ხელშეკრულება, შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასა და ყვარლის მუნიციპალიტეტს შორის ნარჩენების შესაგროვებელი ტექნიკა (შემგომში – „ქონება“) ღირებულებით 511 264,69 (ხუთასთერთმეტიათასორასსამოცდაოთხი ლარი და 69 თეთრი).

ამასთან, გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება ყოფილი ალმასკომის შენობის მე-3 სართულზე, სოფ. ახალსოფელში ა (ა)იპ საქართველოს ძიუდოს ეროვნულ ფედერაციასთან, და ა (ა)იპ წითელი ჯვრის საზოგადოებასთან.

2 წლით სასყიდლიანი იჯარით გაიცა ილიას ტბაზე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება შპს „მუსიკის კუნძული“-ს შორის (დირექტორი – მიხეილ ხუნდაძე), და გაგრძელდა ხელშეკრულება შპს აი-სპეისთან ელექტრო-ავტომობილების მფლობელთა ელექტრო-დამტენით სარგებლობისთვის.

აქტიურად ვთანამშრომლობთ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან სახელმწიფო პროექტის ფარგლებში უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

ყველა შემოსული წერილი, მუშავდება მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ერთად ეკონომიკის სამსახურის ჩართულობით. ასევე, მნიშვნელოვანია ჩვენი თანამშრომლობა როგორც სახელწიფო ქონების ეროვ-

გაგრძელება მე-4 გვ.-ზე

# ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის საქმიანობის შემაჯამებელი ანგარიში

დასაწყისი მე-3 გვ.-ზე

ნულ სააგენტოსთან, ასევე სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციასთან.

### სპორტისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობა

ახალგაზრდების დასვენების, ჯანსაღი ცხოვრებისა და განათლების ხელშეწყობისთვის აგვისტოს თვეში საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროექტის ფარგლებში 14-18 წლის ახალგაზრდებისთვის გვქონდა ბანაკების პროგრამა, კერძოდ ორ ნაკადად 18 ახალგაზრდის გამგზავრება ბანაკ „ანაკლიაში", სადაც ახალგაზრდებმა დასვენების ფონზე სხვადასხვა აქტივობებში მიიღეს მონაწილეობა.

ახალგაზრდების ჯანსაღი ცხოვრებისა და განვითარების ხელშეწყობისთვის გარკვეული მუშაობა იქნა გაწეული: კერძოდ 2017 წლისთვის თუ ბიუჯეტი სპორტისთვის ხარჯავდა 420,0 ათას ლარს დღეისათვის ხარჯები გაიზარდა და მიაღწია 1041,6 ათას ლარს. მუნიციპალიტეტში კულტივირებულია სპორტის 11 სახეობა (ფეხბურთი, ფრენბურთი, თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ქართული ჭიდაობა, კალათბურთი, რაგბი, კრივი, კიკბოქსინგი, კარატე და ხელბურთი), სადაც სხვადასხვა ასაკში სისტემატიურად მეცადინეობს 970 სპორტსმენი, რომლებთანაც მუშაობს 51 ლიცენზირებული მწვრთნელი. მაღალი შედეგების მქონე სპორტსმენთა წახალისების მიზნით, ბიუჯეტში გამოყოფილია სოლიდური თანხები. (ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 24 მარტის №10 დადგენილება).

მიუხედავად აღნიშნულისა, მუნიციპალიტეტს არ გააჩნია სტადიონი (გარდა ციხე-გალავანში არსებული მოედნისა), სატყორცნი და სახტომი სექტორები, არ გვაქვს საცურაო აუზი.

წელს ჩატარდა ახალგაზრდული ღონისძიებები და სახალხო დღესასწაულები, სადაც 9 სოფელში ყვარლისა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტების მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა ქართულ ჭიდაობაში. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2023წ. – სპორტის 6 სახეობაში, როგორც ვაჟებში ასევე გოგონებში, დ. გვენცაძის ტურნირი ფეხბურთში, ახლა მიმდინარეობს ევროპის სპორტის კვირეული სპორტის 6 სახეობაში, სადაც ჩართულები არიან ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლის მოსწავლე გოგონები და ვაჟები.

კულტურული ღონისძიებები:

მიმდინარე წლის განმავლობაში ჩატარებულია 35 კულტურული ღონისძიება: კონცერტები, თემატური შეხვედრები, შემეცნებითი ღონისძიებები, თოჯინების თეატრისა და კულტურის სახლის დასის სპექტაკლები და სხვა.

### სამხედრო აღრიცხვა და გაწვევა 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით

1. 2006 წელს დაბადებულ მოქალაქეთა პირველადი სამხედრო აღრიცხვა (მიწერა) მიმდინარეობდა 2023 წლის 1 მარტიდან 2023 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

2. პირველად სამხედრო აღრიცხვას ექვემდებარებოდა 159 ჭაბუკი. აყვანილია აღრიცხვაზე – 139. სხვადასხვა მიზეზის გამო აღრიცხვაზე ასაყვანი დარჩა 20 ჭაბუკი.

3. სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა საგაზაფხულო გაწვევა მიმდინარეობდა 2023 წლის 1 თებერვლიდან 2023 წლის 30 ივნისის ჩათვლით. გეგმით გათვალისწინებული იყო 34 წვევამდელის გაწვევა. გაწვეულია 5 წვევამდელი. აქედან 3 თავდაცვის სამინისტროს ქვედანაყოფებში და 2 შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებში. შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადიან სამხედრო საკონტრაქტო სამსახურის გასავლელად (დაცვის პოლიციაში) ჩაირიცხა 3 წვევამდელი, ხოლო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეულია 3 წვევამდელი.

4. გამოძახებას ექვემდებარებოდა გამწვევ კომისიაზე სულ 784 წვევამდელი.

5. გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა – 212. აქედან;

- სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ მიღებულია გადაწყვეტილება 11 წვევამდელზე.
- მიღებულია გადაწყვეტილება გაწვევისაგან გადავადების შესახებ 201 წვევამდელზე. მათ შორის:
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ვადით 1 წლამდე) – 3 წვევამდელი.
- შეზღუდულად ვარგისია – 15 წვევამდელი.
- არის სტუდენტი – 125 წვევამდელი.
- არის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლე-20 წვევამდელი.
- არის პროფესიული სასწავლებლის სტუდენტი – 6 წვევამდელი.
- დარეგისტრირდა ერთიან ეროვნულ გამოცდებზე – 4 წვევამდელი.
- ჰყავს ორი ან ორზე მეტი შვილი – 3 წვევამდელი.
- არის დედისერთა – 6 წვევამდელი.
- ჰყავს ერთი შვილი შვილის შეძენის დღიდან 3 წლის ვადით – 8 წვევამდელი.
- არის მღვდელთმსახური – 11 წვევამდელი, („გირჩი" – 10 წვ. „კატაკომბური ეკლესია" – 1 წვ. ).

6. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევსაგან გადავადების მოსაკრებელი არ გადაუხდიათ.

7. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეულია 2 რეზერვისტი.

8. შინაგან საქმეთა სამინისტროში – 3 რეზერვისტი.

9. შინაგან საქმეთა სამინისტროში (დაცვის პოლიციაში) ჩარიცხულია – 3 რეზერვისტი.

10. შინაგან საქმეთა სამინისტროს პენიტენციულ სამსახურში ჩარიცხულია – 1 რეზერვისტი.

11. შინაგან საქმეთა სამინისტროში (სასაზღვრო პოლიციაში) ჩარიცხულია – 2 რეზერვისტი.

12. სასწავლო შეკრებაზე რეზერვისტების გაწვევა ამ ეტაპზე არ ყოფილა დაგეგმილი.

### 2023 წლის 1 აგვისტოდან 2023 წლის 12 ოქტომბრის ჩათვლით

1. სავალდებულო სამხედრო სამსახურში წვევამდელთა საშემოდგომო გაწვევა მიმდინარეობს 2023 წლის 21 აგვისტოდან 2023 წლის 27 დეკემბრამდე. გეგმით გათვალისწინებულია 31 წვევამდელის გაწვევა. ამ ეტაპისათვის გაწვეულია 2 წვევამდელი შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებში.

2. გამოსაძახებელია გამწვევ კომისიაზე სულ 754 წვევამდელი. ამ ეტაპისათვის გამოძახებულია – 353;

3. გამწვევ კომისიაზე გამოცხადდა დღეის მდგომარეობით 46 წვევამდელი. აქედან:

- სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ მიღებულია გადაწყვეტილება – 8 წვევამდელი;
- მიღებულია გადაწყვეტილება გაწვევისაგან გადავადების შესახებ 38 წვევამდელზე. მათ შორის:
- ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ვადით ერთ წლამდე) – 1 წვევამდელი.
- შეზღუდულად ვარგისია – 3 წვევამდელი.
- არის სტუდენტი – 31 წვევამდელი.
- არის დედისერთა – 2 წვევამდელი.
- ჰყავს ერთი შვილი შვილის შეძენის დღიდან 3 წლის ვადით – 1 წვევამდელი.

4. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევსაგან გადავადების მოსაკრებელი არ გადაუხდიათ.

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში გაწვეულია 2 რეზერვისტი.

6. შინაგან საქმეთა სამინისტროში (სასაზღვრო პოლიციაში) ჩარიცხულია – 6 რეზერვისტი.

7. შინაგან საქმეთა სამინისტროში – 3 რეზერვისტი.

8. სასწავლო შეკრებაზე რეზერვისტების გაწვევა ამ ეტაპზე არ ყოფილა დაგეგმილი.

### შიდა აუდიტი, საზედამხედველო და სამართლებრივი მიმართულებები

**შიდა აუდიტი**

შიდა აუდიტის სამსახურის მთავარი ფუნქციაა, დაეხმაროს მერიის პირველად და მეორად სტრუქტურულ ერთეულებსა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს, რათა მიაღწიონ თავის მიზანს, რისკის მენეჯმენტის, კონტროლისა და მართვის ავტონომიური პროცესების შეფასებასა და გაუმჯობესებაში სისტემური, ორგანიზებული მიდგომის გამოყენებით.

სამსახური 2023 წელს მუშაობს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის მიერ დამტკიცებული შემოწმების წლიური გეგმის შესაბამისად, რომელიც შემუშავდა რისკების შეფასების თანამედროვე მოდელის გამოყენებით გამოვლენილი სხვადასხვა რისკ-ფაქტორების ანალიზის შემდგომ.

მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტის სამსახურმა, 2023 წლის გეგმის შემუშავების მიზნით, შეისწავლა მუნიციპალიტეტის დაარსებული იურიდიული პირების საქმიანობა. ჩატარებული სისტემური ანალიზის საფუძველზე, სამსახურის მიერ განისაზღვრა აუდიტის გარემო და გამოვლინდა რისკები, მოხდა რისკების ანალიზი და დაჯგუფება, შემუშავდა მათი კონტროლის მექანიზმები.





ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიმართ რისკის შეფასების კრიტერიუმად აღებული იქნა ბიუჯეტის მოცულობა და პერიოდი.

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის შესამოწმებელი ობიექტების რაოდენობა განსაზღვრული იყო 5 ერთეულით, ესენია: შ. პ. ს. „სარაგბო კლუბი ბულები'',

ა (ა)იპ „ყვარლის კომპლექსური სასპორტო სკოლა", მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური,ა (ა)იპ „ფრენბურთის კლუბი ყვარელი".

შემოწმების საგანია:

- ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშის შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.
- სახელმწიფო შესყიდვების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.
- საქმისწარმოების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან.
- ეფექტიანობის აუდიტის მიხედვით საბიუჯეტო სახსრების ეკონომიურობა, პროდუქტიულობა და ეფექტიანობის განსაზღვრა.

გაცემულია რეკომენდაციები და მიმდინარეობს მათი შესრულების მონიტორინგი

### ზედამხედველობა

- მუნიციპალიტეტის სახელით სამშენებლო სამუშაოებზე დაიწერა 3 გაფრთხილება;
- განხილულ იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული ზედამხედველობის სფეროს მიკუთვნებული 291 განცხადება და ყველა მათგანზე მომზადდა წერილობითი პასუხი;
- იურიდიულ პირებთან, საწარმოებთან და ინდ. მეწარმეებთან გაფორმდა მყარი ნარჩენების მართვის შესახებ 86 ახალი ხელშეკრულება;
- განხილული იქნა 51 სამეზობლო დავა, 41 შემთხვევაში მოხდა მხარეებს შორის შეთანხმება, ხოლო დანარჩენი გადამისამართდა შესაბამის ორგანოებში (სასამართლო, პოლიცია და ა. შ. );
- ზედამხედველობის სამსახური მონაწილეობას ღებულობს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის, ინსპექტირების ჯგუფისა და სხვა სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.

### იურიდიული მიმართულება

- მუნიციპალიტეტის მერიის სახელით მონაწილეობა მიღებულია 8 ადმინისტრაციული საქმის სასამართლო განხილვაში, რომლებზეც შედგენილი იქნა შესაგებლები და შესრულებული იქნა ყველა საპროცესო მოქმედება. აღნიშნული სასამართლო საქმეებიდან: მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ მიღებულ იქნა 2 გადაწყვეტილება. 1 საქმეზე დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა. ხოლო, რაც შეეხება 5 საქმეს, სასამართლო განხილვა ჯერ არ დასრულებულა.
- საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სამსახურში შემოვიდა 30 განცხადება. აქედან პასუხი გაეგზავნა 30 განმცხადებელს. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.
- ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში, 2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, სულ შემოსულია 15 განცხადება. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.
- შემუშავებულ იქნა 3 ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.
- განხილულ იქნა ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული იურიდიული სამსახურის სფეროს მიკუთვნებული განცხადებები და ყველა მათგანზე მომზადდა წერილობითი პასუხი.
- აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია საქმე N210606342 (შპს რუმსი ს/კ 40511101429) გამარტივებული წარმოება.
- აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაშია საქმე NA18101984, სადაც მოვალეა შპს ბელა (ს/კ 424612360) (იძულებითი აღსრულება).
- სამსახური მონაწილეობას ღებულობს ყვარლის მუნიციპალიტეტის მერიაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი სატენდერო კომისიის, ინსპექტირების ჯგუფისა და სხვა სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში.
- სამსახურში შემოვიდა 1 ადმინისტრაციული საჩივარი, რომელთან დაკავშირებითაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ.
- ამჟამად მიმდინარე საქმეები – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებისა და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია (ახალ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა); საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება; საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტისა და კულტურის კომიტეტის განცხადებები;
- ყვარლის მუნიციპალიტეტის დასახლებებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის მიზნით გაიმართა 21 დასახლების საერთო კრება და ამომრჩევლებთან კონსულტაციები.

# ქრისტეშობა და საშობაო ტრადიციები



შობის დღესასწაულს ქრისტიანები ერთმანეთს ასე ულოცავენ: „ქრისტე იშვას ჩვენს გულებში“. მაცხოვარი განკაცდა და ბეთლემის თავზე, ვარსკვლავებით მოჭედილ ცაზე, აღმოსავლეთით ერთი ვარსკვლავი გასხივოსნდა. რჯულის მცნობელი მოგვები ქრისტეს სადიდებლად ვარსკვლავს გაყვნენ და ბაგაში ყრმა იესოს თაყვანისცემისა და შესაწირის მისართმევად მივიდნენ. გადმოცემით, მოგვები ახალშობილ უფალს გალობით შეეგებნენ.

ქრისტიანულ სამყაროში შობა უდიდესი საეკლესიო დღესასწაულია. დღე, როცა მსოფლიო ქრისტიანებს რელიგიური თანაგრძნობები და რწმენა – წარმოდგენები აერთიანებთ.

იესო ქრისტე იშვა ღამით, როცა ბეთლემში და მის შემოგარენში ყველა ღრმა ძილს იყო მიცემული.

შობის ღამეს, მთელს სამყაროში, დიადი სასწაულები მოხდა. მაცხოვრის დაბადებისთანავე გამოქვაბულში უეცრად პირდაპირ ქვიდან წყარომ ამოხეთქა; მისგან შორს, რომში კი მიწიდან სურნელოვანმა ზეთმა იწყო დენა და მდინარის წყალს შეერია; წარმართული ტაძარი, რომელსაც მარადიულს ეძახდნენ, დაინგრა, მასში მდებარე კერპები დაიმსხვრა, ცაზე კი სამი მზე გამოჩნდა; ესპანეთში იმ ღამეს ცაზე თვალისმომჭრელად მბრწყინავი ღრუბელი გაჩნდა; ისრაელში, მიუხედავად ზამთრისა, ვაზი აყვავდა. ხოლო ყველაზე დიდი სასწაული ანგელოზების გამოცხადება იყო, რომლებიც მწყემსებს გამოეცხადნენ და სახარებაშიც არის აღწერილი:

გამოქვაბულის მოპირდაპირედ, რომელშიც მაცხოვარი იშვა, მაღალი კოშკი იდგა. კოშკში მწყემსები ცხოვრობდნენ. სამ მათგანს იმ ღამეს არ ეძინა, ვინაიდან ფარას მწყემსავდნენ. სწორედ მათ გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი ზეციური ბრწყინვალებით. მის დანახვაზე მწყემსები ძალიან შეშინდნენ, მაგრამ გაბრიელმა უთხრა მათ: „ნუ გეშინიათ! მე გახარებთ თქვენ უდიდეს სიხარულზე, რომელიც იქნება ყოველი ადამიანისთვის: რამეთუ დავითის ქალაქში მხსნელი იშვა, რომელიც არის უფალი ქრისტე“. ამ სიტყვებით მთავარანგელოზმა მესიის ჭეშმარიტ დანიშნულებაზე მიანიშნა, რომელიც არა მარტო ებრაელთათვის მოვიდა, არამედ ყველა ხალხისთვის, რამეთუ სიხარული იქნება ყველასათვის, ვინც მას მიიღებს, როგორც მხსნელს. გაბრიელმა ისიც უთხრა მწყემსებს, თუ სად იპოვიდნენ ახალშობილ ყრმას.

იმ დროს, როცა გაბრიელმა ამის შესახებ მწყემსებს აუწყა, ზეციდან მრავალი ანგელოზის გალობის ხმა მოისმა, რომლებიც ასე ადიდებდნენ ღმერთს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

რატომ აირჩია ანგელოზმა უბრალო მწყემსები და არ აუწყა ქვეყნად მესიის მოვლინება იუდეველ უხუცესებს, მწიგნობრებსა და ფარისევლებს? იმიტომ, რომ „ბრმების ბრმა წინამძღოლებმა“ დაივიწყეს მესიის შესახებ წინასწარმეტყველების ჭეშმარიტი არსი.

ერთმანეთში მოთათბირების შემდეგ, მწყემსებმა გადაწყვიტეს ახალშობილის დაბადების ადგილას მისულიყვნენ და ენახათ მართალი იყო თუ არა, რაც მათ მთავარანგელოზმა უთხრა. მისულებმა ნახეს საქონლის ბაგაში მწოლარე ყრმა და ყველაფერი სწორედ ისე იყო, როგორც მათ ეუწყათ. მწყემსებმა ირწმუნეს, რომ ის იყო მესია, რომელსაც ამდენს ხანს ელოდნენ და რომ იგი მოვიდა, რათა იხსნას კაცობრიობა.

მათ ყველაფერი უამბეს წმინდა იოსებსა და ღვთისმშობელს. სალომეა (ნათესავი ღვთისმშობლისა და იოსებისა) და ყველა იქ მყოფი, რომლებიც ახალშობილის სანხავად იყვნენ მოსულები, გაოცდნენ მწყემსების მონათხრობით. ღვთისმშობელი კი „ჩუმად უსმენდა მათ და იმარხავდა ყოველ სიტყვას გულში“.

რამდენიმე თვით ადრე ქრისტეს შობამდე ცაზე უჩვეულო ვარსკვლავი გამოჩნდა. აღმოსავლელმა მოგვებმა (მოგვებს უწოდებდნენ განსწავლულ ადამიანებს, რომლებიც აკვირდებოდნენ და იკვლევდნენ ციურ მნათობებს) და ფილოსოფოსებმა შეამჩნიეს იგი და დაიწყეს ფიქრი თუ რას ნიშნავდა ამ საკვირველი ვარსკვლავის გამოჩენა. როგორც წმინდა მამები ამბობენ, შობის ვარსკვლავი ცაზე იმ მომენტიდან აინთო, როცა მთავარანგელოზმა გაბრიელმა ქალწულ მარიამს ახარა, რომ მისგან იშვება ქვეყნიერების მხსნელი.

იმ პერიოდისთვის ხალხს სჯეროდა, რომ დიდი ადამიანის დაბადებისას ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა. მრავალმა წარმართმა, უმეტესად სპარსეთში, ებრაელთაგან იცოდა მომავალი მესიის, იუდეველთა დიადი მეფის შესახებ. სპარსი მოგვები ელოდნენ, რომ, როცა დაპირებული მეფე დაიბადებოდა, ცაზე ახალი ვარსკვლავი გამოჩნდებოდა. მართალია წინასწარმეტყველება მესიის ვარსკვლავის შესახებ სულიერი გაგებით იუწყებოდა, მაგრამ ღმერთმა, მისი გულმოწყალებით, წარმართებში რომ რწმენა გაეღვიძებინა, ცნობა მათთვის უფრო გასაგები ფორმით, ცაზე უჩვეულო ვარსკვლავის გამოჩენით მისცა.

როცა ქრიტეს შობამდე ცოტა დროღა იყო დარჩენილი, სამი მოგვი, ყოველი თავისი ქვეყნიდან, გაემართნენ პალესტინისკენ.

იოსები და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ახალშობილ ყრმასთან ერთად ჯერ კიდევ ბეთლემში იმყოფებოდნენ, როცა შორეული აღმოსავლეთიდან წამოსული მოგვები იერუსალიმში მივიდნენ. იერუსალიმიდან ბეთლემისკენ მიმავლებს გზას ისევ ის უჩვეულო ვარსკვლავი უჩვენებდა, ვარსკვლავი თითქმის მიწამდე დაეშვა და ბოლოს იმ გამოქვაბულის თავზე გაჩერდა, სადაც ბაგაში ახალშობილი მაცხოვარი იწვა. იხილეს რა საქონლის ბაგაში მწოლიარე ყრმა, აღმოსავლელი ბრძენნი მიხვდნენ, რომ ახალშობილის მეუფება ფუფუნებაში და დიდებულ დარბაზებში კი არა, სიღარიბეში, მორჩილებაში და ამქვეყნიური დიდების მოძულებაში იყო. წარმართ განსწავლულებზე მათთვის მოულოდნელმა სანახაობამ არ იმოქმედა და ის რწმენა არ შერყევიათ, რის გამოც ასეთი გრძელი გზა გამოიარეს. პირიქით, შევიდნენ საქონლის სადგომში, მიახლნენ ბაგაში მწოლიარე ყრმას და თაყვანის სცეს არა მარტო როგორც მეფეს, არამედ როგორც ღმერთსაც და ძღვენიც მიართვეს: ოქრო, გუნდრუკი და მური. ოქრო – როგორც მეფეს, გუნდრუკი – როგორც ღმერთს და მური – როგორც კაცს, ვინაიდან მურს გარდაცვლილის ცხედრის გასაპატიოსნებლად იყენებდნენ, რათა შენახულიყო იგი.

მაცხოვრის შობასთან დაკავშირებულ მონათხრობში კიდევ ის არის შესანიშნავი, რომ პირველები, ვინც ახლადდაბადებულ მხსნელს თაყვანისცეს, მწყემსები იყვნენ, ბუნების ჭეშმარიტი შვილები, რომლებსაც მაცხოვრისათვის მხოლოდ თავიანთი გულის საგანძური შეეძლოთ მიეძღვნათ, გულის საგანძე – სავსე უბრალოებით, რწმენით და მორჩილებით. უკვე მოგვიანებით კი სიბრძნით აღჭურვილი მოგვები მივიდნენ აღმოსავლეთიდან. ეს ალბათ იმაზე მეტყველებს, რომ გულის უბრალოებას და ღრმა კეთილსინდისიერ მეცნიერებას ერთნაირად მიჰყავს ადამიანი ქრისტემდე. მხოლოდ პირველი გზა პირდაპირია, მოკლე და უფრო სარწმუნო, ვიდრე მეორე. მწყემსებს უშუალოდ ანგელოზებმა აუწყეს, ხოლო მოგვებმა უტყვი ვარსკვლავის გამოჩენიდან მოყოლებული, ძნელადსავალი და არცთუ უხიფათო გზა გაიარეს ვიდრე სასურველ მიზანს მიაღწევდნენ.

„და მწყემსნი იყვნეს მასვე სოფელსა, ველთა დგებოდეს და ჴუმილვიდეს საჴუმილავსა ღამისასა სამწყოსოსა მათსა. და აჰა ანგელოზი უფლისაჲ დაადგრა მათ ზედა, და დიდებაჲ უფლისაჲ გამოუბრწყინდა მათ და შეეშინდათ მათ შიშითა დიდითა. და ჰრქუა მათ ანგელოზმან მან უფლისამან: ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქუენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქუენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა. და ესე იყოს თქუენდა სასწაულად: ჰპოოთ ყრმაჲ იგი შეხუეული და მწოლარე ბაგასა. და მეყსეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ, აქებდეს ღმერთსა და იტყოდეს: დიდებაჲ მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშჳდობაჲ, და კაცთა შორის სათნოებაჲ. და იყო ვითარცა აღვიდეს ანგელოზნი იგი ზეცად, მწყემსთა მათ თქუეს ურთიერთას: განვიდეთ ჩუენ ვიდრე ბეთლემადმდე და ვიხილოთ სიტყუაჲ ესე, რომელი იყო ჩუენდა მომართ, რომელი-იგი უფალმან მაუწყა ჩუენ. და მოვიდეს მსწრაფლ და პოვეს მარიამ და იოსებ და ყრმაჲ იგი, მწოლარე ბაგასა. და ვითარცა იხილეს, გულისჴმა-ყვეს სიტყუაჲ იგი, რომელი ითქუა მათა მიმართ ყრმისა მისთჳს. და ყოველთა, რომელთა ესმოდა, უკჳრდა სიტყუაჲ იგი მწყემსთაჲ მათ მათდა მიმართ. ხოლო მარიამს დაემარხნეს სიტყუანი ესე და დაედვა გულსა თჳსსა. და მიიქცეს და წარვიდეს მწყემსნი იგი, ადიდებდეს და აქებდეს ღმერთსა ამას ყოველსა ზედა, რომელი ესმა და იხილეს, ვითარცა-იგი ითქუნეს მათდა მიმართ“ (ლუკა 2, 8-20).

ყოველი შობის ღამეს, ალბათ ვარსკვლავის გამოჩენისა და ღვთისმსახურების დასრულების შემდეგ მოციქულების წინამორბედი, ქრისტეს მახარებელი მწყემსები შორეული წარსულიდან აქამომდე მთელ ერს ამცნობდნენ იმ უდიდესი საიდუმლოს განხორციელებას, რასაც იესო ქრისტეს განკაცება ჰქვია. მწყემსებად გამოწყობილი ჩვენი წინაპარი ზრდასრული მამაკაცები თუ ჩვენი თანამედროვე ახალგაზრდა ყმაწვილები ალილოს გალობით, როგორც ამ ხალხურ სიმღერას ხალხში უწოდებდნენ, თვითოეული თანასოფლელის კარმიდამოს მოივლიდნენ და მოუთმენლად მომლოდინე მასპინძლებს ღვთის სადიდებელს – ალილოს (ალილუია – ვადიდოთ ღმერთი) – მთელი ქვეყნის გასაგონად, მაღალ ხმაზე უგალობდნენ:

„ალილო და აქა ალილო,
ალილო და აქა შობა,
ღმერთმა ბევრი გაგითენოთ
შობა-ახალწელიწადი.
ოცდახუთსა ამთვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
ჩიტი შემოჯდა ღობესა,
იძახის ქრისტეშობასა.
ჩვენ მათხოვრები არა ვართ,
ვართ ქრისტეს მახარობლები,
ალილო და აქა შობა,
აქა ალილო“
(მესხეთი)

„ოცდახუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო,
თქვენ გვაჩუქეთ გროშებიო,
დაგელოცოთ ბოვშვებიო“
(სამეგრელო)

„ოცდახუთსა და რამდენსა შობა
გათენებულაო,
შობის მადლი შეგეწიოთ, ქრისტე
დაბადებულაო,
ეს სახლი ვინ ააშენა, ვინ დახურა
მუხის გული?
ამშენებლის დედა ცხონდეს,
დამხურავის მამის სული.
„კოშკიდან“ გადავიხედე, ერბო
გიდგათ ქილებითა,
ალათასა, ბალათასა, კვერხცი
უნდა კალათასა,
აქა ღორი დაკლულიო, ნაყელარი
ჩვენიაო, ნასამედი თქვენიაო.
პატარძალო ჩვენო ლხინო, მარნის
კარი გიჭრიალებს,
მარნის ქოცო აგვიხადე,
ყელი ჩაგვიმაჭრიანე“
(კახეთი)

ვინ მოსთვლის რამდენი საუკუნე ქართველი ამ საოცარი ამბით, სიხარულითა და ვარსკვლავით განათებულ ღამეში უხვად: ფულით, ფქვილით, ერბოთი, თხილ-კაკლით, საშობაოდ დაკლული ღორის ხორცით, ყოველივე იმით, რაც მოეპოვებოდა და რა თქმა უნდა, კვერცხით, აჯილდოვებდა მეალილოებს, შობის სიმბოლოთი, რომელიც სულ მალე, აღდგომას, ქრისტეს ჯვარცმის ნიშნად წითლად შეიღებებოდა და მეჭონეებს, ქრისტეს აღდგომის მახარობლებს მიერთმეოდა. კვერცხით, რომელიც ოდითგან საუცხოო საჩუქრად ითვლებოდა. და ვაი, მას ვინც ძღვენს დაინანებდა (მეალილოეთა ძღვნის გარეშე გაშვება ხალხში ფუძის უბარაქობისა და ზიანის მომტანად ითვლებოდა) იმ მწყემსთათვის, რომლებიც ღვთისა და ანგელოზებისაგან დამოძღვრილ სახარებისეულ წინაპრებს განასახიერებდნენ, ვისაც მთელი ქვეყნისათვის ღვთისა და ანგელოზების ნებით დიდი საიდუმლო, მომავალი, მარადიული, მარადიული ხსნის საწინდარი უნდა გაენდოთ. ამას გარდა, ქრისტიანი ქართველი მოსულში, ყოველ სტუმარში, მათ შორის ყოველ მეალილოეში ღმერთს ხედავდა, რომელთათვის მირთმეული ძღვენი შესაწირიც იყო და საჩუქარიც, დიდებაც და თაყვანისცემაც.

ამ ღამეს ქრისტეშობის სიხარულს, როგორც ბეთლების გამოქვაბული, ველარ იტევდა ტაძარი, მწყემსებთან ერთად გამოდიოდა გარეთ, მწყემსების მეშვეობით თვითოეულ მოკვდავამდე მიდიოდა და ეს სიხარული ქრისტეს ხორციელი მოვლინებით განცდილი ყველას ერთ მრევლად, ქრისტეს მიწიერ სხეულად, ეკლესიად აქცევდა.

შობის ქართულ რიტუალებში აშკარაა, რომ ცოცხლდება ისტორია, განკაცებული მაცხოვრის დაბადების თქმულების შესახებ საგალობლებით, შესაწირავითა და ქრისტეშობის მახარობლებით. ხალხურმა კულტურულმა არქეტიპებმა ანტიკური ხანის ზოგიერთი ქართული წეს-ჩვეულება ამ დრომდე შემოინახა და ქრისტიანულ წესებს შეერწყა.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში უნიკალური საშობაო რიტუალები სრულდება. მართალია, ზოგიერთი მათგანი უკვე დავიწყებას მიეცა და დრომ შთანთქა, მაგრამ უძველესი ქვეყნის კუთხურ თავისებურებებზე ცნობები მაინც არსებობს. ემზადებოდნენ, საგანგებო რიტუალებს ასრულებდნენ და დღესაც ბევრი საშობაო წეს-ჩვეულებები მოვიდა ჩვენამდე…

საქართველოში დიდი სამზადისი იყო შობის მოახლოვებისას. რეგიონებს შორის განსხვავებები თემის თავისებურებები და რწმენა – წარმოდგენები იყო. ასევე, იესოსთვის მიძღვნილი შესაწირავის ხელმისაწვდომობა.

„24 დეკემბერი დახუნძლული იყო ხალხური რიტუალებით. რომელიც მრავალფეროვანი იყო, რადგან ჩვენი ქვეყანა შედგება მრავალეთნოგრაფიული მხარისაგან და ამ ისტორიულ მხარეებს თავიანთი ლოკალური ტრადიციები წარმოადგენს. სულიერად ემზადებოდნენ. ამ დღეს ახლდა სამზადისი შობის ხალხური რიტუალებისათვის. ქრისტიანობამდელი მესაქონლეობასთან დაკავშირებული რწმენა – წარმოდგენები იყო შემორჩენილი. კვერების ცხობის ტრადიცია დიდი რაოდენობით გვხვდება საშობაო სამზადისში. სხვადასხვა ფორმა ჰქონდა, საქონლის, ყურძნის, ბელელის. ასე ასულიერებდნენ უსულო სამყაროს ჩვენი წინაპრები“.

ხორბალი და ღვინო უხსოვარი დროიდან საღვთო შესაწირავს წარმოადგენდა გაქრისტიანებამდე. ძველი ქართველები პურსა და ღვინოს ნაყოფიერების, ამინდის, მოსავლისა და პირუტყვის მფრაველ ღვთაებებს წირავდნენ. ახლა, ეკლესიაში ზიარების საიდუმლოს აღსრულების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს.

„ქართლსა და სვანეთში იყო რიტუალი კორკოტობა, იმართებოდა ლოცვები, დედა ღვთისმშობელს ავედრებდნენ სამშობლოს. ეს იყო ზედაშე, წმინდად შენახული ღვინო, შესაწირავი პური, ეს ანტიკური ხანიდან მოდიოდა და სეფისკვერიცამის ვარიაციაა. თუშეთში დიდი კორკოტობა მზადდებოდა. მწუხრის ჟამს მიმდინარეობდა საოჯახო ლოცვა, ესეც ქრისტიანულ წესთან, საღამოს ლოცვასთანაა დაკავშირებული, რომელიც იმეორებს ხალხურ წეს-ჩვეულებას. „

შობის შესაწირი დამოკიდებული იყო, იმაზე, თუ რომელი კულტურა იყო გავრცელებული ამ თუ იმ რეგიონში. წირავდნენ იმას, რაც ყველაზე ძვირფასი იყო მათთვის. მარცვლეული თუ პირუტყვი, ღვინო თუ ცხოველური ნაწარმი, ქადა თუ კვერი.

„აღმოსავლეთ მთიანეთში – ცხვრის დაკვლით. იყო სარიტუალო პურები. საშობაოდ მზადდებოდა არასამარხვო შესაწირავი პურები, ყველის გულიანი ლემზირები. განატეხები რაჭა-ლეჩხუმში ცხვებოდა. ტაბლა და კორბოული, ქრისტეს პური აღმოსავლეთ საქართველოში. დღეს, ყველაზე გავრცელებულია გურული საშობაო ღვეზელი და მუცლის შელოცვილი, ეს მზადდებოდა 24 დეკემბერს და ბრავაწლობა ეწოდებოდა. ძალიან საინტერესოა სვანური საშობაო ფაფა.სვანეთში საოჯახო ლოცვა სრულდებოდა აღმოსავლეთის სარკმელთან. ხევსურეთში ხატში მიდიოდნენ მწუხრზე და იქ სრულდებოდა სპეციალური ლოცვა და მიჰქონდათ შესაწირავი“.

ალილოს ტრადიციად შემონახული უძველესი საშობაო რიტუალი ის გამონაკლისია, რომელიც შორეული ისტორიიდან ახლაც ცოცხლდება. ადრე, ალილოს ასრულებდა მამაკაცთა გუნდი, შემდეგ ბავშვებით შეიცვალა. ამ რიტუალს აღმოსავლეთ საქართველოში ჭონაობას ეძახიან, დასავლეთში კი – ალილოს. ამ წეს – ჩვეულებაში მოგვების განსახიერება ხდება, ისინი ქრისტეშობის მახარობლის როლს ირგებენ და მსვლელობისას ულოცავენ ყველას.

„ალილოს ტრადიცია, ალილუია, დიდება ქრისტეს. ახალგაზრდები იკრიბებოდნენ და კუთხური საგალობლებით სოფელს შემოივლიდნენ ოჯახ ოჯახ. ისინი აღიქმებოდნენ როგორც ქრისტეშობის მახარობლები. ოჯახები შესაწირავსაც გასცემდნენ. ახლა უკვე ალილოზე დადიან ბავშვები და ისინი პატარა ასაკიდანვე ეზიარებიან ხალხური რიტუალების შესრულებას. „

გადმოცემის მიხედვით, ბეთლემში ყრმა იესოს მოგვები ადიდებდნენ და უგალობდნენ. ქართული კულტურა საკმაოდ მდიდარია კუთხური, მრავალფეროვანი ხალხური საშობაო სიმღერებითა და საგალობლებით. შობა ქართული მრავალხმოვანების გარეშე, წარმოუდგენელია. თითოეულ სოფელში სრულდება საგალობლები, ტკბილი ჰანგებით ულოცავენ ერთმანეთს ქრისტეს დაბადებას. ერთობით ადიდებენ და თაყვანს ცემენ უფალს ფერხულით. უფლის მარადიულობის სიმბოლოდ წრეში დგებიან და ასრულებენ სარიტუალო ცეკვებს.

„ამ ყველაფერს თან ახლდა ხალხური საგალობლები და ფერხულები. კირიალესას ფორმის საგალობლები. კუირიელა ტაოკლარჯეთში სრულდებოდა ხალხური საგალობელი. ეს უკვე იკარგება და მისი შემსრულებლები აღარ არიან ცოცხლები“.

ქართველებში რელიგიური რწმენა – წარმოდგენები იმდენად ღრმაა, რომ ხშირად სრულდებოდა რიტუალები, რომელთა არსიც თვად შემსრულებელს არ ესმოდა. მიუხედავად ამისა, მაღალი კულტურისა და ტრადიციულობის წყალობით, ასე თაობიდან თაობას გადაეცემოდა ძველი ქართველების შესრულებული წესები და ჩვენს დრომდეც ასე მოაღწია. ამის ნათელი მაგალითი, ე.წ. ბასილის კვერებია.

„ქრისტეშობა“ – ასე ჰქვია ლექსს, რომელიც ზვიად გამსახურდიამ ამ დიდებულ დღესასწაულს უძღვნა:

„ალბათ, თვითონ ღმერთი ირჩევს –
უცნაური რამეა,
ქრისტეშობა თითქმის მუდამ
საოცარი ღამეა,
დეკემბერი დააჭენებს ყინვით ნახატ
ეტლებსა,
ამ ღამით ხომ წამებული ქრისტე იშვა
ბეთლემსა.
მერე ზეცად აღევლინე, არ გიგუეს
მიწაზე,
ნუთუ აღარ დაბრუნდები ცოდვილ
დედამიწაზე,
ზეცად ასულს უკან გაგყვა
ლოცვა-ცრემლის დამდენი,
ქვეყნად ერთი ქრისტე დარჩი
და იუდა რამდენი.
ალბათ, მისთვის გაიაფდა ღალატი
და გაცემა,
ფეხზე დგომა არის ძნელი, ადვილია
დაცემა!
მეც დავრწმუნდი, არ გამქრალა
ქვეყნად შური და მტრობა,
მეც მომიწევს ლეონარდოს
საიდუმლო სერობა,
და წარსული სიზმრად მექცა,
მომავალი ოცნებად,
მეგობარი ველარ მიცნობს, მნახავს
და გაოცდება.
ქრისტეშობას, სხვა ჩემს გარდა,
სევდას ვინ დაიბედებს,
ძველი წელი ხსოვნას მართმევს,
ახალი კი-იმედებს.
ქრისტე აღსდგა! ქრისტე აღსდგა!
ჩემი სული ცას უხმობს.
ჭეშმარიტად! – კვლავ იუდა
ნიშნისგებით მპასუხობს.
თუმცა, შუბლზე სამარცხვინო მინდა
დაღი დავაკრა,
ჯვარს ვერ ვკადრებ, ქრისტეს მერე
ზედ იუდა გავაკრა.
შერცხვენილი, წარწყმედილი ეგდოს
ქვეყნად, ეთრიოს,
ხოლო შენზე მრავალ მლოცველს
კვლავაც ღამე ეთიოს,
რწმენა ძნელად გადარჩება, ხატი –
უფრო ადვილად,
ქრისტე აღსდგა ჭეშმარიტად,
ქრისტე აღსდგა ნამდვილად“.

**მოამზადა**
**ია გიგიაშვილმა**

# წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე) საახალწლოდ

ჩვენ გვესმის და ადვილად გამოსაცნობიც არის, რისთვის გვიხარიან იესო ქრისტეს შობის დღე. გვესმის ეს დიდი დღე რისთვის არის დიდი, რისთვის არის ყოველ-წლივ სიხარულით და მილოცვით მისაგებებელი, რისთვის არის სადღესასწაულო დიდისა და პატარასათვის. ამ დღეს დაიბადა სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველი და ცხოვრების მომნიჭებელი მაცხოვარი ქვეყნისა, ღმერთი ყოვლად მოწყალებისა და ყოვლად მსხნელის სიყვარულისა. ღმერთი ნუგეშინისმცემელი უძლურისა და უღონოსი, დავრდომილთა აღმადგენელი, სნეულთა მაურვებელი, ცოდვილთა შემწყნარებელი, მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა მეოხ-პატრონი და მწყალობელი. მან აღამაღლა ღირსება და პატივი ადამიანისა იქამდე, სადამდინაც მისდა მოსვლამდე ვერ მიმწვდარიყო ადამიანის შეშინებული გონება და გაუღვიძებელი გრძნობა. „ვით მამა ზეცის, იყავ შენცა სრულიო“, უმოძღვრა კაცს და ამით გვამცნო, რომ კაცი შემძლებელ არს აღსვლად ღვთაების სისრულემდე. რაოდენი დიდებაა და პატივი კაცის ბუნებისა ამ ექვსს სიტყვაში, ღვთისა ბაგეთაგან წარმოთქმულში... იღვაწე და ღვთის სისრულემდე შენც შეგიძლიან ახვიდე და მიახწიოო. ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ მანამდე არა ადამიანს არ გაეგონა და საკვირველია განა, რომ ყოველ ამის შემდეგ ყოველ-წლივ იესო ქრისტეს შობის დღეს დიდებით ვადიდებთ, ერთმანეთს სიხარულით ვულოცავთ, ვმხიარულობთ და თვითოეულის გული მოწყალებისათვის და მადლისათვის სძგერს.

ხოლო არ გვესმის, რა მიზეზით ამასთანავე, თუ არ მეტის, სიხარულით ვეგებებით ხოლმე პირველ დღეს ახალი წლისას. აი ესეც ახალი წელიწადი და არ ვიცით რა მოგილოცოთ: წასვლა ძველისა, თუ მოსვლა ახლისა. ან ერთში რა ყრია, ან მეორეში, ვერ გამოგციცვნია. წასვლა ძველისა თავის-თავად ბევრი არაფერი სასიხარულოა. პირიქით, სანაღვლელი უფროა. ჯერ იმიტომ, რომ კარგი იყო თუ ავი, მაინც შეჩვეული ჭირი იყო და შეჩვეული ჭირი ხომ ზოგჯერ ქართველისათვის შეუჩვეველ ლხინსა სჯობია. მეორე იმიტომ, რომ ძველი წელიწადი წავიდა და სასიცოცხლოდ მოთვლილ დღეთაგან თვითოეულს ჩვენგანს მოაკლდა მთელი სამას სამოცდახუთი დღე და სამას სამოცდა ხუთი დღით ახლო მიუვედით იმ აუცილებელს სადგურს, საცა შესვლაა და გამოსვლა აღარა. ნუთუ ეს მისალოცველია და სასიხარულო... ხუმრობაა, მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტ-საათიანი დღე და მთელი სამასსამოცდახუთი თორმეტი საათიანივე ღამე... წავიდა და დაიღუპა ეს ამოდენა დღე და ღამე, ეს ამოდენა დრო და ჟამი იქ, საცა სიცოცხლე უამისოდაც წუთია. დროთა ბრუნვამ რომ ეს ამოდენა ღალა წაართვა ჩვენს სიცოცხლესა, სამაგიეროდ რა ნუგეში მოგვცა, რა გვათესინა, რა მოგვამკევინა, რა დაგვამუნათა? რომ გვეთქმოდეს – ბევრი არაფერიო, ცოტა მაინც საგულვებელი გვექნებოდა. საქმე ის არის, რომ სულ არაფერი მოუცია, და ეს რა ნუგეშია. მიდიან დღენი, მიდიან წელნი და ჩვენ ისევ ისე პირდაღებულნი ვართ, ისევ ისე ხელცარიელნი, როგორც ვყოფილვართ, და ვიძახით: სად წავიდეთ, ვის შევჩივლოთ, ვის ვუთხრათ, ვინ განგვიღებს დახშულ კარებს ბედისას?

ბედის კარის გაღებას ვინ სჩივის. ეს ის ძეხვია ჩვენთვის, რომელსაც მშიერი კატა ვერ შესწვდა და თავი იმით ინუგეშა, რომ პარასკევიაო. ჩვენთვის ისიც დიდი ბედნიერება იქნებოდა, რომ უბედურების კარის დახურვას და შიგნიდან ჩაკეტვას მაინც ვღირსებოდით. ეს რომ მაინც ეწყალობებინა ძველს წელიწადს, კიდევ ღმერთს მადლობას ვეტყოდით და არ დავინანებდით ამისთვის იმ ძვირფას საფასურის გაცემას, რომელსაც დღენი სიცოცხლისანი ჰქვიან, და რომელიც მით უფრო ძნელი გასამეტებელია, რომ ჩვენდა დაუკითხავად მიდის და აღარ ბრუნდება უკან. სხვა ყველა გაცემული ისევ ხელახლად მოიხვეჭება და სიცოცხლის წარსული დღენი-კი აღარა. ვაი ფუჭად განვლილს სამას სამოცდა ხუთს დღეს და ღამეს. ჩვენს სიცოცხლეს ეს ამოდენა ხანი მოაკლდა და ერთის ბეწვის ოდენაც-კი არა შეგვამტნია რა. უნდა ვტიროდეთ და არ გვიხაროდეს კი, რომ ესე უგემურად, ურგებად დღენი ჩვენნი დავლიეთ. აქ სინანულს უფრო მეტი ადგილი აქვს, ვიდრე სიხარულს, გლოვას და სამძიმარს, ვიდრე მხიარულებასა და მილოცვ-მოლოცვას.

სინანულიც კაი საქმეა, კაი საქონელია, თუ მართლა საგონებელში რაშიმე ჩავგაგდო და ნამუსი და სინდისი თავისის უტყუარის სასწორით ხელში კარზე მოგვაყენა ჩვენდა განსაკითხავად. განკითხვა თავისის თავისა ბევრს მიზეზს დაგვანახვებდა ჩვენის უბედურებისას და ქარისაგან მოტანილს სიხარულს ძველის წასვლისას და ახალის მოსვლისას ქარსავე გაატანდა, მაგრამ სად არის. სინანულისა და განკითხვისათვის აღარც გული გვაქვს გულის ადგილას და აღარც ჭკუა ჭკუის ადგილას და ვიძახით წარამარად „დრონი მეფობენო“, მაშინ, დრო მხოლოდ იგი ქვევრია, რომელიც მარტო იმას ამოიძახებს ხოლმე, რასაც თვითონ კაცი ჩასძახებს.

რაღა საკვირველია, რომ ჩვენ, ძველის წელიწადისაგან გულგატეხილნი და ასე უნუგეშოდ დარჩენილნი, ახალ წელიწადს რაღაც იმედით ვებღაუჭებით, რაღაც სიხარულით შევნატრით. მეტი რა გზაა, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო. ჩვენც ასე მოგვდის. ხოლო საკითხი ეს არის: ეს კარზე მოსული ახალი წელიწადი ჯერ ხომ გაუჭრელი ნესვია და რა საბუთია, რომ შევხარით. ქრისტეს აქეთ სრული ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტი წელიწადი გასთენებია ადამიანს საერთოდ და ჩვენ, ქართველებს ცალკე და ათას რვაას ოთხმოცდათვრამეტჯერ სიხარულით და მილოცვით მივგეგებივართ და ამდენჯერვე მოვტყუებულვართ, იმედი და სიხარული გაგვცრუებია და ათას რვაას ოთხმოცდამეცხრამეტე წელიწადისაგან რაღას უნდა მოველოდეთ, ჩვენ, ქართველები მაინც.

მართალია, დღევანდელის დღის გამწარებული კაცი ხვალის იმედზეა ხოლმე, მაგრამ ესეც კი უნდა ვიცოდეთ, რომ ხვალე შვილია დღევანდელის დღისა და დღევანდელი დღე შვილია გუშინდელისა. რაკი ასეა, მაშ დედა ვუნახოთ, მამა ვუნახოთ და შვილი ისე გამოვნახოთ, ქართულის ანდაზისამებრ, და მაშინ დავინახავთ, – რა წითელი კოჭი უნდა ბრძანდებოდეს ჩვენთვის ეს ახლად შობილი ახალი წელიწადი, რომლის მზე და მთვარე, ნათელი და ბნელი პირველ შეხედვით თვალით არა სჩანს, აბა ერთი გვიბრძანეთ, – რა მოვუხანით, რა მოვუთესეთ, რომ რა მოგვამკევინოს.

„ყოველი მსგავსი მსგავსსა ჰშობსო“, ნათქვამია, და უხეირო, უსაქმურ წელიწადისაგან ნაშობი რა ხეირს მოგვიტანს. განა ამისთანა წელიწადი ერთი და ორია!.. ეს რამდენი დრო და ჟამია, რაც ჩვენ ვიძახით: „წახდნენ ყოველნი ჩვენთვისა, რაიც გვქონდა ქონებანიო“. ვინ არის ამის მიზეზი? არავინ, ჩვენს მეტი, და ამის მაგიერ, რომ ყოველმა ახალმა წელიწადმა ჩვენს თავზე მიგვახედოს, დაგვიჟინია „შემოვდგით ფეხი და გწყალობდეთ ღმერთიო“ და გვგონია, რომ რაკი ეს ვთქვით, ციდან მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდება. ის-კი აღარ გვახსოვს, რომ ღმერთი მარტო გამრჯელის მწყალობელია და უხეიროს, უქმს, უსაქმურს პირს არიდებს. დღენი დღესა სცვლიან, წელიწადნი წელიწადს და ჩვენი თავი კი ისევ ისე წყალს მიაქვს, ანდაზისა არ იყოს, – ურია წყალს მიჰქონდა და გზაც ის იყოვო. გაურჯელს კაცს წყალი წაიღებს. მაშ რა მოუვა. ამას დიდი ლარი და ხაზი არ უნდა.



„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა-კი ახალი წელიწადი კარს დაგვირაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმაღაა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავის-თავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ეხლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება? აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია-რა. ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია-რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთს ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთად-ერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ „მხნე იყავ და განძლიერდი“ – აი ჩვენი საახალწლო მოლოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

**ტფილისი, 31 დეკემბერი, 1898 წ.**

# ძველი საახალწლო მოგონებებიდან



ფეხქვეშ სასიამოვნოდ ხრაშუნობდა მზის შუქზე ალმასივით ბრჭყვიალა თოვლი. არემარე თეთრად გადაპენტილიყო. ნელა მივაბიჯებდი სკოლისაკენ. მსიამოვნებდა მთიდან მობერილი ცივი ჰაერით, როგორ მევსებოდა ფილტვები. ყვარლის მთებს თავები ულამაზესად შეევერცხლათ და დიდბუნოვნად გაყუჩებულიყვნენ...

პირველ გაკვეთილზე მაგვიანდებოდა. სხვა დროს აჩქარებით გადავკვეთდი „ქაჯეთის მოედანს“, მაგრამ იმ დღეს ამაზე არ ვდარდობდი. სრულიად მონუსხული ვიყავი დეკემბრის ბოლოს მოსული თოვლით მოხატული სილამაზით...

მეხუთე კლასში ვიყავი.

წლის ბოლო დღე იყო სკოლაში.

კედლებს ბრჭყვიალა „წვიმები“ ამშვენებდა.

ცოტანი ვიყავით კლასში. მე ფანჯარასთან ვიჯექი ხის მერხზე, საიდანაც უზარმაზარ ნაძვებს გავცქეროდი და გულში რაღაც მიხაროდა.

შრომის მასწავლებელს შავზოლიანი, ნაცრისფერი პალტო ეცვა და გაყინულ ხელებს ჯიბეში ითბობდა. მომწონდა ახალი მასწავლებლის მარგალიტის საყურეები, მოკლე, ხვეული, შავი თმა და ყავისფერი, ლამაზი ჩექმები.

„გრილიაჟის“ რეცეპტს გვაწერინებდა და მომავალ დამდეგ ახალ წელს გვილოცავდა.

შუადღის მერე, უკვე ნისლში თვლემდნენ ყვარლის მთები, (რომელნიც ყოველდღე მაცილებდნენ სკოლაში და მერე ისევ სახლისაკენ..) რძისფერ ჩამოწოლილ ნისლს მივაპობდი ნელ-ნელა. მციოდა,მაგრამ მიხაროდა ახალიწლის არდადეგების დადგომა.

ჩუმად მიხაროდა, ჩემთვის. მუცელში ვგრძნობდი სიხარულის ვიბრაციებს, ტალღებად რომ გადაეცემოდა ჩემს მთელ სხეულს. სახლში მისულს უფრო მეტად მიხაროდა. მაშინდელი სასიამოვნო წუთები ეხლაც მახსოვს და ყოველ ამ დროს დიდ ძალასა და ენერგიას მაძლევს.

ახალი წლის საღამოს პაპა ეზოში წალამს წვავდა.

მამაჩემი მწვადს აგებდა შამფურზე.

ბიძაჩემი რეზო ხახვს ჭრიდა მრგვლად და წარამარა მაჯით იწმენდდა ცრემლებს. ახალი, ყავისფერი, მაშინდელი მოდური, თურქული ჯემპრი ახლადდაკლული ღორის სისხლით დაწინწკლოდა, რასაც აიუნშიც არ აგდებდა და მაინც ღიმილით ფუსფუსებდა წინასაახალწლო სამზადისში..

მანია ბაბო რუდუნებით ჭრიდა ცხელ ინდაურს და თან დედაჩემს არიგებდა, როგორ უნდა გაეკეთებინა საცივი.

ცეცხლზე მოშორებით ყაურმა თუხთუხებდა. ახლად გამომცხვარ ხაჭაპურებს ოფლივით წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდათ გამდნარი კარაქი. მოხარშული ღორის თავ–ფეხისა და ახლად ძმრითა და ნივრით შეზავებული მუჟუჟისთვის, ცივ მარანში მიეჩნიათ ადგილი. ჭარხლის და იმერეთის სალათები ღრმა, ფიფქებმოხატული თეფშებიდან აფრქვევენ საახალწლო, გემრიელ სურნელს.

– მოხვედი, გენაცვალოს ბაბო! მომეალერსა თავისებურად სკოლიდან დაბრუნებულს და მოხარშული ღორის ტვინი დამიდო სამზარეულოს მაგიდაზე ჩემს ადგილას. იცოდა ძალიან რომ მიყვარდა და ყოველთვის მინახავდა.

იმდენი სითბო, სიყვარული და ზრუნვა იღვრებოდა ბაბოს დაკოჟრილი ხელებიდან და თაფლისფერი, სევდიანი თვალებიდან, მარტო ამ განცდის შეგრძნება მყოფნიდა თავი დაცულად და სამარადჟამოდ ბედნიერად რომ მეგრძნო.

ეს სიყვარული მიხაროდა,რომელიც დღემდე გამომყვა და სიცოცხლის ბოლომდე მიერთგულებს.

მიხაროდა, დედაჩემის მიერ დაცხობილი „ნაპოლეონი“ და „ტრუბაჩკები“. კიდევ, ხრაშუნა, უგემრიელესი გოზინაყი, რომელსაც მანია ბაბო საუკეთესოს ამზადებდა.

მახარებდა ჩემი ასაკის, ჩემს მიერ მორთული ნაძვის ხე, რომელიც ჩემთვის ყველაზე ლამაზი იყო პლანეტაზე არსებულ ყველა ნაძვის ხეთა შორის და ზღაპრული შუქით ელავდა.

მიხაროდა თოვლი, რომელსაც აქა-იქ მთვრალი კაცივით უთავბოლოდ ბოდიალი დაეწყო. ამ დროს ეზოში ჩასული მე და ჩემი ძმა ზაური, სიხარულით ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, რომელი უფრო მეტ თოვლის ფიფქს დაიჭერდა ენით..

მიხაროდა საახალწლო საბავშვო გადაცემები და ხინკლის გაკეთების მოლოდინი.

შებინდებულზე უკვე ბარდნიდა.

ეზოში გაფანტული ღონემიხდილი ნაკვერცხლები მორცხვად ღუოდნენ წითლად.

ბაღჩის ბოლოში თონესთან დედა და ბაბო კახურ შოთებს აპიწკინებდნენ. ფანრის შუქის ზოლზე ყვითლად თოვდა. თეთრი ჩაის ტილოები ეფარათ თონიდან ამოღებულ ცხელ შოთებს. გარეთ დარჩენილ წვეტიან კუდებს თხლად დადებოდა ცივი თოვლი.

ჩემი ოჯახის წევრების წინა საახალწლო ფუსფუსს სათითაოდ ვაკვირდებოდი და გულში კიდევ, რაღაც მიხაროდა ჩუმად და შეუმჩნევლად.

ის რომ მყავდნენ მშობლები, ისეთები, როგორებიც იყვნენ, მანია ბაბო, ნიკუშა პაპა და „ღვთისრისხვა“ მამაჩემი. ხუჭუჭა ძმა ზაური, უჩემოდ რომ ვერსად ძლებდა. ფიქრებში წასული სტუმრების ხმამ გამომაფხიზლა.

– მამიდ, მოვედით!

აქოშინებულმა ჩამოირბინა ეზო ჩემმა ბიძაშვილმა მარიმ მამასთან ერთად და დიდი სინით თავიანთი განთქმული მოხარშული ოხშივარადენილი გოგრა მოგვართვა. ყვითელ ნუგბარს ნაზად ადნებოდა მრავალწახნაგოვანი ფიფქები...

აი, თურმე რა მიხაროდა კიდევ!

მარის ჩვენთან მოსვლა ხომ ერთი დიდი დღესწასწაული იყო. ისე მიხაროდა ყოველთვის მისი დანახვა,თითქოს ყოველდღე ერთად არ ვიყავით!

ჩვენებს გემრიელი, კახური სუფრა გაეშალათ.

– იასევიჩ, „ნამგალო“ დასცხეო, მუდარით ეუბნებოდა ბიძაჩემი პაპაჩემს.

მე, მარი და ზაური კუთხეში მიმსხდრები ვითვლიდით საახალწლოდ ნაჩუქარ კანფეტებსა და შოკოლადებს...

ღამე იყო.

გადაუღებლივ ბარდნიდა.

ჩვენი სახლიდან კახური მრავალჟამიერი ისმოდა..

ახალი წელი თენდებოდა..

მე გულში, ჩემთვის ჩუმად მიხაროდა და ბედნიერი ვიყავი!

ამ მოგონებებით დავდივარ დღემდე..

**ნანა ნასყიდაშვილი**

**ათენი**

# რა უნდა გააკეთოთ ახალი წლის ღამეს, რომ 2024 წელს ოცნებები აგისრულდეთ და წარმატებას მიაღწიოთ?

ახალი წელი გვიახლოვდება. ამბობენ, რომ წლის ყველაზე ჯადოსნურ ღამეს ყველა ოცნება და სურვილი ასრულდება. ახალი წელი ხომ შესანიშნავი შესაძლებლობაა, რომ გავაკეთოთ ის, რაზეც ვოცნებობთ და რისი განხორციელებაც გვინდა. გაგიზიარებთ რამდენიმე რჩევას, რომლებიც დაგეხმარებათ, რომ 2024 წელს თქვენი სურვილები შესრულდეს:

როგორ უნდა ჩაიფიქროთ სურვილი ახალი წლის საღამოს, რომ 2024 წელს ოცნება აგვისრულდეს:

გამოიყენეთ კონკრეტული წინადადებები და პოზიტიური ფრაზები. თუკი ახალი წლის საღამოს თქვენს სურვილში ვინმეს მიმართ ბრაზს, ნეგატიურ ემოციას გამოხატავთ, ითხოვთ, რომ რომელიმე ადამიანის ცხოვრებაში ცუდი რამ მოხდეს, უკან ბუმერანგის ეფექტით დაგიბრუნდებათ. ამიტომაც, იფიქრეთ პოზიტიურად, იყავით კეთილგანწყობილი. ასეთ შემთხვევაში დადებითი ემოციები უკან დაგიბრუნდებათ.

ჩამოაყალიბეთ სურვილი, რომელიც მხოლოდ თქვენ გიკავშირდებათ და არა ზოგად მოვლენას. ეს სურვილის ასრულებისთვის მნიშვნელოვანი ნაწილია. ისაუბრეთ პირველ პირში და თქვენს ოცნებაზე.

ნათლად წარმოიდგინეთ თქვენი ოცნება, გარკვევით, მოკლე ფორმულირებით ჩამოწერეთ ფურცელზე. ნუ ისურვებთ ისეთ რამეს, რაც სხვა ადამიანს დააზიანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ოცნება არ აგისრულდებათ და პირიქით, თქვენ დაგაზიანებთ.

თუ ახალი წლის საღამოს სურვილს შემდეგი ფორმულირებით ჩაიფიქრებთ – „მალდივის კუნძულებზე წასვლა მინდა“, არასწორი ინტერპრეტაცია ექნება. სურვილი უნდა ჩაიფიქროთ ისე, თითქოს, ის უკვე ახდა. მაგალითად: „ორი კვირით მალდივის კუნძულებზე ვისვენებ და დროს შესანიშნავად ვატარებ“.

ნუ გამოიყენებთ ნაწილაკს – „არ“. მაგალითად, ახალი წლის საღამოს ნუ იტყვით: „არ მინდა, 2024 წელს ავად გავხდე“. როგორც სპეციალისტები ამბობენ, „არ“ ნაწილაკს საპირისპირო ეფექტი აქვს და შესაძლოა, პირიქით ახდეს. ამიტომ, შეგიძლიათ, თქვათ: „მინდა, მთელი წლის განმავლობაში ჯანმრთელად ვიყო“.

სურვილის ფორმულირებისას, ნუ დააკონკრეტებთ, მაგალითად, მაინცდამაინც რომელ კომპანიასა და თანამდებობაზე გსურთ მუშაობა. ითვლება, რომ ასე განვითარების არეალს ზღუდავთ.

თუკი თქვენი სურვილი შემოსავლის გაზრდას უკავშირდება, ნუ იტყვით: „მინდა, ლატარიაში მილიონი მოვიგო“. დიდი შანსია, რომ ასეთი სურვილის შემთხვევაში, ფინანსური პრობლემები შეგექმნათ. ნაცვლად ამისა, შეგიძლიათ, ჩაიფიქროთ: „მინდა, ჩემი შემოსავალი სამჯერ გაიზარდოს“.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია, რომ სურვილის ჩაფიქრებისას გამოხატოთ პოზიტიური ფრაზები, მკაფიოდ ჩამოაყალიბოთ სათქმელი და წარმოიდგინოთ, რომ ის, რაც ძალიან გინდათ, მომავალში კი არა, ახლა ხდება.

საუკეთესო რიტუალები იმისათვის, რომ 2024 წელს სურვილები აგვისრულდეს:

პირველ რიგში, სახლი საფუძვლიანად უნდა მოაწესრიგოთ და ყველა არასაჭირო ნივთი გადააგდოთ, გააჩუქოთ, ოთახიდან გაიტანოთ – ითვლება, რომ ამ გზით, სახლიდან ძველი, ნეგატიური ამბები და უიღბლობა გაგაქვთ. ახალ წელს შეხვდით პოზიტიური განწყობით და რწმენით, რომ წინ უკეთესი ამბები იქნება.

**ნაძვის ტოტი**

არსებობს ასეთი წარმოდგენა, რომ ნაძვის ხესთან პატარა ტოტი ხელში აიღოთ და თქვენი სანუკვარი ოცნების შესახებ ჩასჩურჩულოთ. უმჯობესია, ეს მარტო, სხვა ადამიანების თანხლების გარეშე გააკეთოთ. შემდეგ პატარა ტოტი წყლიან ჭიქაში ჩადეთ, საწოლთან ახლოს დადეთ. სამი დღის შემდეგ კი დათვალეთ, რამდენი წიწვი ჩამოვარდა. ლუწი რიცხვი ნიშნავს, რომ ოცნება 2024 წელს ახდება. კენტი რიცხვი კი ნიშნავს, რომ ცოტა უნდა დაელოდოთ.

გაგრძელება მე-9 გვ.-ზე

# ბავშვთა ფეხბურთს უნდა მიექცეს მნიშვნელოვანი ყურადღება, რომ აღიზარდონ კვარაცხელიას მსგავსი სასახელო ფეხბურთელები

დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

*მომავლისა. მაგრამ, დიდმა სამამულო ომმა ყველაფერი არია. მამა გიორგი ომში გაიწვიეს, შემდეგ დათოც დაიბადა. მალე მამის დაღუპვის ამბავიც შეიტყვეს. ქალმა კი, მალევე მიატოვა დაღუპული ქმრის სახლ-კარი და თავისი პირადული გრძნობა არჩია ჩვილი შვილის მოვლას.*

*დათო ცხრა წლამდე მამიდასთან იზრდებოდა. ცუდ „ვარსკვლავზე“ დაბადებულს არც აქ ჰქონდა სიმყუდროვე. შიში, შიმშილი, ცემა და სიცივე (ხშირად თონეში ეძინა) – მისი მეგზურები იყვნენ.*

*მერე დავითი გურჯაანის სკოლა-ინტერნატში მიაბარეს. აღმზრდელებმა მიუკარებელ, დაჩაგრულ ბავშვს ადამიანური სითბო ჩაუნერგეს გულში, გამოვიდა გაუსაძლისი მდგომარეობიდან, სწავლასაც ბეჯითად მოკიდა ხელი და ფეხბურთშიაც გამოიჩინა თავი. ბედისწერამ ყვარელში მოიყვანა ფეხბურთის სათამაშოდ და კეთილი ადამიანების მხარში ამოდგომით ტრადიციული ქართული ოჯახი შექმნა ქალბატონ მაყვალასთან ერთად.*

*ყვარლის ფეხბურთის მოყვარულთა ხსოვნაში, ვისაც მისი ახალგაზრდობის წლები გვინახავს, როცა თავდაუზოგავად იცავდა ყვარლის დურუჯის კარს, არ დაგვავიწყდება რამდენჯერ გადაურჩენია თავისი საყვარელი გუნდი დამარცხებას. სასიხარულოა, რომ იგი შრომითა და ფიქრებით დაღლილი, დღესაც ძველებური შემართებით აგრძელებს ცხოვრებას.*

*დამსახურებულ ვეტერან ფეხბურთელს სახალხო დღესასწაულის – „ილიაობის“ მზადების საიუბილეო კომისიის გადაწყვეტილებით ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 186-ე წლისთავის აღსანიშნავ ილიაობაზე საზეიმო ვითარებაში უნდა გადაცემოდა ყვარლის საპატიო მოქალაქის დამადასტურებელი სიგელი. სამწუხაროდ, წლევანდელი „ილიაობა“ მოკრძალებულად აღინიშნა, ვინაიდან რუსმა ოკუპანტებმა სამაჩაბლოში სასაზღვრო ხაზთან მხეცურად მოკლეს საქართველოს მოქალაქე თამაზ გინტური და ქვეყნის მასშტაბით და მათ შორის ყვარელში საზეიმო ღონისძიებები აღარ ჩატარდა.*

*მოგვიანებით ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, ბატონმა გივი ზაუტაშვილმა საპატიო მოქალაქეებს და მათ შორის დავით სომხიშვილს ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდების დამადასტურებელი სიგელი გადასცა.*

*ყვარლის საპატიო მოქალაქეს, ბატონ დავითს სახლში მივაკითხეთ ინტერვიუს ჩასაწერად და ვთხოვე გულახდილად ელაპარაკა განვლილ ცხოვრებაზე.*

***– ბატონო დავით, გილოცავთ ყვარლის საპატიო მოქალაქის წოდების მონიჭებას, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს, შვილებში და შვილიშვილებში გახარებას.***

– დიდი მადლობა მინდა მოვუხადო ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ გივი ზაუტაშვილს და საიუბილეო კომისიას ჩემთვის საპატიო მოქალაქის წოდების მონიჭებისთვის.

***– ფეხბურთს რომელ ასაკში ეზიარეთ და ვინ დაგაკვალიანათ ამ გზაზე?***

– ფეხბუთის თამაში დავიწყე 15 წლიდან, თბილისის 35-ე საფეხბურთო სკოლაში და ჩემი მწვრთნელი იყო მარღანია, საქართველოს საუკეთესო მეკარე.

***– აქტიურ სპორტულ ცხოვრებაში როდიდან ჩაერთეთ?***

– ფეხბურთის თამაში დავიწყე 1959 წლიდან, ვთამაშობდი სხვადასხვა გუნდებში. პარალელურად ვეწეოდი პედაგოგიურ მოღვაწეობას სპორტის სხვადასხვა სახეობაში, რომლის დროსაც მიღებული მაქვს მეთოდისტ პედაგოგის დიპლომი და სხვადასხვა სიგელები.

***– ყვარელში საცხოვრებლად გადმოსვლა რამ განაპირობა?***

– 1973 წელს ყვარლის „დურუჯი“ და ხობის „კოლხეთი“ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფში თამაშობდნენ და ხობის „კოლხეთის“ კარს მე ვიცავდი. ჩემპიონატის მორიგი შეხვედრა გვქონდა ყვარელში და მატჩი ფრედ დავამთავრეთ. „კოლხეთის“ ფეხბურთელებიდან საუკეთესო მოთამაშედ დამასახელეს მე. თამაშის დამთავრებისთანავე „დურუჯის“ მთავარი მწვრთნელი, ცხონებული ზაურ ჩახნაშვილი და გუნდის კაპიტანი ოთარ ჩიხიაშვილი მოვიდნენ და მთხოვეს სეზონის დამთავრების შემდეგ „დურუჯის“ შემადგენლობაში მეთამაშა, რაზედაც სიამოვნებით დავთანხმდი.

ჩემი ყვარელში ყოფნის დროს ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში უანგაროდ მეხმაურებოდნენ „დურუჯის“ კაპიტანი ოთარ ჩიხიაშვილი და ცხონებული თემურ წიწრიაშვილი.

***– როგორ გაიხსენებ ხობში მომხდარ ავარიის შემთხვევას?***

– მოგეხსენებათ ვთამაშობდი ხობის „კოლხეთში“, ხოლო პარალელურად ვმუშაობდი სპორტულ სკოლაში მწვრთნელ-მასწავლებლად და ხობის საშუალო სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად. ჩემი მეზობელი, მეხუთე კლასელი გოგონა ნინო ანანია, ხელჩაკიდებული მიმყავდა სკოლაში და გადასასვლელზე სწრაფად მომავალმა ავტომანქანამ ხელიდან გამომტაცა და მდინარეში გადააგდო. მე მაშინვე გადავხტი მდინარეში, ამოვიყვანე გოგონა და შემხვედრი მანქანით საავადმყოფოში მივიყვანე. უფლის წყალობით გოგონას ჩემი ჯგუფის სისხლი აღმოაჩნდა და სისხლის გადასხმით გადავარჩინე. მეორე დღეს სკოლაში მისულს პედკოლექტივი და მოსწავლეები ოვაციებით შემეგებნენ და უამრავი მადლობა მივიღე.





***– რამდენი წელი მოგიწიათ დურუჯის კარის დარაჯობა და რა შედეგებს მიაღწიეთ?***

– „დურუჯის“ კარს ვიცავდი 1976 წლიდან 1981 წლამდე.

***– უმაღლეს ლიგაში გადასვლის დროსაც თქვენ იცავდით დურუჯის კარებს?***

– უმაღლეს ლიგაში გადასვლის დროს „დურუჯის“ კარს იცავდა ფაქსაშვილი, მაგრამ შუა სეზონში მან გუნდი დატოვა, რის შემდეგაც „დურუჯის“ კარს იცავდა ჩემი შვილი, გიორგი სომხიშვილი, რომელიც იმ დროს იყო 14 წლის. ამის გამო იგი შევიდა საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში, როგორც უმაღლეს ლიგაში ყველაზე მცირე ასაკის მოთამაშე.

***– როგორ გაიხსენებთ უმაღლეს ლიგაში თამაშს, მწვრთნელის როლს და ფეხბურთელთა შემართებას?***

– საბჭოთა კავშირის დროს, უმაღლეს ლიგაში ქუთაისის „ტორპედოს“ კარს ვიცავდი 1963-1964 წლებში.

***– შენი თაობის ფეხბურთელებიდან ვინღა დარჩნენ ცოცხლები?***

– ჩემი თაობის ფეხბურთელებიდან ცოცხლები არიან ოთარ ჩიხიაშვილი, სიმურ ღონღაძე, გივი ნერსეზაშვილი, შალვა ნერსეზაშვილი, თენგიზ გაგნიძე, გივი შევერდოშვილი, თამაზ ჯანდიერი, თემურ მოლაშვილი, ნუგზარ გაბოევი, ვანო უსეინაშვილი, ბეჟან მოსიაშვილი.

***– თქვენი შვილებიდან და შვილიშვილებიდან რომელიმე თუ ეზიარა ფეხბურთელის პროფესიას და რა მიღწევები ჰქონდათ?***

– ჩემმა შვილებმა მიხეილ და გიორგი სომხიშვილებმა თამაში დაიწყეს „დურუჯის“ გუნდიდან. მიხეილი თამაშობდა სხვადასხვა გუნდებში, ბოლოს თამაშობდა გორის „დილაში“.

გიორგიმ ითამაშა ქუთაისის „ტორპედოში“ და თბილისის „დინამოში“. იყო საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრების წევრი, რომელიც საქართველოს ფეხბურთის ისტორიაში პირველად გავიდა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში. გიორგი საქართველოს ჩემპიონატში ჩემპიონი გახდა ორჯერ, ქუთაისის „ტორპედოში“ – 2000 წელს და გორის „დილაში“ – 2015 წელს. დავით ყიფიანის სახელობის სუპერთასის ფინალში მისმა გუნდმა საჩხერის „ჩიხურამ“ 2014 წელს გაიმარჯვა და გახდა თასის მფლობელი, ამასთან ერთად რამდენჯერმე იყო თასის ფინალისტი. შვილიშვილი – გიორგი აბურჯანია, რომელიც იყო საქართველოს 17 წლამდე და 19 წლამდე ნაკრების წევრი, დღეისათვის კი არის საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრი, თამაშობდა ესპანეთის „სევილიაში“, დღეისათვის კი თამაშობს თურქეთის უმაღლესი ლიგის გუნდში.

***– ოთხმოციან წლებში, ქართული ფეხბურთის გრანტი დინამო თბილისი ევროპის მასშტაბით უძლიერეს გუნდს წარმოადგენდა და ევროპის თასიც კი მოიპოვა, რა უნდა გაკეთდეს ამ დონის ფეხბურთელები რომ აღიზარდნენ საქართველოში?***

– საჭიროა ყველა მუნიციპალიტეტს ჰქონდეს კარგი საწვრთნელი ბაზა და ჰყავდეთ კვალიფიციური მწვრთნელები. ბავშვთა ფეხბურთს უნდა მიექცეს მნიშვნელოვანი ყურადღება, რომ აღიზარდონ კვარაცხელიას მსგავსი სასახელო ფეხბურთელები.

კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა მოვუხადო ყვარლის მუნიციპალიტეტის მერს და ყვარლის საზოგადოებას, ჩემი მოღვაწეობის შრომის და მუშაობის დაფასებისათვის. ყველას გილოცავთ ახალ წელს, გისურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, შვილებში და შვილიშვილებში გახარებას ბატონო დავით.

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# ყველაფერი, რაც საახალწლო სუფრისთვის უნდა იცოდეთ

ახალ წლამდე ცოტა დრო რჩება. თუკი სხვადასხვა აქსესუარის, სუფრის გაწყობისთვის ინგრედიენტების მომარაგებას გეგმავთ, შესაძლოა, ეს რჩევები გამოგადგეთ. 2024 წლის მთავარი სიმბოლო მწვანე ხის დრაკონია. ჩინური ჰოროსკოპის მიხედვით, ჰოროსკოპის 12 ნიშნიდან დრაკონი ყველაზე ბრძენ და პატივსაცემ ცხოველად ითვლება. დრაკონს შრომისმოყვარეობა, პატიოსნება და ერთგულება ყველაზე მეტად უყვარს. აფასებს სიფერადესა და სილაღეს. ამიტომაც, სახლის მორთვისა, თუ სუფრის გაფორმების კუთხით, სხვადასხვა დეტალი უნდა გავითვალისწინოთ, თუ გვსურს, რომ წლის მთავარი სიმბოლოს კეთილგანწყობა მოვიპოვოთ.

დრაკონს ყველაზე მეტად მიმზიდველი, ბრჭყვიალა და ხმაურიანი ფერები მოსწონს. წითელი, მწვანე, ოქროსფერი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი და იასამნისფერი მისი ფავორიტი ფერებია. ამიტომ, ვიდრე სუფრას გააწყობთ, ჯობს, დაფიქრდეთ, ხელსახოცების, ჭურჭლის, დეკორაციების ფერებზე და ჩამოთვლილ ტონებს მიანიჭოთ უპირატესობა. მაგალითად, ვერცხლისფერი დანა-ჩანგალი იასამნისფერ სუფრაზე ძალიან



ლამაზად გამოიყურება, ოქროსფერი კი – წითელ, ან მწვანე სუფრაზე.

გააფორმეთ მაგიდა ნაძვის ხის მცირე ტოტებით, დრაკონის ფორმის გამოსახულებებით, სანთლებით – როგორც ასტროლოგები ამბობენ, წლის მთავარ სიმბოლოს ცეცხლი განსაკუთრებით მოსწონს. ამიტომ, სუფრაზე შეგიძლიათ, როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნური სანთლები და განათებებიც განათავსოთ.

**რა შეიძლება საახალწლო სუფრისთვის მოვამზადოთ?**

საახალწლო სუფრისთვის შეგიძლიათ, გამოიყენოთ: ღორის, საქონლის ხორცი, თევზი, ყველის დაფა, ხორცის რულეტი, სანელებლებით შეზავებული კერძები, ბრინჯიანი კერძები, გლინტვეინი, დესერტები შოკოლადითა და მარწყვით, თხილეული, ჩირეული და სხვა.

**რა არ უნდა იდოს საახალწლო სუფრაზე?**

ქათამი – როგორც ასტროლოგები ამბობენ, ეს სიღარიბის სიმბოლოა და შესაძლოა, 2024 წელს ფინანსური პრობლემები შეგექმნათ. ქათმის ხორცის ნაცვლად, შეგიძლიათ, სუფრაზე კურდღლის ხორცი განათავსოთ.

სოკო – როგორც ამბობენ, ის წუხილისა და დარდის სიმბოლოა. ამიტომაც, საახალწლო სუფრაზე ნუ გადააჭარბებთ. შეგიძლიათ, მცირე რაოდენობით სალათებში გამოიყენოთ.

ხახვი – როგორც ასტროლოგები ამბობენ, დრაკონისთვის ის სიმწარესთან, ცრემლთან და წყენასთან ასოცირდება. ამიტომაც, ამ შემთხვევაშიც ნუ გადააჭარბებთ. კერძებში შეურიეთ, თუმცა დომინანტურ გემოდ ნუ გახდით.

თეთრი პილპილი – დრაკონს უფრო ცხარე კერძები უყვარს. თეთრი პილპილი ჩხუბთან და კონფლიქტებთან ასოცირდება, ამიტომ ჯობს, სანელებლად არ გამოიყენოთ.

რამდენიმე საინტერესო რეცეპტი საახალწლო სუფრისთვის:

### ფარშირებული კვერცხი – „დრაკონის თვალები“

**ინგრედიენტები:**

- კვერცხი – 3 ცალი
- მაგარი ყველი – 40 გრ
- ახალი კიტრი – 60 გრ
- ნიორი – 2 კბილი



- მაიონეზი – 3 ჩაის კოვზი
- ზეთისხილი – 2 ცალი
- სალათის ფურცლები – 40 გრამი
- მარილი გემოვნებით

**მომზადება:**

კვერცხი მაგრად მოახარშეთ, გააგრილეთ, შუაზე გაჭერით და გულისგან ფრთხილად გაათავისუფლეთ ისე, რომ ცილის სტრუქტურა არ დაირღვეს. ყველი გახეხეთ და კვერცხის გულებს შეურიეთ. ნიორი დაჭყლიტეთ, დაამატეთ ყველიან მასას, შემდეგ დაამატეთ მაიონეზი, მარილი და კარგად აურიეთ. მიღებული მასით ამოავსეთ კვერცხი, პატარა ჩაღრმავება გაუკეთეთ და ზეთისხილი მოათავსეთ. კიტრი თხლად დაჭერით და კვერცხს შემოახვიეთ. თეფშზე დააფინეთ სალათის ფურცლები და კვერცხი გადაიტანეთ. თემატური კერძი „დრაკონის თვალები“ მზადაა!

### კენკრის პუნში

**ინგრედიენტები:**

- ვისკი – 50 მლ
- მოცვი – 50 გრ
- გაყინული ალუბალი – 50 გრ
- წითელი მოცხარი – 50 გრ
- ლიმონი – 30 გრ
- შაქარი – 1 სუფრის კოვზი
- დარიჩინის ჩხირი – 1 ცალი
- მიხაკი
- წყალი – 200 მლ
- ანისის ვარსკვლავი – 1 ცალი

**მომზადება:**

მოათავსეთ კენკრა ქვაბში, დაამატეთ მიხაკი, დარიჩინი, ანისის ვარსკვლავი, შაქარი, დაასხით წყალი და 5 წუთის განმავლობაში ადუღეთ. შემდეგ ცეცხლიდან გადმოდგით და გააგრილეთ. ბოლოს დაუმატეთ ვისკი და გადაანაწილეთ ჭიქებში.

### სალათი „ჩინური დრაკონი“

**ინგრედიენტები:**

- ახალი ჭარხალი – 200 გრ
- ღორის სუკი – 400 გრ
- ხახვი – 400 გრ
- სტაფილო – 200 გრ
- მწვანე წიწაკა – 1 ცალი
- ზეითუნის ზეთი – 1 ჩაის კოვზი
- ოხრახუში – 100 გრ
- სოიოს სოუსი – 3 სუფრის კოვზი
- ვაშლის ძმარი – 1 სუფრის კოვზი
- მარილი გემოვნებით



**მომზადება:**

ჭარხალი და სტაფილო მსხვილ სახეხზე გახეხეთ, დაამატეთ სოიოს სოუსი და აურიეთ. ღორის ხორცი მოხარშეთ და თხელ ზოლებად დაჭერით. შემდეგ კი ცხარე წიწაკა ასევე ძალიან თხელ ზოლებად დაჭერით და ხორცს დაამატეთ. ხახვი ნახევარწრეებად დაჭერით და ზეითუნის ზეთში 3 წუთის განმავლობაში შეწვით. დაჭერით ოხრახუში, შეურიეთ ყველაფერი ერთად, ძმრით შეაზავეთ და აურიეთ.

### საახალწლო დესერტი

**ინგრედიენტები:**

- ორცხობილა – 250 გრ
- მოხარშული შესქელებული რძე – 4 სუფრის კოვზი
- კარაქი – 100 გრ
- კაკაო შაქრის გარეშე – 2 სუფრის კოვზი
- სიმინდის ფანტელები

**მომზადება:**

ორცხობილა დაფშვენით, შეურიეთ კაკაო, შესქელებული რძე და დარბილებული კარაქი. კარგად აურიეთ და ხელით გირჩის, კონუსისებური ფორმა მიეცით. თეფშზე გადაიტანეთ სიმინდის ფანტელები და გირჩის ფორმები ამოავლეთ და საახალწლო თემატიკის თეფშზე განათავსეთ!



დასაწყისი 1-ელ გვ.-ზე

# გასხვლა სპეციფიკური აგროღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ცოდნას და გამოცდილებას...

მოცილებას, რომელიც ტარდება მოსავლიანობის გაძლიერების, რეგულირებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. გასხვლა სპეციფიკური აგროღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ცოდნას და გამოცდილებას და რომელზეც მთლიანად არის დამოკიდებული მოსავლის რაოდენობა და ხარისხი. გასხვლის პროცესში მსხვლელმა უნდა გაითვალისწინოს ვაზის ჯიშის ბიოლოგიური თვისებები, ნიადაგის ნაყოფიერება, ვაზის ბუჩქის მდგომარეობა და შესაბამისად შეარჩიოს გასხვლის მეთოდი.

ვენახის გასხვლის დროს არ არსებობს ერთიანი მიდგომის სისტემა და გასხვლა უნდა ჩატარდეს კონკრეტული ვაზის მდგომარეობის გათვალისწინებით. რაც შეეხება ერთიან მიდგომას, ზოგად წესებს რომელიც უნდა გაითვალისწინოს მევენახემ გასხვლის პროცესში, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 1.ყველა ჭრილობა უნდა იყოს გლუვი, 2. შტამბის დადაბლებას მიმართავენ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, 3. სანაყოფე რქა ყოველთვის უნდა იყოს ორწლიან რქაზე, 4. ჭრილობა შეძლებისდაგვარად ყოველ წელს უნდა იყოს ერთ მხარეს, 5.სანაყოფე რქა უნდა მდებარეობდეს სამამულე რქაზე მაღლა, 6. სანაყოფე და სამამულე რქები უნდა მდებარეობდეს ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით და არ უნდა წარმოადგენდეს ერთმანეთის გაგრძელებას.

***— იმისათვის, რომ ვაზს მივანიჭოთ ხანგრძლივი სიცოცხლე, მომავალი წლისათვის საჭირო ფორმის ელემენტები, შევუქმნათ ზრდის საუკეთესო პირობები და მოვიწიოთ უხვი მოსავალი, რა ძირითადი წესები უნდა დავიცვათ?***

— ვაზს რომ მივანიჭოთ ხანგრძლივი სიცოცხლე და შევუქმნათ ზრდა-განვითარების საუკეთესო პირობები უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად აუცილებელია ფორმირების შერჩევა, რომელიც დამოკიდებულია ვაზის ჯიშობრივი თავისებურებებსა და ნიადაგურ-კლიმატურ პირობებზე. თუ ვაზის ჯიში, რომელიც გენეტიკურად ძლიერი ზრდით ხასიათდება გაშენდება მცირე კვების არეზე და გახშირდება, ვერ გამოავლენს თავის ბიოლოგიურ თავისებურებებს და იქნება დაბალმოსავლიანი. ასევე თუ ჯიში სუსტად მოზარდია და გაშენდა დიდი კვების არეზე და ძლიერად დაიტვირთა რქებით შეამცირებს მოსავლიანობას.

ვაზის ჯიშის მაჩვენებლები იცვლება ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით. ნაყოფიერ და ნაყამირალ ნიადაგზე შეიძლება ერთი და იგივე ჯიშის ვაზი ძლიერად დაიტვირთოს, ღარიბ ნიადაგებზე კი შეირჩეს დატვირთვის სუსტი ფორმები.

***— ვაზის გასხვლა-ფორმირების როგორი მეთოდების და ხერხების გამოყენებაა უფრო მიზანშეწონილი?***

— ვაზისთვის სხვლის ფორმის ამორჩევა დამოკიდებულია კლიმატურ პირობებზე, ნიადაგზე, ჯიშზე და სამეურნეო მიმართულებაზე. ასხვლა-ფორმირების ფორმებია: ა. სხვლის თავისუფალი ფორმა; ბ. ცალმხრივი, ორმხრივი მოკლე და ჰორიზონტალური კორდონი; გ. მარაოსებრი ფორმა; დ. შპალერის ფორმა ცალმხრივი შპალერი, ორმხრივი შპალერი; ე. ტალავერი (ხეივანი); ვ. ჯამისებური ფორმა.

სხვა ფორმებისაგან განსხვავებით სხვლის თავისუფალი ფორმა რაიმე ჩარჩოებში ჩაყენებას არ ითვალისწინებს. აღნიშნული ფორმით სხვლის დროს ახალშენ ვენახში: პირველ წელს ვაზზე შეირჩევა 2-3 რქა, აქედან ზოგი გაისხვლება პირველი მავთულის სიმაღლეზე, ზოგი კი მეორე მავთულის სიმაღლეზე. მეორე წელს ვაზზე რჩება 4-დან 6 რქამდე, საიდანაც ზოგი სანაყოფედ ისხვლება, ზოგი სამამულედ და პირველ და მეორე მავთულზე კავდება. შემდეგ წლებში მცენარის ზრდა განვითარების შესაბამისად საფორმე ელემენტების რაოდენობა ცვალებადობს.

ბ.კორდონი ა) ცალმხრივი, ბ) ორმხრივი მოკლე, გ) ჰორიზონტალური. ორმხრივი მოკლე კორდონი უმეტესად ძლიერ მოზარდ ჯიშებზე გამოიყენება (კვების არე 3მ2). ამ წესით სხვლის დროს მცენარის მრავალწლიანი მხრები, ჰორიზონტალურად არის დამაგრებული შპალერის ქვედა მავთულზე, ვაზის კვების არის მიხედვით და შეიცავს ერთნაირი რაოდენობის სანაყოფე და ამდენსავე რაოდენობის სამამულე რქებს. ორმხრივი მოკლე კორდონის მისაღებად მეორე წელს გამოიყვანება ორი მხარი, რისთვისაც შეირჩევა ორი რქა და გაისხვლება შტამბის სიმაღლეზე; თითოეულ რქაზე დატოვებული იქნება ორი ზედა ყლორტი დანარჩენი შეეცლება. შემდგომ წელს ზედა რქები ძირში იჭრება, ხოლო ქვედა კი იმ ვარაუდით ისხვლება, რომ თვითოეული მათგანი მომიჯნავე ვაზის მხარს მისწვდეს. რქები, რომელიც გათვალისწინებულია მუდმივი მხარისათვის შპალერის ქვედა მავთულზე დამაგრდება ჰორიზონტალურად. გასხვლის მესამე წელს თითოეულ მხარზე რჩება ორი სასხლავი რგოლი 25-35 სმ – ის დაცილებით, ყოველ რგოლზე რჩება 2 რქა, რომელიც 2-კვირტზე იჭრება. თითოეულ რგოლზე განვითარდება 2-3 რქა, აქედან მომავალ წელს ქვედა გაისხვლება 2-3 კვირტზე სამამულედ, ხოლო ზედა 5-6 კვირტზე სანაყოფედ. მესამე რქა შეეჭრება.

გ. ჩვენთან მიღებული და ყველაზე ხშირია გასხვლის შპალერის ფორმა: ცალმხრივი შპალერი და ორმხრივი შპალერი. ცალმხრივი შპალერი გამოიყენება საშუალო და სუსტი სიძლიერის ვაზებზე. ამისათვის სხვლის პირველ წელს საჭიროა ვაზზე შეირჩეს ერთი რქა და გაისხლას შტამბის სიმაღლეზე, რომელზედაც შემდგომ აღიზრდება ზედა 2-3 ყლორტი დანარჩენი კი შეეცლება. ამ წესით ფორმირებისათვის მეორე წელს შეირჩევა ორი რქა აქედან ქვედა გაისხვლება სამამულედ, ხოლო ზედა სანაყოფედ 6-8 კვირტზე. მესამე და შემდგომ წლებში წინა წლის სანაყოფე რქა იჭრება სამამულეზე, ქვედა რქა ისხვლება ორ კვირტზე, ხოლო ზედა სიძლიერის მიხედვით (8 – 10 მდე). ვაზის ორმხრივი შპალერის გაფორმების ძირითადი პრინციპი იგივეა, რაც ცალმხრივ შპალერს ახასიათებს.

ე.ტალავერი (ხეივანი) საქართველოში ძველთაგანვე ცნობილია ტალავერზე ვაზის აღზრდის ფორმა (მწკრივში დარგული მაღალშტამბიანი ვაზი, რომლის მრავალწლიანი ტოტები და წლიური ნაზარდი ჰორიზონტალურად განლაგებულია საყრდენზე). პირველი გასხვლის დროს მხედველობაში ვღებულობთ რქის სიგრძეს და დიამეტრს. თუ რქის სიგრძე 3-4 მეტრია, დიამეტრი 8-10 მმ, ასეთი სიძლიერის ვაზი გაისხვლება გრძლად შტამბის სიმაღლეზე, საიდანაც ძირითადი მხრების მისაღებად წვერის ორი ყლორტი ჰორიზონტალურად აღიზრდება და შტამბის კვირტები გამოფურჩქვნისთანავე შეეცლება. მეორე წელს ძირითადად ყალიბდება მუდმივი მხარი სასხლავი რგოლებით (სამამულე სანაყოფე).

არსებობს ვაზის სხვლის მრავალი წესი, რომელიც სხვადასხვა რეგიონში გამოიყენება. ისინი შეიძლება დავაჯგუფოთ სამ მთავარ წესად: მოკლე გასხვლა, გრძელი გასხვლა, შერეული გასხვლა. მოკლე სხვლაა როცა რქები ისხვლება 2-3 ძირითად კვირტზე. ვაზის ბუჩქზე ტოვებენ გარკვეული რაოდენობის რქას, რომელიც დამოკიდებულია ზრდის დონეზე და ჯიშზე; გრძელი სხვლაა როცა რქაზე რჩება 3-4 კვირტზე მეტი. რქებს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა სიგრძე და ვაზზე განაწილებული იყოს სხვლის წესის შესაბამისად; შერეული სხვლის დროს ბუჩქზე ერთდროულად ტოვებენ მოკლე და გრძელ რქებს. ეს არის გასხვლის ქართული წესი, რომელიც გულისხმობს მოსავლის მისაღებად გრძელი 8-10კვირტიანი რქების დატოვებას და 2-3 კვირტზე მოკლე სხვლას, რასაც ქართული ტერმინოლოგიით სამამულე რქა ქვია. სამამულე რქის დანიშნულებაა სამომავლოდ ძლიერი სანაყოფე და სამამულე რქების გამოზრდა.

***— ვაზის გასხვლა შემოდგომით უკეთესია თუ ადრე გაზაფხულზე?***

— ვაზის სხვლა შეიძლება დაიწყოს შემოდგომაზე, ზამთრობით ფოთლის ჩამოცვენიდან 2 კვირის შემდეგ. სხვლის წარმოება შეიძლება მთელი ზამთრის განმავლობაში და გაზაფხულზე კვირტების დაბერვამდე. სხვლა არ უნდა წარმოებდეს ძლიერ ყინვიან დღეებში, რადგან რქები მყიფეა და ადვილად ტყდება, ხოლო გადაჭრის ადგილი მეტად მგრძნობიარეა ყინვისადმი. მსხვილ სამრეწველო ვენახებში სხვლა მთელი ზამთრის განმავლობაში მიმდინარეობს, რათა მუშახელი დროზე გამოთავისუფლდეს ვენახის სხვა სამუშაოების ჩასატარებლად. თუ ასეთი პრობლემა არ არის, ვაზის სხვლა შეიძლება ჩატარდეს კვირტების დაბერვის წინ, რადგან ვაზის გვიანი სხვლა რამდენიმე დღით აგვიანებს კვირტების გამოსვლას, ეს კი ხელს უშლის ვაზის დაზიანებას საგაზაფხულო წაყინვებისგან.

***— სხვლის ოპერაციის ჩატარების დროს რა სახის ასპექტები უნდა გავითვალისწინოთ?***

— ვაზის ფორმები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან შემდეგი ძირითადი მაჩვენებლებით: სხვლის წესი; საყრდენი საშუალება; ყლორტების განლაგება და მათი აღზრდის წესი; ეს სამი ძირითადი პირობა უდევს საფუძვლად ყველა არსებულ ფორმას, რომელიც იყოფა სამ ჯგუფად: 1. ბუჩქისმაგვარი ფორმა, 2. ფორმები რომლებიც ხასიათდებიან ვაზის ყველა ნაწილის ერთ სიბრტყეში განაწილებით, 3. ტალავერისმაგვარი ფორმები.

სხვლის ოპერაციის ჩატარების დროს შემდეგი ასპექტები უნდა გავითვალისწინოთ.

დატოვებული კვირტების რაოდენობა (განსაზღვრავს მოსავლიანი ყლორტების რაოდენობას); განვითარებული ყლორტების რაოდენობა (რაც უფრო მეტი ყლორტია განვითარებული, მით უფრო სუსტია ცალკეული ყლორტების სიძლიერე); რქის ვერტიკალური მდგომარეობის ცვლილება (რისთვისაც შემოღებულია შეყელვა; ვაზისთვის გარკვეული ფორმის მიცემა. ვაზის გასხვლასთან დაკავშირებული ყველა ეს საკითხი პირდაპირ დამოკიდებულებაშია ჯიშის ზრდის სიძლიერის, კვების არის და კონკრეტულ გარემო პირობებთან.

***— ვაზის ფორმების კლასიფიკაციაზე რას გვეტყვით?***

— პირველი საკითხი, რომელიც სხვლის დროს გადაიჭრება არის შტამბის გამოყვანა. შტამბი განსაზღვრავს სავეგეტაციო ნაწილების დაშორებას ნიადაგის ზედაპირიდან, რომელიც სხვადასხვა ეკოლოგიური პირობებისთვის სხვადასხვაგვარია.

მეორე საკითხი მდგომარეობს მრავალწლიანი ნაწილების გამოყვანა-განლაგებაში. ასეთი ნაწილები ახასიათებს ჯამისებრსა და კორდონულ ფორმებს, რომლებსაც მრავალი სახეცვლილება აქვთ. სხვლის მესამე საკითის გადაწყვეტა დაკავშირებულია მოსავლიანი ვაზის თვისებების დეტალური შესწავლის საფუძველზე ფესვთა სისტემის და მიწისზედა ორგანოების განვითარებას შორის წონასწორობის დამყარებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ყოველწლიურად დიდი და ხარისხიანი მოსავლის მიღებას და სასხლავი ობიექტის მომზადებას შემდეგი წლისთვის.

***— მოსავლიან ვენახში მეჩხერიანობის შესამცირებლად რა მეთოდებს იყენებენ?***

— მოსავლიან ვენახში გაცდენილი ადგილების შევსება წარმოებს ნამყენი ნერგის გამორგვით და ვაზის გადაწვენის სხვადასხვა წესის გამოყენებით.

*ვაზის გამორგვა.* ვაზის გამორგვა მოსავლიან ვენახში იმ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ, როდესაც მწკრივს თანმიმდევრობით რამდენიმე ვაზი აკლია. ამ შემთხვევაში, მოცდენილ ადგილას გაკეთდება ზოლებრივი პლანტაჟი, ამოიღება 50-60 სმ სიღრმის ორმო. ორმოს ფსკერზე, 20-30 სმ სიმაღლეზე, ჩაიყრება განოყიერებული ფხვიერი მიწა, კარგად განვითარებულ ერთ-ორ წლიან დაპარაფინებულ ნერგს შეეკვეცება ფესვები 10-12 სმ-ის სიგრძეზე და ორმოში განლაგდება თავისი მიმართულებით. მიეყრება ფხვიერი მიწა და დაიტკეპნება. დარგვის შემდეგ ვაზი აუცილებლად უნდა მოირწყოს.

სრულმოსავლიან ვენახში გაცდენილი ადგილის შევსების მიზნით მაღალეფექტურია მწვანე ყლორტის გადაწვენა; რეკომენდებულია, აგრეთვე, მეჩხერი ადგილის შევსება მომწიფებული რქის, ვაზის მთლიანი გადაწვენით, აგრეთვე მხრის გაგრძელებით, ანუ გადახეივნებით. *მწვანე ყლორტის გადაწიდვნა* – ვენახის პირველი გაფურჩქვნის დროს შეირჩევა და საყრდენზე აღიზრდება გადასაწვენად ვარგისი ყლორტი. უმჯობესია იგი შტამბის ქვედა ზონის ამონაყარი იყოს, რომელიც კარგად ვითარდება და აღიზრდება ჭიგოზე, ან შპალერის რომელიმე მავთულზე, გაცდენილი ადგილის მხარეს. მწვანე ყლორტის გადაწვენა უმჯობესია ივლისის მეორე ნახევარში. ყლორტების ჩაწიდნულ ნაწილს შეეცვლება ფოთლები, პწკალები და ნამხრევები, არხში ჩაწვენილ ყლორტს მიეყრება ფხვიერი მიწა, დაესხმება წყალი, შეედგმება ჭიგო და ყლორტი განაგრძობს ზრდას. *რქის გადაწიდვნა* – დანაკლისი ვაზის შესავსებად რქის გადაწიდვნა ხდება შემდეგნაირად: იმ ადგილამდე, სადაც ახალი ვაზი უნდა ამოიყვანონ, გაითხრება 40 სმ სიღრმის არხი, ფსკერზე იყრება ფხვიერი, განოყიერებული მიწა, შემდეგ არხში ფრთხილად გადავაწვენთ რქას, რომლის ზედა ნაწილს ამოვიყვანთ სასურველ ადგილას და გავსხლავთ ორ-სამ კვირტზე, შევუდგამთ ჭიგოს და ვამაგრებთ შპალერის მავთულზე. განვითარებული ყლორტები აღიზრდება ჭიგოზე ვერტიკალურად, ხოლო შემდეგ შპალერის ზედა მავთულზე ჰორიზონტალურად გადაწვენილ რქას მოხრის ადგილზე კვირტები უნდა შევაცალოთ.

*ვაზის მხრის გაგრძელება ანუ გადახეივნება* – აგროტექნიკის მაღალ ფონზე, ძლიერი ზრდის პირობებში, გადახეივნება საუკეთესო შედეგს იძლევა, როგორც გაცდენილი ადგილის შესავსებად, ისე მოსავლიანობის გასადიდებლად. გამეჩხერებული სრულმოსავლიანი ვენახის შევსების ეს წესი გულისხმობს მუდმივი მხრის გაგრძელებას მოცდენილ ადგილამდე, უახლოესი ორი ვაზიდან. ე.ი. გადახეივნებას ერთი ან ორი დანაკლისი ვაზის შესავსებად. მუდმივი მხრის გამოყვანა და მასზე სასხლავი რგოლების შექმნა შეიძლება დავაჩქაროთ ხელოვნურად გამოწვეული ნამხრევების გამოყენებით. ამ შემთხვევაში საჭიროა გადასახეივნებული ყლორტის ჰორიზონტული აღზრდა შპალერის პირველ მავთულზე, სასურველი სიგრძის შემდეგ ძირითად ყლორტს წაეწყვიტება წვერი და მასზე განვითარებული ნამხრევები აღიზრდება ვერტიკალურად. გასხვლის დროს ნამხრევები გამოიყენება სამამულედ და სანაყოფედ. გადახეივნებული ვაზის მუდმივ მხარზე სხვლის დროს იქმნება რამდენიმე სასხლავი რგოლი, რომელთა რაოდენობა დამოკიდებულია ვაზის ზრდა-განვითარების სიძლიერეზე, ჯიშის ბიოლოგიურ თავისებურებასა და აგროტექნიკის დონეზე.

აღნიშნული ღონისძიებების გატარებით დროულად აღმოიფხვრება მეჩხერიანობა და ფართობის ერთეულზე შენარჩუნებული იქნება ყურძნის მოსავალი.

***— ვაზის კულტურა რა სახის საკვებ ელემენტებს და სასუქებს მოითხოვს?***

— ვაზის კულტურაში შემცველობის მიხედვით საკვები ელემენტები იყოფა ძირითად საკვებ ელემენტებად და მიკროელემენტებად. ძირითადი ელემენტებიდან უმნიშვნელოვანესია აზოტი, ფოსფორი და კალიუმი, რომლის ნაკლებობის შემთხვევაში ნიადაგში მცენარე ვერ ვითარდება. როცა ნიადაგს აკლია რომელიმე საკვები ელემენტი, მევენახემ მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარების უზრუნველსაყოფად აზოტოვანი, ფოსფოროვანი და კალიუმოვანი სასუქის სახით უნდა შეიტანოს ნიადაგში ეს საკვები ელემენტები. აზოტს ვაზის ყველა ორგანო შეიცავს დაახლოებით 1-3% რაოდენობით. ის დიდი რაოდენობით შედის ფოთლებში, ყლორტებსა და მზარდ ნაწილებში. ამ ელემენტის სიმცირის შემთხვევაში მკვეთრად ეცემა ყურძნისა და ღვინის ხარისხი. აზოტის სიმცირე პირველ რიგში შეიმჩნევა ქვედა ფოთლებზე, რომელთაც ბევრად უფრო წვრილი აგებულების არიან ვიდრე ნორმალური ფოთლები. ამასთან ერთად ისინი იღებენ მომწვანო მოყვითალო შეფერვას, ყლორტები სუსტად იზრდება და გააჩნიათ მოკლე მუხლთშორისები. ფოსფორის შემცველობა ვაზის ორგანოებში 1%-მდე აღწევს. ის ზრდის ვაზის გვალვა და ყინვა გამძლეობას. ფოსფორის სიმცირის დროს სუსტად ვითარდება ვაზის ფესვთა სისტემა და მიწისზედა ორგანოები, ძლიერ მცირდება გენერაციული ორგანოების წარმოქმნა და ფორმირება, ყვავილობისა და მსხმოიარობის პროცესი. ვაზი ინვითარებს მცირე ზომის მუქ მწვანედ შეფერილ ფოთლებს, რომლებიც ყლორტის ქვედა იარუსზე იღებენ ალისფერ შეფერილობას. ძლიერი დეფიციტის შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფოთლის ზოგიერთი მონაკვეთის ხმობას. ფოსფორით ნორმალური კვება ადიდებს მოსავლიანობას, აჩქარებს ნაყოფების მომწიფებას, ზრდის შაქრების შემცველობას და აუმჯობესებს ღვინის ხარისხს. ამ ელემენტით მოჭარბებული კვება მნიშვნელოვნად ამცირებს სავეგეტაციო პერიოდის ხანგრძლიობას, ამცირებს სავეგეტაციო მასის რაოდენობას, რაც მოსავლის მნიშვნელოვანი შემცირების მიზეზი შეიძლება გახდეს. კალიუმი საერთო შემცველობა ვაზის ორგანოებში 2 %-მდეა. მისი ნაკლებობისას ვაზი ინვითარებს დიდი რაოდენობით წვრილ ფოთლებს, რომელთა კიდეები კალიუმის დეფიციტის პირობებში მთელ გარშემოწერილობაზე იღებს ყავისფერ შეფერილობას და ხმება, რაც არის ამ ელემენტის სიმცირის სიმპტომი „კიდეების სიდამწვრე. ზოგიერთი ქვედა იარუსის ფოთოლი იღებს შვინდისფერ შეფერილობას და ისინიც ხმებიან. ვაზის ყლორტები ინვითარებს მოკლე მუხლთშორისებს და მრავალ წვრილ ნამხრევს. ყურძნის მარცვლი უჯრედის კედლები თხელდება უჯრედანას შემცველობის შემცირების გამო, ამიტომ უხვნალექიან პერიოდში ან ჭარბი რწყვის დროს მარცვლის კანი ადვილად სკდება და ლპება. მცირდება მასში შაქრიანობა, იზრდება მჟავიაანობა, რის შედეგადაც ეცემა ღვინის ხარისხი. მცენარისთვის აუცილებელი საკვები ელემენტებია ასევე კალცუმი, მაგნიუმი, გოგირდი. მიკროელემენტები რკინა, სპილენძი, თუთია, ბორი, მანგანიუმი და სხვა.

***— სასუქების შეტანის ოპტიმალური ვადები როდის არის?***

— ვენახის ფესვთა სისტემის ძირითადი მასა მოთავსებულია 20-60 სმ ფენაში. ტენიან პირობებში 15-30 სმ ფენაში. ეს სპეციფიკა გათვალისწინებული უნდა იქნეს ნიადაგში სასუქების შეტანისას. ვაზს სავეგეტაციო პერიოდში საკვები ელემენტების შეთვისება შედარებით გაგრძელებული აქვს. ამასთან აზოტისა და ფოსფორის შეთვისება ძლიერდება ყვავილობის პერიოდში. აზოტის დღეღამური შთანთქმა სიმწიფის პერიოდში მკვეთრად მცირდება, კალიუმის იზრდება. აზოტის მაქსიმალური დაგროვება ემთხვევა, ვეგეტატიური ორგანოების ზრდის დამთავრებას, ფოსფორისა და კალიუმის – ყურძნის ტექნიკური სიმწიფის პერიოდს. ზემოთთქმულიდან გამომდინარე ზრდის დასაწყისში, განსაკუთრებით კი ყვავილობის ფაზაში ვაზი უფრო მგრძნობიარეა, აზოტისა და ფოსფორის სიმცირის მიმართ, მომწიფების პერიოდში კალიუმის მიმართ. ვაზი მსხმოიარობის ორგანოების ფირმირებას იწყებს წინა წელს და ამთავრებს შემდეგ წელს კვირტების გაშლის წინ. ამიტომ ვეგეტაციის დასაწყისში საკვები ელემენტებით არასაკმარისი უზრუნველყოფა იწვევს, მათ ძლიერ უკუდენას მტევანებში, რის გამოც სუსტდება საყვავილე კვირტების ჩასახვა, რაც აპირობებს ყურძნის მოსავლის შემცირებას შემდეგ წელს. მევენახეობაში სასუქების ეფექტურობის გადიდებისათვის დიდი ნიშვნელობა ენიჭება საკვები ელემენტებს ნორმების ზუსტად დადგენას, რომლებიც ცვალებადობს ვაზის ბიოლოგიური თავისებურებების, ხნოვანების, ნიადაგის ნაყოფიერების, კლიმატური პირობების, გამოყენებული სასუქების ფორმების, გასარწყავების და ვაზის დატვირთვის ხასიათის მიხედვით. სასუქების ოპტიმალურად გამოყენების მიზნით მიზაშეწონილია ჩატარდეს ნიადაგის ლაბორატორიული ანალიზი, რაც მოგვცემს საშუალებას ნიადაში შევიტანოთ სასუქების საჭირო რაოდენობა. ჩამოთვლილი მახასიათებლების შესაბამისად მსხმოიარე ვენახებისა გასანოყიერებლად გათვალისწინებულია ორგანული და მინერალური სასუქების დიფერენცირებული ნორმები. ორგანული სასუქებიდან ნაკელი საჭიროა გამოყენებული იქნეს აღმოსავლეთ საქართველოს ურწყავ ვენახებში 20-25ტ, 3-4 წელიწადში ერთხელ. აღმოსავლეთ საქართველოს კახეთის რაიონების ვენახებისათვის რეკომენდირებულია აზოტის 45-60-90 კგ შეტანა, ფოსფორის 60-90 და კალიუმის 40-90კგ. ჰექტარზე.

ორგანული და ფოსფორ-კალიუმიანი სასუქების ვაზის კულტურის ქვეშ შეაქვთ შემოდგომაზე გადაბარვის წინ 18-22სმ სიღრმეზე. უფრო ეფექტურია მათი სამ წელიწადში ერთხელ შეტანა 40-60სმ სიღრმეზე. ახალი ნაკელი როგორც წესი შეტანილ უნდა

გაგრძელება მე-9 გვ.-ზე

# რა უნდა გააკეთოთ ახალი წლის ღამეს, რომ 2024 წელს ოცნებები აგისრულდეთ და წარმატებას მიაღწიოთ?



დასაწყისი მე-6 გვ.-ზე

### სურვილი ბალიშის ქვეშ

კიდევ ერთი საინტერესო გზა – 12 სურვილი 12 პატარა ფურცელზე დაწერეთ. ახალი წლის, ან შობის ღამეს ბალიშის ქვეშ დაიდეთ. დილით, გაღვიძებისას, ისე, რომ წარწერებს არ შეხედოთ, ერთი ფურცელი აიღეთ. ის რაც ფურცელზე ეწერება, 2024 წელს აგისრულდებათ. სურვილი უნდა ჩამოაყალიბოთ მოკლედ, ერთი წინადადებით და რაც მთავარია, უნდა გჯეროდეთ, რომ რეალურად ახდება.

### სურვილი შამპანურის ჭიქაში

პატარა ფურცელზე დაწერეთ თქვენი სანუკვარი ოცნების შესახებ. შემდეგ ფურცელი გადაახვიეთ და დაწვით. როდესაც ზუსტად 12 საათი შესრულდება, ფერფლი შამპანურის ჭიქაში ჩაყარეთ და დალიეთ.

### ნაძვის ხის სათამაშო

თუ, მაგალითად, სახლზე, მანქანაზე, შემოსავლის გაზრდაზე, შვილის გაჩენაზე, სიყვარულზე ოცნებობთ, ოცნების ასრულების კიდევ ერთი გზა ნაძვის ხეზე შესაბამისი ფორმის სათამაშოს, მაგალითად, სახლის, მანქანის, გულის, ბანკნოტის ფიგურის განთავსებაა. დღესასწაულის შემდეგ ეს სათამაშოები ცალკე, იზოლირებულ ყუთში მოათავსეთ. ითვლება, რომ ამ გზით თქვენი სანუკვარი ოცნების ასრულებას დააჩქარებთ და დიდი შანსია, რომ შედეგი 2024 წელს ნახოთ.

### ერთი მუჭა ბრინჯი

ქილიდან ერთი მუჭა ბრინჯი ამოიღეთ, მარცხენა ხელში დაიჭირეთ და სურვილი ჩაიფიქრეთ. შემდეგ კი ბრინჯის მარცვლები დათვალეთ. თუ ლუწი იქნება, სურვილი 2024 წელს აგისრულდებათ, ხოლო, თუ კენტი – ესე იგი, ასრულების დრო ჯერ არ დამდგარა.

### წერილი თოვლის ბაბუას

შესაძლოა, იფიქროთ, რომ ეს რიტუალი მხოლოდ ბავშვებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა თუ თქვენ პატარა წერილს დაწერთ, სადაც სურვილებისა და ოცნებების შესახებ ისაუბრებთ, კონვერტში მოათავსებთ და თქვენს უჯრაში შეინახავთ, დიდი შანსია, რომ ოცნება აგისრულდეთ.

### ხელნაკეთი, რომელიც თქვენს ოცნებას განასახიერებს

მოიმარაგეთ ქაღალდები, წებო, ფერადი ფანქრები, სხვადასხვა ნივთი – დახატეთ, ან კიდევ ვიზუალურად შექმენით ის, რაზეც ოცნებობთ. ახალი წლის შემოსვლისას კი აღნიშნული ნახატი, თქვენ მიერ შექმნილი ფიგურა ხელში გეჭიროთ და იფიქრეთ იმაზე, რაც მთელი გულით გინდათ, რომ აგისრულდეთ. ამის შემდეგ კი, ნივთი იზოლირებულ ადგილზე შეინახეთ.

### სურვილი, როგორც თვითმფრინავი

შეგიძლიათ, ფურცელზე თქვენი ოცნების შესახებ დაწეროთ. ფურცლისაგან თვითმფრინავი გააკეთოთ ისე, როგორც ბავშვობაში და როდესაც 12 საათი შესრულდება, ფანჯრიდან გააფრინოთ. ითვლება, რომ ამ გზით თქვენს გზავნილს სამყარო უკეთ გაიგებს.

### საჩუქრები უცნობებისთვის

შემოსავლის გასაზრდელად და ფინანსური კეთილდღეობის მისაღწევად, დღესასწაულისთვის ოცდაოთხი პატარა საჩუქარი უნდა მოამზადოთ. დასაშვებია ტკბილეული, წლის სიმბოლოები, სუვენირები, ხილი და ა.შ. თითოეული ნივთი უნდა იყოს გახვეული წითელ ქაღალდში ან მოთავსებული წითელ ჩანთაში. ახალი წლის ღამით კი გადით გარეთ, ქუჩაში და ვინც შეგხვდებათ, აჩუქეთ.

### შუშხუნები

ახალ წელს შუშხუნების თანხლებით შეგიძლიათ, სურვილი ჩაიფიქროთ. ჯოხი არ გადააგდოთ. შეინახეთ, ვიდრე ოცნება არ აგისრულდებათ.

### წითელი კონვერტი

ჩინური ტრადიციის მიხედვით, ახალი წლის ღამეს წითელ კონვერტში ჩადებული ფულის ჩუქება განსაკუთრებით იღბლიანია და ფინანსურ კეთილდღეობას განაპირობებს.

# გასხვლა სპეციფიკური აგროღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ცოდნას და გამოცდილებას...

დასაწყისი მე-8 გვ.-ზე

იქნას შემოდგომით. იმისათვის, რომ რაც შეიძლება ნაკლებად დაზიანდეს ვაზის ფესვთა სისტემა, სასუქების შეტანა და ნიადაგში ჩაკეთება უმჯობესია მოვახდინოთ მწკრივის გამოტოვებით. აზოტიანი სასუქები ნიადაგში შეაქვთ გაზაფხულზე. მისი 60% შეიტანება ვეგეტაციის დასაწყისში, ყვავილობის წინ. წილადობრივი შეტანით მცირდება აზოტის ჩარეცხვითი და აქროლებადი დანაკარგები, იზრდება მისი გამოყენების კოეფიციენტი. თუ ვენახის გასანოყიერებლად ვიყენებთ რთულ სასუქებს ამოფოსს ან დიამოფოსს, ისინი შეტანილ უნდა იქნას საგაზაფხულო გადახვნის წინ, მათში ფოსფორის შემცველობის მიხედვით. აზოტის დანაკლისი შეტანილი უნდა იქნას გამოკვებაში მარტივი აზოტიანი სასუქების ამონიუმის გვარჯილის ან შარდოვანის სახით. თუ ვენახის ქვეშ შეგვაქვს ნიტროფოსი, ნიტროამოფოსი ან ნიტროამოფისკა და სხვა აზოტის შემცველი სასუქების გამოყენება გათვალისწინებული არ არის, მაშინ მათი ნაწილი შეტანილ უნდა იქნას გაზაფხულზე გადახვნის წინ, ან კულტივაციის დროს, ხოლო მეორე ნაწილი ვაზის ყვავილობის წინ.

***– ულრმესი მადლობა ბატონო მამუკა, მეტად სასარგებლო ინფორმაციისთვის, რომელიც მევენახე ფერმერებს შესაძლებლობას მისცემს ვაზის სხვლა ჩაატარონ ახალი მეთოდებით.***

***მეგობრებს სახელით კი, გილოცავ დაბადების დღეს, გისურვებ ჯანმრთელობას და ბედნიერ მომავალს შენს ლამაზ ოჯახთან ერთად.***

***ასევე გილოცავ ახალ წელს, მრავალს დაესწარით.***

**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# სოლომონ დოდაშვილი – ჭეშმარიტი ქართველი რაინდი და მამულიშვილი

მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია სოლომონ დოდაშვილის გარეშე. შეიძლება ითქვას, რომ იმ ეპოქაში საქართველოს ასეთი მოაზროვნე არ ჰყოლია. ის იყო მწერალი, ფილოსოფოსი, მეცნიერი, მკვლევარი, მასწავლებელი, ჟურნალისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი წარმომადგენელი და რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 1832 წლის შეთქმულების იდეური სულისჩამდგმელი.

სოლომონ დოდაშვილი მღვდლის შვილი იყო. იგი დაიბადა 1805 წლის 17 მაისს, კახეთში, ახლანდელი სიღნაღის მუნიციპალიტეტის სოფელ მაღაროში. ღარიბი ოჯახიდან გამოსულმა სოლომონმა პირადი ნიჭითა და ღირსებით შეძლო მიეღო არა მარტო საშუალო განათლება, არამედ უმაღლესიც.

სოლომონ დოდაშვილი ჯერ სწავლობდა სიღნაღის სასულიერო სასწავლებელში, რომლის დამთავრების შემდეგ შევიდა ახლად დაარსებულ თბილისის სასულიერო სემინარიაში. სემინარიაში სწავლისას მას გამოუჩენია ლტოლვა ფილოსოფიისადმი. 1822 წელს ის სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა პეტერბურგში და უდიდესი ენერგიით დაეწაფა ცოდნას.

სოლომონმა პეტერბურგში ჩასვლისთანავე გაიცნო ბაგრატიონთა სამეფო სახლხის წარმომადგენელი ქართველი ბატონიშვილები და იქ მცხოვრები ქართული საზოგადოება, როელთაც მალევე დაუახლოვდა. მათთან ხშირი საუბრები და ურთიერთობა ახალგაზრდა სოლომონზე თავის დადებით გავლენას ახდენდა,რაც საქართველოში დაბრუნების შემდეგ ასე მკვეთრად გამოვლინდა მის მოღვაწეობაში.

1827 წლის გაზაფხულზე სოლომონ დოდაშვილმა წარჩინებით დაამთავრა პეტერბურგის უნივერსიტეტი. იმავე წელს მან გამოაქვეყნა ნაშრომი: ფილოსოფიის კურსი, ნაწილი I, ლოგიკა (რუსულ ენაზე), ნაშრომმა მაღალი შეფასება დაიმსახურა მაშინდელ პრესაში. მისი ნაშრომი „ლოგიკა" დიდი საგულისხმო მოვლენა იყო ქართული ცხოვრების სინამდვილეში.

სოლომონ დოდაშვილი 1827 წელს დაბრუნდა საქართველოში და დაიწყო მასწავლებლობა თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში ქართულ სიტყვიერებაში. გაოცებას იწვევს სოლომონის საქმიანობა. მისი მეცნიერული მემკვიდრეობა იყო დიდი და მრავალფეროვანი: ფილოსოფიის კურსი, ქართული გრამატიკა, ისტორიული ნარკვევები, წერილები ქართულ ლიტერატურაზე და სხვა.

ფართო ერუდიცია, ხალასი ნიჭი, უდიდესი ენერგია, პატრიოტული შემართება და პატიოსნება იყო სოლომონ დოდაშვილის დამახასიათებელი თვისებები. გარდა აღნიშნულისა, სოლომონი თავისი დროის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების გამოფხიზლება– ამოქმედებასაც უწყობდა ხელს. მისი მოღვაწეობის პერიოდში – 1827-1832 წლებში საზოგადოებრივ ცხოვრებაში არც ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენა არ ხდებოდა მისი გონიერი, ნაყოფიერი და აქტიური მონაწილეობის გარეშე.

ცნობილ თეოლოგს, ფილოსოფოსსა და მქადაგებელს, თავის მოამაგესა და მზრუნველს იონა ხელაშვილს სოლომონი თავისი მუშაობის ასეთ ანგარიშს აძლევს 1829 წლის 28 დეკემბრის წერილში:

„აჰა, მამაო საყვარელო! რიცხვნი მოქმედებათა ჩემთანი:

1. შევარდგინე ქართული ღრამატიკა სასწავლებლისთვის.

2. სრულვყავ რიტორიკა ქართულსავე ენასა ზედა.

3. ვჰსთარგმნე, რწმუნებისამებრ მთავრობისა, სჯული ვალდებულებანი სასამართლოებისანი.

4. ვჰსთარგმნე, ბრძანებითა მთავრობისათა, ცხენის სრბოლისათვის წიგნი.

5. შევარდგინე რეესტრი ქართულის წიგნებისა რიცხვით ექვსასამდე: ვისგან, სადა და ოდეს! და თვითოეული რას იპყრობს თავის შორის.

6. შევარდგინე სხვადასხვანი ზნეობითნი ნაწყვეტობანი (ოტრივკი), შესხმანი, ავთრათნი და სხვანი.

7.შევარდგინე მოკლედ ფილოსოფიისა ძალნი საზღვრეობითა და განყოფილებითა მისითა.

8. ისტორიული აღწერა ვიწყე რომელთამე მწერალთა და რომელიმე სრულ ვყავ.

ესენი არიან შინაურნი გონებისა ჩემისა შრომანი, წარსულისა დროისანი და მომავალნი ღმერთმან უწყის".

არ შეიძლება კაცი განცვიფრებაში არ მოვიდეს, როდესაც ამ ცნობებს უკვირდება. სულ რაღაც ორნახევარი წლის მანძილზე სოლომონ დოდაშვილს ცხოვრების მძიმე პირობებში ამხელა საქმე შეუსრულებია. ნიჭისა და ცოდნის გარდა უდიდესი სიყვარული და ენერგია გამოუჩენია და დაუხარჯავს.

სოლომონ დოდაშვილი ამ ფართო და სასარგებლო პედაგოგიური და მეცნიერული მუშაობითაც არ კმაყოფილდებოდა. ის უფრო დიდ საზოგადოებრივ სარბიელს ეძებდა. იგი ფართო გაქანების მოღვაწეა, საქართველოზე შეყვარებული და მასზე მზრუნველი.

სოლომონის ასეთი ბუნებით აიხსნება, რომ ის სამშობლოში დაბრუნებისთანავე ეცნობა და უახლოვდება იმ დროინდელ ქართველ მოწინავე ძალებს, ამყარებს მათთან მჭიდრო ურთიერთობას. სოლომონ დოდაშვილი თავისი ნიჭით, უნარით, მომზადებით ყველგან საჭირო კაცი იყო.

სოლომონ დოდაშვილი, როგორც დიდი მოჭირნახულე და მოამაგე საქართველოსი და ქართველი ხალხისა, კარგად ხედავდა, რომ ახალი ცხოვრების პირობებში საჭიროა და გადაუდებელიც ქართული აზროვნების მრავალი მიმართულებით ამოქმედება.

სოლომონის მსოფლმხედველობისათვის საერთოდ დამახასიათებელია პროგრესულობა. მისი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა ქართული ფილოსოფიური აზროვნების პროგრესული იდეების გაგრძელებას წარმოადგენს.

სოლომონ დოდაშვილი კარგად იცნობდა ქართული ფილოსოფიისა და ლიტერატურის ისტორიას. მან დაგვიტოვა ისეთი მნიშვნელოვანი ფილოსოფიური შრომები როგორიცაა – „ლოგიკა", „ლოგიკის მეთოდოლოგია", „რიტორიკა". მას საპატიო ადგილი უკავია ქართული ფილოსოფიის აზროვნების ისტორიაში.

სოლომონ დოდაშვილი იყო პირველი ქართველი ჟურნალისტი და პუბლიცისტი, ქართული ჟურნალისტიკის მამამთავარი. 1828 წელს თბილისში გამოვიდა გაზეთი – „ტფილისის უწყებანი". 1829 წლიდან სოლომონი ამ გაზეთის რედაქტორია, ხოლო 1830 წლიდან – გამომცემელიც. ქართულ გაზეთს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ მაშინდელი საზოგადო მოღვაწენი – ალექსანდრე ორბელიანი, ალექსანდრე ჭავჭავაძე, ელიზბარ ერისთავი, გიორგი ერისთავი, სოლომონ რაზმაძე და სხვანი.

კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა 1832 წელს სოლომონ დოდაშვილის რედაქტორობით გამოსულ ჟურნალს „სალიტერატურო ნაწილი ტფილისის უწყებათანი". ჟურნალის მიზანი იყო ქართულ საზოგადოებაში დაენერგა თავისუფალი აზრი, პატრიოტული სულისკვეთება და ხელი შეეწყო ქართულ ენაზე განათლების გავრცელებისათვის. სოლომონი ზრუნავდა ბიბლიოთეკისა და სტამბის დაარსებისათვის, ღარიბ მოსწავლეთა ფულადი დახმარებისათვის, უმაღლეს სასწავლებლებში ნიჭიერი ქართველი ახალგაზრდების გაგზავნისათვის.

ამ მისწრაფებითვე აიხსნება მისი ნაყოფიერი მუშაობა როგორც ქართულ ენასა და ლიტერატურაში, ისე საქართველოს ისტორიაში, რომელთა განვითარების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის. პირველ რიგში სოლომონ დოდაშვილი ქართული ენის წარმოშობისა და უძველესი დროიდან თავისთავადობაზე წერდა. ქართული ისტორიული წყაროების საფუძველზე იგი ამტკიცებს, რომ „წერილნი ანუ ასონი ქართულისა ენისანი შემოღებულ არიან, აგრეთვე ენაცა განწრფელებულ პირველის მეფის ფარნავაზისა მიერ... უწინარეს ქრისტეს შობისა 327-ის წელსა. იგინი იყვნენ სრულიად განსხვავებულნი ასოთაგან სხვათა ერთასა".

სოლომონ დოდაშვილი სამშობლოს უდიდესი პატრიოტი იყო. იგი წერდა: „არა თავისა თავისათვის მხოლოდ, გინა ბედნიერებისათვის ვჰმუშაობ, არამედ სიყვარულისათვის მამულისა, რათა ევროპამან ოდესმე ჰსცნას ივერია საშუალობითა წერილითა სარწმუნოთ". მას დიდი სურვილი ჰქონდა, რომ საქართველოს კულტურას ღირსეული ადგილი სჭეროდა მსოფლიო კულტურის საგანძურში.



ცხადია, სოლომონ დოდაშვილი ახალი, ევროპული განათლების გავრცელებას ქართველთა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს, მისი შეხედულებით ხალხის გათვითცნობიერებას დიდად შეუწყობდა ხელს, ეკონომიკურად და კულტურულად წინ წასწევდა საქართველოს. საგულისხმოა და ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებასაც, რომ სოლომონი აუცილებელ საჭიროებად თვლიდა, განათლება ქართველი ერის ყოველი ფენისათვის, ყოველი წოდებისათვის ყოფილიყო მისაწვდომი.

აი, ასეთ დემოკრატიულ საფუძველზე კულტურული აღორძინების, ქვეყნის წინ წაწევის, განათლების, ერის ნიჭისა და უნარის გაშლის მიზნით ილვწოდა სოლომონ დოდაშვილი.

შთამბეჭდავია სოლომონის, როგორც პოლიტიკოსის საქმიანობა ქვეყნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ავანგარდში. იგი რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ 1832 წლის შეთქმულების გამოჩენილი წარმომადგენელია. ის ამ შეთქმულების იდეური სულისჩამდგმელი იყო.

სოლომონ დოდაშვილის მონაწილეობა 1832 წლის შეთქმულებაში სრულიად ბუნებრივია და მოსალოდნელი იმ განწყობილებისა და მსოფლმხედველობის გამო, რომელიც მას ახასიათებდა ჯერ კიდევ პეტერბურგში სწავლისა და ცხოვრების დროს.

ცნობილია, რომ სოლომონი პეტერბურგში ჩასვლისთანავე იონა ხელაშვილის საშუალებით გაეცნო გადასახლებაში მყოფ ქართველ ბატონიშვილებს და მათ უკმაყოფილო განწყობილებას, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვით იყო გამოწვეული.

სოლომონ დოდაშვილი მკაცრად აკრიტიკებს რუსულ მმართველობას, მის სასამართლო ორგანოებს. ბიუროკრატიზმი, საქმის დაუსრულებელი გაჭიანურება, რაც ახასიათებდა რუსულ მმართველბას საქართველოში, აუტანელი იყო ხალხისათვის. ის წუხს, რომ ადამიანებს არა აქვთ საშუალება დაიცვან თავი სასამართლოში, აწარმოონ საქმეები. სოლომონის აზრით, საჭიროა მმართველობაში ისეთი ადამიანები იყვნენ ჩაბმული, რომელთაც გაეგებათ ხალხის გასაჭირი, შეუძლიათ საქმის დროულად, მიუკერძოებლად გარჩევა და სხვა.

სოლომონი თავის ერთ-ერთ ლექსში მოუწოდებს ქართველებს:

„...აღვიპყრათ ხელთა მახვილი,
მივცეთა მტერთა შიში ძრიელი,
შემოვიკრიბოთ გულით მხურველნი,
ვეცეთ, ვეძგერნეთ, გაგულებულნი,
განვდევნოთ სოფლით ძალით
მოსულნი,
ჩვენ მამულისა მაოხრებელნი,
წარვიდენ აქით, არ იყვნენ აქა".

სოლომონ დოდაშვილი აღფრთოვანებულია იმით, რომ შეთქმულების სახით „თავისუფლებითი სული" დატრიალდა საქართველოში, ესე იგი დაისვა საკითხი საქართველოს განთავისუფლების. სოლომონმა პირველმა გამოთქვა მოსაზრება საქართველოში რესპუბლიკური მმართველობის შემოღების შესახებ.

სოლომონ დოდაშვილმა დაწერა შემდეგი შინაარსის პროკლამაცია: „ქვეყნის დაარსებითგან მამულსა ჩვენსა აქვნდა თავისი საკუთარი მდგომარეობა, აქვნდა თავისნი სჯულნი, თავისი სარწმუნოება, თავის ენა და თავისი ჩვეულება და ჰყვანდა ყოველსა დროსა საკუთარი თავისი ხელმწიფე და არაოდეს არ იყო მოკიდებულ სხვასა ზედა და არცა მონა, ვითარცა აწ არს მამული ესე ჩვენი და ჩვენი

გაგრძელება მე-10 გვ.-ზე

# დღესაც მესმის ლინოტიპის ჩხაკუნი და საღებავის სუნსაც ვყნოსავ



*გაზეთ „ყვარლის“ საახალწლო-საშობაო ნომრის სტუმარია ქალაქ ფოთში მცხოვრები, ყვარლელი ჟურნალისტი, ჩვენი კოლეგა, რედაქციის ყოფილი თანამშრომელი--ოთარ გურასპიშვილი.*

*ოთარ გურასპიშვილი დაიბადა ქ. ყვარელში, დაამთავრა ყვარლის მეორე საშუალო სკოლა, დამთავრებული აქვს თელავის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი და თსუ ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. ათი წლის განმავლობაში მუშაობდა გაზეთ „ყვარლის“ კორესპონდენტად, პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ. თვლის, რომ მის ჟურნალისტად აღზრდა-ფორმირებაზე საფუძვლიანი გავლენა იქონია ცნობილი ყვარლელი ჟურნალისტების – ავთანდილ გაფრინდაშვილის, მერი ჩიხიაშვილის, ვალერი ზურაშვილის, მამამისის – გურამ გურასპიშვილის მდიდარმა შემოქმედებითმა პოტენციალმა და გამოცდილებამ.*

*ამჟამად ოთარ გურასპიშვილი ცხოვრობს ქ. ფოთში, ჰყავს მეუღლე, ორი შვილი – ლელა და ბექა, რომლებიც საზღვაო-სატრანსპორტო გადაზიდვებისა და ლოჯისტიკის სფეროში საქმიანობენ. თვითონ მუშაობს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორის ცენტრში. ათ წელზე მეტი მუშაობდა ქ. ფოთის ტელეკომპანია „ფაზისის“ საინფორმაციო პროგრამების რედაქტორად, შემდეგ ტელეკომპანიის მთავარ რედაქტორად.*

***– მოგესალმები ოთარ, ტრადიციული კითხვით დავიწყებ: როგორ ხვდები ახალ წელს?***

– რომ გითხრათ, სიხარულით და ამაღლებული განწყობით ვხვდები-მეთქი, არ ვიქნები მართალი. 2023 წელი ჩემთვის მწუხარების წელი გამოდგა, დავკარგე დედ-მამის კერაზე იმედად მდგარი უმცროსი ძმა, რის გამოც, დიდი ფსიქო-ემოციური სტრესი მივიღე. რას ვიზამთ, სავალალოა, მაგრამ ამგვარი ტრაგედიებით აღსავსეა ადამიანთა რეალიები. უფლისგან მოვლენილ განსაცდელს უნდა გაუძლო, ეს ხვედრიც არის და ამქვეყნიური ვალდებულებაც. ქრისტიანები ვართ და ყველა შობა-ახალ წელს უფლისმიერი სასოებითა და ოპტიმიზმით უნდა შევხვდეთ.

***– რას იტყვი, არ იყო შენთვის ძნელი, მშობლიური კერის დატოვება?***

– ძნელი იყო, რა თქმა უნდა, მაგრამ, იმხანად, 90-იანების დასაწყისში, მხოლოდ ჩემთვის კი არა, მთელ საზოგადოებაში ხდებოდა სოციალურ-პოლიტიკური ყოფის ფუნდამენტური ცვლილებები. სულ სხვა მიზნები მქონდა, მაგრამ ცხოვრების ნიავქარმა სხვა გეოსოციალურ არეალში მომაქცია, დავმკვიდრდი შავიზღვისპირა ქალაქში, რომელიც ყვარლის შემდეგ, ჩემთვის ახლობელ მისამართად იქცა. აქვე განვაგრძე ჟურნალისტური საქმიანობა.

***– როგორ გაიხსენებდი გაზეთ„ყვარლის“რედაქციაში მუშაობას?***

– უამრავი კარგის, თბილისა და ღიმილისმომგვრელი სიუჟეტის აღდგენა შემიძლია ჩვენს გაზეთში გატარებული წლებიდან. ყველაზე მთავარი და სულზე ცხოვლადდასამჩნევი კი ის არის, რომ



რედაქცია იყო კერა და მშობლიური გარემო, რომელმაც პიროვნებად და ქართული მედიის რიგით ჯარისკაცად გამზარდა. ტრივიალურად გამომდის, მაგრამ, აქ ავიდგი ფეხი. წარუშლელი კვალი დატოვეს ჩემს მენტალიტეტში გაზეთმა „ყვარელმა“ რედაქციაში მოღვაწე შესანიშნავმა ადამიანებმა, ძირეული ქართული პრესის ჩინებულმა მუშაკებმა, რომლებიც ძვირფასნი არიან ჩემთვის. ხალასი იუმორი ხომ რედაქციელთა შემოქმედებითი გარჯის მოტივი და შემოქმედებითი საგზალი იყო. საოცარი ის არის, რომ უკლებლად ყველა, თავისებური ადამიანური შარმით ღიმილმოსილი იყო, რაც ხალისით ავსებდა საგაზეთო შრომის ყოველდღიურ რუტინას. თვალწინ მიდგა ამ წუთშიც ფაცია, ავთო, ბაკური, გურამი, ვაჟა, დალი დვალი შალვა ხომალდიშვილი, რობერტი, ვალერი ზურაშვილი, გოგია ძია, ვიტალი, სმილვა, ლენა, ჩვენი შტატგარეშე კორესპონდენტები ძია გიორგი იმერლიშვილი და ილო გოგობერიშვილი. „ყვარლის“ აქტიური გულშემატკივარნი და ავტორები იყვნენ სულგანათლებული ილო ბეროშვილი, აწ განსვენებული მამა ბენიამენი, ყველას ვერ ჩამოვთვლი... მათგან უმრავლესობა აღარ არის ამქვეყნად, მოგონებათა ლაბირინთებში რომ გადაკარგულან.

იმჟამინდელი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფორმაციისა და იდეოლოგიის კვალობაზე, პერიფერიულ ქართულ მედიაში არავისზე ნაკლებ, უკეთესს თუ არა, გაზეთს ვქმნიდით და ეს მე დღესაც სიამაყით მავსებს, რადგან პატარა მარცვალი მეც ჩამიგდია „ყვარლის“ შემოქმედებით ნიადაგში, ჩემთვის ძვირფას და დაუვიწყარ ადამიანებთან ერთად.

***– ფოთის ტელევიზია ახსენე, საკმაო ხანი იმუშავე, რას იტყოდი შენს მეორე სამსახურზე?***

– ტელეკომპანია „ფაზისში“ ყვარლიდან წამოღებული ჟურნალისტური ხურჯინით მივედი და გვარიანად ამოვბერტყე კიდეც, ისე უცხო ქალაქში ვერავინ შემამჩნევდა კახელ „ემიგრანტს“. ძალიან კარგ და ღირსეულ ადამიანთა შორის მოვხვდი. ჩემი კახური იუმორი რედაქციაში გამოწრთობილი, ბევრჯერ დამხმარებია ადამიანური და კოლეგიალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. დედაშვილურად მეპყრობოდა ყოველთვის ტელეკომპანიის დირექტორი და დამფუძნებელი, გამორჩეული პიროვნება, აწ განსვენებული ქალბატონი ლეილა კაკულია. „ფაზისში“ შრომითი საქმიანობა ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია.

***– წელთა მიჯნაზე, წარსულსა და მომავალზე როდესაც ვფიქრობთ, ჩვენგან წასული ადამიანები გვაგონდება ძალუმად და ეს თავისთავადია,რადგან მათი ცხოვრება ჩვენი ცხოვრების ნაწილი იყო, რას იტყვი, ასეა?***

– ასეა, ასე. წასულ ადამიანთა მთელი გალერეაა ჩვენს თვალსაწიერზე. იმდენად დრამატულია მათზე ფიქრიც და საუბარიც, რომ კარსმომდგარ სიბერის ჟამსაც უფრო ახლო რაკურსით ჩანან მონატრებულ ადამიანთა სილუეტები და ვცდილობთ ამქვეყნიურიდან უფლისმიერ ნათელში ცხადად წარმოვიდგინოთ ისინი.

***– ჩვენი გაზეთის რომელ რედაქტორებთან მოგიწია მუშაობა?***

– გაზეთ „ყვარლის“ ორ რედაქტორთან მომიწია მუშაობა. რედაქციაში რომ მივედი, ავთანდილ გაფრინდაშვილი იყო რედაქტორი. გული მტკივა, რომ ავთო ადრეულ ასაკში წავიდა. უნიჭიერესი პოეტი და ბრწყინვალე ჟურნალისტი, რედაქტორი, პუბლიცისტი, უბრალოდ კარგი ადამიანი. საიამოვნო და სასარგებლო იყო მასთან მუშაობა და მეგობრული ურთიერთობა. დიდი გამოცდილებისა და ჟურნალისტური რესურსის მქონე გახლდათ ბატონი ვალერი ზურაშვილი. მომთხოვნი იყო, ზოგჯერ გაგიბრაზდებოდა კიდეც, მაგრამ მეორე წუთში შენი თანატოლი და თანამოაზრე იყო, სულგრძელი და კეთილისმსურველი, ყვარლის საზოგადოებას გულისხმიერად შეზრდილი. ნათელი არ მოკლებოდეთ.

***– ჩვენი რედაქცია ყოველთვის სავსე იუმორით, ხალისიანი ატმოსფეროს, კეთილგანწყობისა და წარმატებული საქმის საწინდარი იყო...***

– დიახ, რედაქციელთა იუმორი თაობიდან თაობას გადაეცემოდა. მახსოვს, როგორ იხსენებდნენ ჩემი საყვარელი ადამიანები ბატონ რაფიელ შავგულიძის ენამოსწრებულ ფრაზებსა და შენიშვნებს. საერთოდ, რედაქციელთა იუმორი ცალკე საუბრის თემაა. ასე მიმაჩნია, რომ ყვარლელ გაზეთის შემქმნელთა იუმორით გაჟღენთილი ბუნება და ყოველდღიურობა აადვილებდა და შთამბეჭდავს ხდიდა სარედაქციო საქმეს.

***– როგორია დღეს შენთვის შორეული შავიზღვისპირა ქალაქიდან შენით ნალოლიავები და შენით დანახული გაზეთი „ყვარელი“?***

– ქალაქ ფოთიდან ისევ ისე მოჩანს დღესაც ჩემი საყვარელი გაზეთი, რომელიც დედამიწის ზურგზე ყველა გამოცემულ გაზეთს მირჩევია. ისევ ისეთი ახლობელი და შინაურია ჩემთვის, როგორც სამი ათეული და მეტი წლის წინ, თავისი წასული თუ ახლანდელი მუშაკებით. პათეტიკაში ნუ ჩამითვლით და სიზმრად ხშირად ვარ ჩვენი სტამბა-რედაქციის ძველ გარემოში, ლინოტიპის ჩხაკუნის ხმაც ჩამესმის და საღებავის სუნსაც ვყნოსავ, ვხედავ შალვა ძიას გახსნილ თევზის კონსერვს შესვენებაზე როგორ შეექცევიან ფაცია, დალი, გურამა, ბაკური... ვწერთ, ვკითხულობთ, ვასწორებთ, კორექტირებული გვერდები აგვაქვს და ჩამოგვაქვს, სიცილ-ღიმილში იბადება ახალი ნომერი. მეორე დღეს რაიონში და მინდორ-ვენახ ხეტიალი, მასალების შეგროვება, დრო და დრო, პატარ-პატარა ტკბილი პურის ჭამა, როგორც მამაჩემი გურამა იტყოდა... გულით მიხარის, რომ ჩემი „ყვარელი“ დღესაც აგრძელებს შემოქმედებით სიცოცხლეს. მადლობა ყველას, მადლობა რედაქტორს ბატონ ალიკა გიგილოშვილს, რომელიც ძალ-ღონეს არ ზოგავს, რომ გაზეთი დროის სირთულეებს გამოატაროს და ილიას ნაფუძარზე ადგილობრივმა ბეჭდვითმა მედიამ არსებობა არ შეწყვიტოს, წარმატებით გააგრძელოს ნაყოფიერი მოღვაწეობა. მადლობა ვეტერან ქალბატონებს დალი ტატულიშვილსა და მარინე დათუაშვილს, ჩემს თანატოლ კოლეგებს ნუგზარ ღონიაშვილს და ოთარ დავითაშვილს, გაზეთის პასუხისმგებელ მდივანს, ქალბატონ ია გიგიაშვილს, მადლობა შტატგარეშე ნიჭიერ ავტორებს. ყველას ერთად, გაზეთ „ყვარლის“ შემომქმედთ გილოცავთ შობა-ახალი წლის მობრძანებას. 2024 წელი ყოფილიყოს სიკეთის, სიყვარულის, სიუხვისა და სიჯანსაღის წელი. იხაროს ყვარელმა. იხაროს სრულიად საქართველომ!

***– და ბოლოს, მშობლიურ ყვარელს თუ დაუბრუნდები?***

– ოცნებისა და სურვილების ბოღჩაში კი მყავს გამოკრული ჩემი ყვარელი და ყვარელში დაბრუნება, მაგრამ სურვილი სურვილია, რეალობა და შესაძლებლობა სხვა. წლები მამძიმებს უკვე, ახალგაზრდა აღარ ვარ. ავისრულებ კი სურვილს? – ეს მხოლოდ უფლის ნებაა! მადლობა, რომ ჩემი მშობლიური გაზეთის საახალწლო ნომერში ადგილი და ყურადღება დამითმეთ. კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალ წელს, იბედნიერეთ, მრავალჟამიერ!

***– გმადლობთ.***

* * *

***ოთარ, გაზეთის მთელი კოლექტივი, ზღვისპირას შეფენილ ულამაზეს ქალაქ ფოთში გულით გილოცავთ ახალი, 2024 წლის შემოსვლას. გისურვებთ პირველ რიგში ჯანმრთელობას შენ და შენს ოჯახს და კვლავ და კვლავ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში და რაც მთავარია, ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებას საქართველოსთვის.***

ესაუბრა
დალი ტატულიშვილი

# სოლომონ დოდაშვილი – ჭეშმარიტი ქართველი რაინდი და მამულიშვილი

დასაწყისი მე-9 გვ.-ზე

ხმა, სახელი, მხნეობა და მამაცობა წინაპართა ჩვენთა ყოველთვის ჰქუხდა და აღავსებდა მსოფლიოსა, ხოლო აწ ხედავთ დამხობასა და არარაობასა მამულისა ჩვენისასა?! ნუ უკვე ჩვენ არა ძალგვიძს შენახვა საკუთრისა მამულისა ჩვენისა, ნუ უკვე ჩვენ არა გვაქვს სიმხნე და ძალა ესე ოდენი, რაოდენიც ჩვენს მამათა ანუ სხვათა მსგავსთა კაცთა. მაშა რაისთვის ვცოცხლობთ?!“

აღნიშნული დოკუმენტები რუსეთის ხელისუფლებისათვის სრულიად საკმარისი აღმოჩნდა, რომ სოლომონ დოდაშვილი მიეჩნია „საიდუმლო შეთქმულების“ ერთ-ერთ, შესაძლებელია, ყველაზე საშიშ და აქტიურ ხელმძღვანელად. ამიტომ გამოძიების დამთავრების შემდეგ მას მიუსაჯეს სასჯელის უმაღლესი ზომა, რომელიც შემდეგ შეუცვალეს სამუდამო გადასახლებით რუსეთის იმპერიის ჩრდილოეთში.

სოლომონ დოდაშვილი გადასახლებულ იქნა ქ. ვიატკაში, სადაც ის გაემგზავრა 1834 წლის 24 ივნისს. ქ. ვიატკაში იგი მიიღეს საგუბერნიო სამმართველოს კანცელარიაში გადამწერის თანამდებობაზე. მან გადასახლებაშიც გამოიჩინა ცოდნა და პასუხისმგებლობა. მალე ის დააწინაურეს და გადაიყვანეს სათემო გადასახადების მაგიდის უფროსად. მაგრამ ჩრდილოეთის მკაცრი ჰავა, ეკონომიური გაჭირვება, ციხეში ჯდომა, მძიმე მგზავრობა, დამქანცველი სამუშაო ვეღარ აიტანა სოლომონმა და მძიმედ დასნეულდა ტუბერკულოზით. სოლომონ დოდაშვილი გარდაიცვალა იქვე ქ. ვიატკაში 1836 წლის 20 აგვისტოს.

სოლომონ დოდაშვილი რომ 1832 წლის შეთქმულთა შორის ყველაზე ძლიერი ინტელექტუალური ძალა იყო, ეს ეჭვს არ იწვევს. თვითონ შეთქმულები მას „ქართველ რუსოს“ უწოდებდნენ. იგი შეთქმულთაგან გამოირჩეოდა ნიჭით, განათლებით, მეცნიერული მომზადებით, რადიკალური, მაგრამ პროგრესული იდეებითა და მსოფლმხედველობით.

სოლომონ დოდაშვილის ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეების მაგისტრალური ხაზის – „საქართველო ქართველებისათვის“ შორეულ ექოს მიაგავდა დიდი ილიას მიერ 60-იან წლებში მოხევე ლელთ ღუნიას პირით წამოყენებული ეპოქალური ლოზუნგი – „... ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუდნეს“.

1832 წლის შეთქმულება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ვერ განხორციელდა, მაგრამ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის და კულტურის ისტორიაში მას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ეროვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეები თანდათან იდგამდა ფესვებს საქართველოში და ეხმაურებოდა ევროპის პატარა ერების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

სოლომონ დოდაშვილის ერვნულ–განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეებმა ბიძგი მისცა მომდევნო თაობების ეროვნული სულისკვეთების გაღვივებას. ამ იდეებმა ილია ჭავჭავაძის შეფასებით „ცხოვრების ხნულში ჩათესეს ის კეთილშობილური იდეალები, რომლებმაც იხარა და ნაყოფი გამოიღო 60-70-იან წლებში“.

სილოვან ხუნდაძის აზრით, სოლომონ დოდაშვილი „ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელია მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში“. სოლომონი თავის შეხედულებებით განსხვავდებოდა ქართველი თავად-აზნაურებისაგან, რომელთაც რუსეთის იმპერიის სამსახურში დაინახეს საქართველოს ხსნა.

პავლე ინგოროყვას რწმენით სოლომონ დოდაშვილი „ცენტრალური ფიგურაა ქართული საზოგადოებრივი და გონებრივი მოძრაობისა მე-19 საუკუნის 20-30-იან წლებში“.

შალვა ნუცუბიძე აღნიშნავს, რომ „სოლომონ დოდაშვილმა შექმნა ფრიად ორიგინალური ფილოსოფიური სისტემა, რომელიც ღირებულია არა მარტო ქართული, არამედ რუსული ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში“.

ილია ჭავჭავაძე მე-19 საუკუნის 70-იანი წლების ქართულ პრესას, რომელიც ეროვნულ იდეალებს ნერგავდა, თვლიდა სოლომონ დოდაშვილის მემკვიდრედ. ილია წერდა გაზეთ „დროების“ ათი წლის თავზე: „დროების“ დროშა მემკვიდრეობით გვაქვს გადმოცემული განსვენებულის სოლომონ დოდაშვილისაგან, გიორგი ერისთავისაგან, საუკუნო იყოს ხსენება მათი“.

ყველგან, სადაც სოლომონი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე მოღვაწეობდა, საკუთარი მადლიანი კვალი დააჩნია. ძალზე დასანანია, რომ მისი სიცოცხლე და მოღვაწეობა ადრეულ ასაკში შეწყდა.

სოლომონ დოდაშვილი – განმანათლებელი, მოაზროვნე, მკვლევარი, საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გამოჩენილი წარმომადგენელი, სამშობლოსთვის წამებული ჭეშმარიტი რაინდი მსხვერპლად შეეწირა საქართველოს. მან ქართველ ხალხს დიდი სიყვარული და მდიდარი მემკვიდრეობა დაუტოვა.

კურთხეულ იყოს სამშობლოსათვის თავდადებული დიდი მამულიშვილის უკვდავი სული და მარადიული სახელი.

ჩვენთან არს ღმერთი!

**ოთარ დავითაშვილი,**
**ფაზისის აკადემიის კახეთის მხარის რეგიონული ცენტრის ხელმძღვანელი**

# როგორ გავლენას ახდენს ჯანმრთელობაზე ფინიკი

ფინიკში ბევრი სასარგებლო ნივთიერება და ვიტამინია. ერთადერთი უარყოფითი არის შაქრის მაღალი შემცველობა (93 გ თითო ჭიქა). ამიტომ მნიშვნელოვანია გახსოვდეთ, რომ დიაბეტიანმა და ჭარბწონიანმა ადამიანებმა უნდა დაივიწყონ ფინიკი.

ფინიკი შეიცავს B ჯგუფის ვიტამინებს, რკინას, კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, ფოსფორს. ამ ვიტამინებისა და მიკროელემენტების წყალობით ფინიკი ამცირებს ქოლესტერინს, ახდენს ნაწლავის ფუნქციის ნორმალიზებას, აძლიერებს ძვლებს, აუმჯობესებს კანისა და თმის მდგომარეობას. ფინიკის ოპტიმალური დღიური დოზა მოზრდილებისთვის არის არა უმეტეს 10 ცალი. მიზანშეწონილია მათი ჭამა დღის პირველ ნახევარში. და, რა თქმა უნდა, არა ყოველდღე.

**კანი** – ფინიკის „კანი“ არ უნდა იყოს დამსკდარი, ის უნდა იყოს მკვრივი და ერთგვაროვანი ფერი. თუ ფინიკი ღია ყავისფერია, მაშინ მისგან რაიმე სარგებელს ვერ მიიღებთ. ნაყოფის მუქი ფერი მიუთითებს იმაზე, რომ ფინიკი ბუნებრივად დამწიფდა ხეზე.

**ბზინვარება** – იმისათვის, რომ პროდუქტს ბზინვარება ჰქონდეს, გამყიდველები ხშირად ზედაპირს ზეთს უსვამენ. ამიტომ ნუ იყიდით ასეთ ფინიკს.

**შენახვა** – მიზანშეწონილია ფინიკის შენახვა ჰერმეტულ (მინის) ჭურჭელში გრილ, ბნელ ადგილას.

**გაითვალისწინეთ:**

ფინიკს აქვს მაღალი გლიკემიური ინდექსი და ნახშირწყლების შემცველობა. აუცილებლად მიიღეთ ფინიკი წყალთან ერთად. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა კარიესი გაგიჩნდეთ.

# ვისურვებდი, რომ ახალი 2024 წელი გამხდარიყოს ახდენილი ოცნებების წელი



*საქართველოში ფრენბურთი 1926 წელს შემოვიდა. ამ საქმეს მოთავეობდნენ მიხეილ ცხვედაძე, ლევან ფალავანდიშვილი, გრიგოლ იოსებაშვილი, ივანე ბაქრაძე და მიხეილ პეროვი.*

*სპორტის ამ ახალი სახეობის პოპულარიზაციას ხელი შეუწყვეს თბილისში, 1927 წელს ჩამოსულმა მოსკოვის დრამატული თეატრის მსახიობებმა, რომლებიც კარგი ფრენბურთელები აღმოჩნდნენ და რამდენიმე საჩვენებელი მატჩიც გამართეს. ერთი წლის შემდეგ ჩატარებული ამიერკავკასიის ვაჟთა გუნდების ჩემპიონატი თბილისელებმა მოიგეს.*

*ამავე პერიოდში ფრენბურთელთა გუნდები შეიქმნა ქუთაისში, სოხუმში, გაგრაში, ბათუმში, ცხინვალში, ფოთში, დიდ ჯიხაიშსა და ახალქალაქში.*

*1932 წელს ჩატარდა საქართველოს პირველი ჩემპიონატი. შემდეგი წლიდან საბჭოთა კავშირის პირველობაში მონაწილეობდა თბილისის ვაჟთა ნაკრები, 1935 წელს კი – ქალთა ნაკრები.*

*მეორე სამამულო ომამდელ წლებში თბილისელი ფრენბურთელები სსრკ ჩემპიონატის საუკეთესოთა ხუთეულში შედიოდნენ. ხოლო თბილისის ქალების ნაკრებმა 1936 წელს მესამე ადგილი დაიკავა. მოგვიანებით 1959 წელს, საქართველოს ვაჟთა ნაკრებმა ასევე მესამე ადგილი დაიკავა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე. თბილისის „ბურევესტნიკის" შემდეგ „სპარტაკის" ვაჟთა გუნდები კი მრავალი წლის განმავლობაში თამაშობდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. საქართველოში აღზრდილმა ფრენბურთელებმა არაერთხელ მოიპოვეს ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მედლები. ჩვენმა სახელოვანმა ფრენბურთელმა ვაჟა კაჭარავამ ტოკიოს ოლიმპიადაზე 1964 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრების შემადგენლობაში, მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის წოდება. ასევე აღსანიშნავია, რომ ქართველი მწვრთნელი გივი ახვლედიანი მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდა საბჭოთა კავშირის ქალთა ნაკრების უფროს მწვრთნელად და არაერთხელ მოიგო ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატები.*

*ყვარლის მუნიციპალიტეტში სპორტის ეს ლამაზი სახეობა პოპულარულია ოდითგანვე და ჩვენმა ფრენბურთელებმა მრავალგზის გვასახელეს ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის და შემდგომ დამოუკიდებელი საქართველოს ჩემპიონატებში.*

*ფრენბურთში საქართველოს ჩემპიონატის მიმდინარეობის შესახებ საუბარი ვთხოვეთ საკლუბო გუნდის „ყვარლის" მწვრთნელს ალიმან ლაფაჩიშვილს.*

***– ბატონო ალიმან, რომელი წლებიდან გახდა ფრენბურთი პოპულარული ყვარლის მუნიციპალიტეტში და რას მიაღწიეს ჩვენმა ფრენბურთელებმა?***

– ყვარლის რაიონში ფრენბურთი პოპულარული ხდება გასული საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისიდან. ამ დროიდან სპორტის ეს სახეობა განსაკუთრებით მასობრივი გახდა და მის განვითარებას დიდი ყურადღება ექცეოდა. ყველა სკოლას, ყველა კოლმეურნეობას და მეურნეობას, ყველა სოფელს ჰყავდა გუნდები და რეგულარულად იმართებოდა სხვადასხვა მასშტაბის რაიონული ასპარეზობები. არ შემიძლია დავივიწყო ჩემი წინა თაობის ის ბიჭები, რომლებიც გასაოცარი ოსტატობით და მონდომებით ირჯებოდნენ ფრენბურთის მოედანზე. მიკერძოებაში ნუ ჩამითვლით, მაგრამ სოფელი შილდა ამ მიმართებით განსაკუთრებულად იყო გამორჩეული.

კარგად მახსოვს შილდის სასოფლო კლუბის ეზოში არსებული ფრენბურთის მოედანი, რომელიც შილდელი ახალგაზრდობის მასობრივი თავშეყრის ადგილი გახლდათ, სადაც სხვადასხვა ასაკის ბიჭები სკოლის შემდეგ დაღამებამდე ეპაექრებოდნენ ხოლმე ერთმანეთს და ეს გრძელდებოდა დაუსრულებლად, ზამთარ-ზაფხულ, ყველანაირ ამინდში. ერთადერთი თოვლი ან წვიმის ნიაღვარი თუ შეუშლიდათ ხელს. ასეთი მოედნები, სხვათა შორის იყო სოფლის თითქმის ყველა უბანში, ასევე ე. წ. ბულვარში, მდინარე ჩელთისხეობაში და ა. შ. ერთი სიტყვით, მთელი სოფლის ახალგაზრდობა ფრენბურთით იყო მოწამლული.

შემთხვევითი არ გახლდათ ის ამბავი, რომ ჩვენი რაიონიდან საქართველოს ჩემპიონატში 1956-1957 წლებიდან სწორედ შილდელი ფრენბურთელები ჩაერთნენ და პირველივე ასპარეზობის შემდეგ ამ გუნდის ლიდერები თამაზ თოდუა და ელიზბარ კაკონაშვილი საქართველოს ნაკრებში აიყვანეს. ჩვენი თაობის წარმომადგენლებიც სწორედ მათ მაგალითზე იზრდებოდნენ და ეუფლებოდნენ სპორტის ამ წარმტაცი სახეობის საიდუმლოებებს.

უკვე შემდგომ წლებში ჩვენმა თაობამ ღირსეულად და სახელოვნად გააგრძელა მათი წინამორბედების დაწყებული საქმე, როცა 1970 წლიდან განახლებული შემადგენლობით ჩაერთო საქართველოს ჩემპიონატში. ამ გუნდის ჩამოყალიბების ინიციატორი მე ვიყავი და ამასთან დაკავშირებით არ შემიძლია დიდი მადლიერებით არ გავიხსენო კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ბეგი ნერსეზაშვილი და რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელი, პარტიის რაიკომის პირველი მდივანი გივი ზაუტაშვილი, რომელთა მხარდაჭერითა და აქტიური თანადგომით ჩაეყარა საფუძველი ამ საშვილიშვილო საქმეს.

ჩვენი პირველივე გამოსვლა დიდ არენაზე წარმატებული გამოდგა: მოვიგეთ აღმოსავლეთ საქართველოს ზონალური გათამაშება თელავში, ხოლო ფინალურ ასპარეზობაში, რომელიც სოხუმში გაიმართა, მესამე საპრიზო ადგილი დავიკავეთ, თბილისისა და სოხუმის გუნდების შემდეგ. ჩვენი გუნდის შესახებ მაშინ ბევრი დაიწერა გაზეთებში „სოფლის ცხოვრება", „ახალგაზრდა კომუნისტი", „ლელო", „მოლოდიოჟ გრუზიი" და სხვა. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ, რომ რესპუბლიკის ასპარეზზე გამოჩნდა ახალი თვითმყოფადი და საინტერესო გუნდი. ჩვენი გაზეთის მკითხველისათვის და ფრენბურთის მოყვარულთათვის ალბათ საინტერესო უნდა იყოს იმის აღნიშვნაც, რომ ამ გუნდის პირველი შემადგენლობის 9 მოთამაშიდან რვა ფრენბურთელი ვიყავით შილდიდან და ერთადერთი ახალსოფლიდან! აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შეჯიბრების შემდეგ ჩვენი ორი ფრენბურთელი, ვანო კანანაძე და არნე ხატიაშვილი საქართველოს ნაკრებში აიყვანეს.

ამ წარმატების შემდეგ ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა სპორტსმენისათვის, დიდად დასამახსოვრებელი გახლდათ ის შეხვედრა, რომელიც მოგვიწყო რაიონის მაშინდელმა თავკაცმა, არაჩვეულებრივად დიდმა პიროვნებამ და ღირსებით აღსავსე ხელმძღვანელმა გივი ზაუტაშვილმა, რომელმაც მადლობა გადაგვიხადა რაიონის ასეთი წარმოჩენისათვის დიდ სარბიელზე და ყველა ფრენბურთელი სამახსოვრო მაჯის საათებით დაგვასაჩუქრა.

მას შემდეგ ჩვენი ფრენბურთელთა გუნდი წარმატებით ასპარეზობდა სხვადასხვა დონეზე მრავალი წლის განმავლობაში. ბევრმა შეიძლება ძნელად დაიჯეროს, მაგრამ ეს მრავალი წელი გაგრძელდა 1993 წლამდე, ანუ მთელი 23 წელი.

ალბათ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმის გახსენებაც, რომ ამ 23 წლის განმავლობაში ორი კაცი – არნე ხატიაშვილი და მე ბოლომდე გუნდში ვიყავით და შეუცვლელად ვთამაშობდით. ასე, რომ აქტიური სპორტის კარიერა მე დავამთავრე 51 წლის ასაკში, ხოლო არნემ 46 წლის ასაკში. თანაც ეს იყო კარიერის იძულებითი დასასრული. რომ არა ავადმოსაგონარი 90-იანი წლების უმძიმესი ვითარება, ჩვენ ალბათ კიდევ შევძლებდით აქტიურ სპორტში დარჩენას.

ამ წლების მანძილზე რა თქმა უნდა, იცვლებოდნენ თაობები, მაგრამ გუნდი ყოველთვის რჩებოდა მოწინავე პოზიციაზე. ოთხჯერ მოვიგეთ საქართველოს პირველობა, მოგებული გვაქვს საქართველოს თასის გათამაშება, ასევე მოვიგეთ საქართველოს პირველი ეროვნული თამაშების პროგრამით გამართული ასპარეზობა 1991 წელს. გარდა ამისა, მოგებული გვაქვს არაერთი სხვადასხვა დონის ტურნირი. არ ყოფილა ისეთი შეჯიბრება, რომ საპრიზო ადგილს მიღმა დავრჩენილიყავით. ჩვენი პატარა ყვარლისათვის უთუოდ დიდი პატივი გახლდათ ის, რომ საბჭოთა კავშირის მასშტაბით რამდენჯერმე ვიცავდით საქართველოს სპორტულ ღირსებას. ასეთი ნდობის გამოცხადება თავისთავად მეტყველებდა ჩვენი გუნდის დიდ ავტორიტეტზე და შესაძლებლობებზე. ვითამაშეთ მთიანი ყარაბაღის დედაქალაქ სტეფანაკერტში 1975 წელს, უკრაინის ქალაქ ჟიტომირში 1976 წელს, რუსეთის ფედერაციის ქალაქ სმოლენსკში 1977 წელს, უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვში 1980 წელს, ყაზახეთის მაშინდელ დედაქალაქ ალმა-ატაში 1981 წელს. ამ შეჯიბრებებში ყოველთვის ვიყავით პირველ ხუთეულში, ხოლო ბელაია ცერკოვში, საბჭოთა კავშირის პროფკავშირების თასის გათამაშების ფინალურ ტურნირში მეორე საპრიზო ადგილი დავიკავეთ. სხვათა შორის, მეორე ადგილზე გავედით სტეპანაკერტშიც. ისიც სასიამოვნო გასახსენებელია, რომ 1981 წელს ყვარელში ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ჩავატარეთ ავღანეთის ეროვნულ ნაკრებთან, რომელიც ჩვენი გამარჯვებით დასრულდა.

აი, ასეთია იმ „დიდი გუნდის" – როგორც ჩვენ ვუწოდებდით, განვლილი გზა, რომელმაც უთუოდ დატოვა კვალი ჩვენი რაიონის ფრენბურთის ისტორიაში.

***– ვინ იყვნენ ფრენბურთელები, რომელთაც წვლილი მიუძღვით სახელოვან გამარჯვებებში?***

– ამ ისტორიას, რა თქმა უნდა პიროვნებები ქმნიდნენ, ის სპორტსმენები, რომელთაგან ბევრნი უკვე აღარ არიან ჩვენს შორის. ესენი იყვნენ ჩვენთვის დაუვიწყარი ვანო კანანაძე – უძლიერესი დარტყმის მქონე თავდამსხმელი, რომელსაც მთელ საქართველოში იცნობდნენ; ჩვენი „ინტელიგენტი" მოთამაშე ლევან ჩიტაშვილი; მუდამ ღიმილიანი და მხიარული თამაზ მამაგულიშვილი; ახოვანი და ბავშვივით მორიდებლი დათო ჩახნაშვილი; ფათერაკების მოყვარული გელა კაკონაშვილი; ჩვენი „ფეოლა" – გოგია ცისკარიშვილი. ყველა ესენი უდროოდ წავიდნენ ამ ცხოვრებიდან.

ხოლო ვინც დავრჩით იმ თაობიდან, ხსოვნასა და მოგონებებში წმინდად ვინახავთ მათ სახელებს და მათთან ერთად გატარებულ დაუვიწყარ დღეებს: გუნდის პირველი კაპიტანი გივრიზ საღირაშვილი, მიშა ოთარაშვილი, კოხტა ბაბლიშვილი, მიხეილ (კარტეჩა) ბაბლიშვილი, იაგო გრძელიძე, დათო ექიზაშვილი (ბეკერი), ჯემალ ღუტიშვილი და მათთან ერთად მე ალიმან ლაფაჩიშვილი.

***– საქართველოს ჩემპიონატში რომელი წლიდან ჩაერთო საკლუბო გუნდი „ყვარელი" და რა შედეგებს მიაღწიეთ?***

– შემდეგ იყო ძალიან მძიმე და ურთულესი 90-იანი წლები, როცა ქვეყანაში შექმნილი გაუსაძლისი ვითარების გამო ფრენბურთი უკვე თითქმის აღარავის ახსოვდა. ასევე გაგრძელდა ამ საუკუნის პირველ წლებშიც, მაგრამ ამ დროს უფალმა შემწედ მოგვივლინა ნეკრესის ეპარქიის მიტროპოლიტი, ფრენბურთის დიდი გულშემატკივარი მეუფე სერგი, ვის სახელსაც უკავშირდება ჩვენს რაიონში ფრენბურთის აღორძინებისა და ხელახალი აღმავლობის ეპოქა. მეუფე სერგიმ ყვარლის სასულიერო გიმნაზიაში 2007 წელს ფრენბურთის მწვრთნელებად მიგვიწვია არნე ხატიაშვილი და მე. სწორედ ამ პერიოდიდან ჩაეყარა საფუძველი გუნდს, რომელიც სპორტული კლუბი „ყვარელის" სახელით დღეს მონაწილეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ყველაფერი კი დაიწყო 2008 წლიდან, როცა მეუფე სერგის ძალისხმევითა და მისი ავტორიტეტის გათვალისწინებით ჩვენ პირდაპირ ჩაგვრთეს ეროვნულ ჩემპიონატში და მას შემდეგ უმაღლესი ლიგის უცვლელი ბინადარი ვართ. უნდა აღინიშნოს, რომ პირველ, 2008-2009 წლების ჩემპიონატში, ჩვენს ახალბედა გუნდს, რომელიც ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეებისაგან შედგებოდა, უმაღლეს ლიგაში დარჩენისათვის მოუწია ბრძოლა, მაგრამ უკვე მომდევნო 2009-2010 წლების ჩემპიონატში სენსაცია მოვახდინეთ და ეროვნული ჩემპიონატის ფინალში გავედით, სადაც თბილისის გუნდთან დავთმეთ ასპარეზობა და მეორე ადგილზე გავედით. როგორც უკვე აღვნიშნე, მას შემდეგ უმაღლეს ლიგაში გამივდივართ უცვლელად – 14 სეზონის განმავლობაში. აქედან ოთხჯერ გავედით ფინალში და მეორე საპრიზო ადგილს დავეუფლეთ, სამჯერ დავიკავეთ მესამე ადგილი, ხუთჯერ კი მეოთხე.



***– მიმდინარე ჩემპიონატზე რას გვეტყვით?***

– მიმდინარე 2023-2024 წლების ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და იგი განსხვავებული სისტემით ტარდება. კერძოდ, თუ ადრე წინასწარი შეჯიბრებები ორ ტურად იმართებოდა, ამჟამად თამაშები იმართება ყოველ შაბათ-კვირას, როცა გუნდებს ერთი ან ორი თამაშის ჩატარება უწევთ. პლეიოფში, ანუ პირველ ოთხეულში ორწრიანი ასპარეზობის შემდეგ გასული გუნდები ითამაშებენ გასვლა–მიღების პრინციპით და გამარჯვებული ორი თამაშის ჯამში გამოვლინდება. ამ სისტემის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ შეჯიბრების ვადები

გაგრძელება მე-12 გვ.-ზე

## გამოსათხოვარი

# თამაზ მამაგულიშვილი



ამ ცხოვრებიდან წავიდა თამაზ მამაგულიშვილი, ყვარლის რაიონის ფრენბურთელთა იმ „დიდი გუნდის" ერთ-ერთი კოლორიტული წარმომადგენელი, რომელიც გასული საუკუნის 70-80-იან წლებში თვალსაჩინო შედეგებს აღწევდა არა მარტო საქართველოს, არამედ მაშინდელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით გამართულ ასპარეზობებში.

თამაზი 1970 წლიდან, ჩვენი გუნდის ჩამოყალიბების პირველი დღეებიდანვე, ჩვენთან იყო, ხოლო 1971 წლიდან დაწყებული, ათეულზე მეტი წლის განმავლობაში, ძირითადი შემადგენლობის უცვლელი წევრი გახლდათ. ჩვენთან ერთად ოთხჯერ მოიგო საქართველოს ჩემპიონატი, მოგებული აქვს საქართველოს პროფსაბჭოს თასი. მრავალჯერ იყო მეორე და მესამე პრიზიორი. ერთად ვითამაშეთ საკავშირო შეჯიბრებებში, სადაც ჩვენი პატარა ყვარლის გუნდი საქართველოს ღირსებას იცავდა. იგი ჩვენს გვერდით იყო მთიანი ყარაბაღის დედაქალაქ სტეფანაკერტში, უკრაინის ქალაქ ჟიტომირში, რუსეთის ქალაქ სმოლენსკში, ყაზახეთის იმდროინდელ დედაქალაქ ალმა-ატაში, უკრაინის ქალაქ ბელაია ცერკოვში, სადაც საბჭოთა კავშირის პროფკავშირების თასის ფინალურ გათამაშებაში საპატიო მეორე ადგილი დავიკავეთ.

თავდაჭერილი, გულითადი და ყურადღებიანი – ასეთი იყო იგი ცხოვრებაში, წონასწორობას რომ არასოდეს კარგავდა. ამავე დროს მუდამ შემართებული და ბრძოლის სურვილით ანთებული – ფრენბურთის მოედანზე, მთელ ძალას და ენერგიას რომ აქსოვდა ხოლმე თამაშში. ვინ დათვლის რამდენი ოფლი დაგვიღვრია ერთად, რამდენი გამარჯვების სიხარული გაგვიზიარებია. ჩვენ ხომ, როგორც თანაგუნდელებს, მხოლოდ ძმური და მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა ერთმანეთთან, ურომლისოდაც ცხოვრება ყოველგვარ შინაარსს კარგავს.

ჩვენ სპორტის გარდა, ოჯახურადაც ძალიან ახლოს ვიყავით ერთმანეთთან. კარგად ვიცნობდით გრემში თამაზის ოჯახს და მის კეთილმოსურნე მშობლებს. დღესაც არ გვავიწყდება მისი დაოჯახების დღეები, როცა მის ქორწილში, სამტრედიაში, მთელი გუნდი ვიყავით წასული და როგორც იტყვიან, ქორწილი სპორტული იერით დავამშვენეთ, რითაც თამაზი ძალიან ამაყობდა ხოლმე.

სპორტიდან წასვლის შემდეგ თამაზი ოჯახთან ერთად რუსთავში ცხოვრობდა. ცხოვრების ბედუკუღმართობამ ერთგვარად დაგვაშორა ერთმანეთს, აღარ გვქონია ისეთი ახლო კონტაქტები, როგორც ადრე; ბოლო წლებში ჩვენს მეგობარს ჯანმრთელობამაც უმტყუნა და ალბათ ესეც გახდა ამის მიზეზი. თუმცა ჩვენ არასოდეს დაგვივიწყებია და ყოველთვის გვახსოვდა ჩვენი ძმა და მეგობარი, მასთან ერთად გატარებული დაუვიწყარი დღეები.

ახლა კი დავდექით სამწუხარო რეალობის წინაშე: თამაზი აღარ არის და წავიდა იქ, სადაც უკვე განისვენებენ ჩვენი საერთო მეგობრები – ვანო კანანაძე, ლეო ჩიტაშვილი, დათო ჩახნაშვილი, გოგია ცისკარიშვილი, გელა კაკონაშვილი, თემურ წიწრიაშვილი, რომლებიც უფრო ადრე წავიდნენ იმქვეყნიურ სამყაროში. თითოეული მათგანის წასვლა ჩვენთვის მოუშუშებელი ტკივილი იყო და ამჯერად მათ რიცხვს თამაზიც მიემატა.

ჩვენ გულწრფელად ვუსამძიმრებთ მის შესანიშნავ ოჯახს, შვილებს და შვილიშვილებს, ყველა ახლობელსა და ნათესავს – ყველას, ვინც კი იცნობდა თამაზ მამაგულიშვილს, სიკეთით სავსე, ღიმილიან კაცს და შესანიშნავ სპორტსმენს.

სამწუხაროდ, და ეს ალბათ ისევ და ისევ დღევანდელი ცხოვრების ბედუკუღმართობას უნდა მივაწეროთ, ჩვენთვის გვიან გახდა ცნობილი თამაზის გარდაცვალების ამბავი და ვერ შევძელით მისი გაცილება უკანასკნელ გზაზე. ახლა ამ წერილით ვეთხოვებით ჩვენს დაუვიწყარ თანაგუნდელსა და მეგობარს, მსუბუქი ყოფილიყოს მისთვის ქართული მიწა.

მშვიდობით თამაზ! უფალმა დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი!

**ალიმან ლაფაჩიშვილი, გივრიზ საღირაშვილი, არნე ხატიაშვილი, მიხეილ ოთარაშვილი, ჯემალ ღუტიშვილი, დათო ექიზაშვილი (ბეკერი), მიხეილ ბაბლიშვილი, კოხტა ბაბლიშვილი**

# ვისურვებდი, რომ ახალი 2024 წელი გამხდარიყოს ახდენილი ოცნებების წელი

დასაწყისი მე-11 გვ.-ზე

გაცილებით უფრო გახანგრძლივდა და გუნდების იძულებითი შესვენების პერიოდები შემცირდა, რაც დადებითადდ აისახება სპორტული ფორმის შენარჩუნებაზე.

როგორც აღვნიშნე, მიმდინარე ჩემპიონატი ახალი დაწყებულია და პროგნოზებზე თავს შევიკავებ. რაც მთავარია, ჩვენი გუნდი ლიდერთა შორისაა და შესწევს იმის ძალა, რომ უმაღლესი მიზნებისათვის იბრძოლოს.

***– რამ გამოიწვია მოწინავე პოზიციიდან გუნდის არასახარბიელო მდგომარეობაში ყოფნა?***

– რაც შეეხება მოწინავე პოზიციების დათმობას და გუნდის არასახარბიელო მდგომარეობაში ყოფნას, მე ასეთ შეფასებას ვერ დავეთანხმები, ვინაიდან ჩვენი სპორტული კლუბი კვლავ რჩება მოწინავე პოზიციებზე და დღესაც ერთ-ერთი უძლიერესია საქართველოში. მართალია არსებობს თაობათა ცვლასთან დაკავშირებული გარკვეული პრობლემები, მაგრამ გუნდი დღეისათვის სრულყოფილადაა დაკომპლექტებული და მომავალს იმედიანად შევყურებთ. ბოლო ორი ჩემპიონატი ჩვენ მეოთხე ადგილზე დავასრულეთ, თუმცა ამას ჰქონდა გარკვეული მიზეზები. მაგალითად, გასული ჩემპიონატი ქრონიკული ტრავმებისა და ავადმყოფის გამო თითქმის განახევრებული შემადგენლობით ვითამაშეთ, მაგრამ პლეი-ოფში მაინც გავედით და უძლიერესთა ოთხეულშიც მოვხვდით.

***– საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია თუ გეხმარებათ ფინანსურად?***

– განსხვავებით წინა წლებისაგან, ახლადარჩეული საქართველოს ფრენბურთის ფედერაცია სერიოზულ ღონისძიებებს ახორციელებს ფრენბურთის განვითარების თვალსაზრისით. როგორც ფინანსური, ისე სხვა მიმართულებებით ხელშეწყობა ნამდვილად არ გვაკლია და მომავალში კიდევ უფრო მეტს მოველით, რადგან ფედერაციას აღებული აქვს კურსი საკლუბო ფრენბურთის განვითარებისათვის და ამ მიზნით სერიოზულ მიზნებს ისახავს მიზნად.

***– ახალგაზრდა ფრენბურთელებთან გიწევთ მუშაობა, როგორ ფიქრობთ საიმედო თაობა მოდის?***

– გარდა იმისა, რომ უკვე მეთხუთმეტე წელია, რაც სპორტკლუბ „ყვარელის" მწვრთნელის რანგში ვმოღვაწეობ, ამის პარალელურად ახალგაზრდა ფრენბურთელთა აღზრდის საქმესაც ვემსახურები. უკვე მეორე წელია, რაც ჩემი პირადი ინიციატივით და სასპორტო სკოლის ხელმძღვანელობის მხარდაჭერით, საზოგადოებრივ საწყისებზე ვავარჯიშებ მოზარდ თაობას და იმედი მაქვს, რომ ჩემი აღსაზრდელები მომავალში შეძლებენ რაიონის სპორტული ღირსების დაცვას მაღალ დონეზე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საიმედო მომავალი თაობა გვეზრდება. ამის დასტურად თუნდაც ის ფაქტი გამოდგება, რომ ჩემი მოსწავლე ბაჩო ზაუტაშვილი საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების წევრია და სულ ახლახანს ითამაშა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე, რითაც სავსებით სამართლიანად ვამაყობთ ყველა, ვისაც ჩვენი ფრენბურთის მომავალზე შესტკივა გული.

***– ახალი წლის შემობრძანებას თითოეული ადამიანი იმედით აღსავსე ხვდება, თქვენი სურვილები?***

– ახალი წლის შემობრძანებას სულით და გულით ვულოცავ ყველა ჩვენს თანამემამულეს, ფრენბურთის მრავალრიცხოვან გულშემატკივრებს, ქვეყნის კეთილდღეობაზე მოფიქრალ ადამიანებს და სრულიად საქართველოს. ვისურვებდი, რომ ახალი 2024 წელი გამხდარიყოს ახდენილი ოცნებების წელი.

***– თქვენც გილოცავთ ბატონო ალიმან, ახალი წელი ყოფილიყოს ჯანმრთელობის განმტკიცების და დიდი ოჯახური ბედნიერების მომტანი თქვენთვის.***

**ესაუბრა**
**ალექსანდრე გიგილოშვილი**

# სადღეისოდ სკოლა მეტად აქტიურად აგრძელებს საგანმანათლებლო მოღვაწეობას, თანამედროვე მოთხოვნებისა და შესაბამისი პროექტების განხორციელებით



ნამდვილად ფასდაუდებელი შრომა გასწია ბატონმა პაატა ბერიაშვილმა დოკუმენტურ წიგნზე „გავაზზე" მუშაობით, სადაც ლამის ამომწურავად არის გადმოცემული სოფლის წარსული ისტორია დღემდე. გავაზი – ერთგვარი მტაცებელი ფრინველია. ქართველი კაცის სიყვარული ბუნებისა და მისი შვილების მიმართ ადგილისთვის სახელწოდებების მინიჭებითაც კი ვლინდება. ასეა სოფელ წინწკანაანთსერის სახელწოდებაც, წინწკანა – ფრინველია.

ბატონი პაატას ნაშრომიდან ვიგებთ, რომ ქართულ წერილობით წყაროებში სოფელი გავაზი პირველად იხსენიება IX საუკუნეში, როდესაც ქორეპისკოპოსმა სამოელ დონაურმა დაამარცხა არაბები. X საუკუნეში კვირიკე ქორეპისკოპოსისა და კონსტანტინე აფხაზთა მეფის ჰერეთში ლაშქრობის შემდეგ გავაზი და არიში კონსტანტინეს ერგო წილად. ძველი გავაზის ტაძრის სამხრეთ ფასადზე შემორჩენილი წარწერებით ირკვევა, რომ იმპერატორ ნიკოლოზ II-ის მეფობის დროს აშენდა ხელმეორედ და დაარსდა განთქმული სოფელი გავაზი. არსებობს ის ვერსიაც, რომ თავდაპირველად გავაზელები დასახლდნენ სოფელ ბალღოჯიანის მიმდებარედ არსებულ წმ. თევდორე ეკლესიის ირგვლივ, ხოლო სხვა წყაროები იმასაც იუწყება, რომ ისტორიული ქალაქი გავაზი მართლაც მდინარე ქვაწვერისა და ავანის შესართავთან, ძველი გავაზის თავწმინდა გიორგის ეკლესიის (IV-VI სს.) ირგვლივ მდებიარეობდა. შემდეგ პერიოდში მოხდა გავაზელების ჩამოსახლება დღევანდელი ახალსოფლის ტერიტორიაზე ღვთისმშობლის ეკლესიის ირგვლივ. ერთ-ერთი მაცხოვრებლის გადმოცემით, თბილისის სახელმწიფო მუზეუმში ძველი რუკა უნახავთ, სადაც აღნიშნული ყოფილა ზემო გავაზი და ქვემო გავაზი, ზემო გავაზი დღევანდელი ახალსოფლის, ხოლო ქვემო გავაზი – წმ. თევდორე ეკლესიის ირგვლივ მდებარე. ლეკიანობისა და დაავადებების გავრცელების გამო ხდებოდა ხალხის გადასახლება-გადმოსახლება. წიგნში ერთგან ნათქვამია, რომ ლეკიანობის პრობლემების მოგვარების შემდეგ ხელისუფლებამ გადაწყვიტა გავაზელთა დაბრუნება თავიანთ პირველ საცხოვრისზე დღევანდელი სოფელ ახალსოფლის ტერიტორიაზე და ამ მიზნით გაკეთდა სოფლის განაშენიანების ახალი პროექტი. გავაზელთა ნაწილი დაუბრუნდა ძველ ნასახლარებს, ხოლო გარკვეულმა ნაწილმა ცხოვრება გააგრძელა ალაზნის პირას გაშენებულ ახალ გავაზში.

1886 წლის 3 ივლისის გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნდა სტატია: „ახალ გავაზში ცხოვრობს სამასამდე კომლი გლეხობა... ახალ გავაზს აქამდინ შკოლა არ ქონია, მაგრამ ახლა გამართეს და შემოდგომიდან დაიწყობენ ყმაწვილები სიარულს... „

გადმოცემით, პირველი სკოლის პირველი დირექტორი გახლდათ ევგენი კვარაცხელია გურიიდან 1895-1911წლებში. პირველი აკადემიური სკოლა სოფ. გავაზში (თელავის მაზრა) 1911 წელს გაიხსნა. 1912 წელს კი დაიწყო ორკლასიანი სკოლის მშენებლობა.

როგორც ზემოთ ავღნიშნე, თავად ავტორი იხსენებს, რომ ორი დაბალი ოთახი იდგა ეკლესიის ეზოში, რომელიც საკლასო ოთახებად გამოიყენებოდა. მისი აშენების თარიღი 1898 წელი იყო, ასე იყო აღნიშნული სასკოლო დოკუმენტაციაში. საბედნიეროდ, ამ შენობის ფოტო შემორჩენილია და გამოფენილია თანამედროვე სკოლის სასკოლო ეთნოგრაფიულ მუზეუმში, რომელიც დიდი რუდუნებით მოაწყო თანამედროვე სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლია კაპანაძემ და დიდ ზარზეიმითა და ყვარლის მუნიციპალიტეტიდან მოწვეული სტუმრების თნხლებით გაიხსნა 2013 წელს. მეტად დასაფასებელია ქალბატონი ლიას მიერ გაწეული ეს შრომა. მან ჩემთან საუბრისას გაიხსენა, რამდენად დარჩა აღტაცებული ყვარლის ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორი, ქალბატონი თამარ ზურიაშვილი, რომელმაც აღნიშნა, რომ ასეთი მდიდარი ექსპონატებით თავად ყვარლის მუზეუმი არ იყო განებივრებული. სასკოლო ეთნოგრაფიული მუზეუმი ნამდვილად დღესაც თავმომწონეობს საქართველოს კულტურის, ქართულ სულის, ხასიათის გამომსახველი ექსპოზიციით: ხის აკვნით, ჭერზე დაკიდული ლობიოს მოსახარში სპილენძის ქვაბით, რომლის ქვეშაც აგურით შემოღობილ წრეში გამურული შეშის ნაჭრეები აწყვია ცეცხლის იმიტაციისთვის; კევრით და ურმის ბორბალით, გოდრებით, ცომის საზელი ძველებური ხის ჭურჭლით, ცომის გუნდების დასალაგებელი ფრთებით; მოწნული დაბალი ღობით, მომცრო ქვევრით, ჩონგურით, ძველებური სასწორით, საწნახელით თუ სკივრ-კიდობანით, საათით; თიხის დოქებით, ჩაფით და კოდით, ჩოხა – ახალუხით, ქართული თეთრი კაბით, უძველესი ჩიხტა – კოპით, შავი ნაბადითა და ქუდებით; ქართული ორნამენტებით დამშვენებული ფარდაგებითა და მრავალი სხვა. ამ ოთახში საქართველოს ისტორია იშლება წარსული საუკუნეებიდან საბჭოთა კავშირის ეპოქის ჩათვლით, იმდროინდელი მერხის, სკოლის ფორმის, წითელი ყელსახვევით, პატეფონით, საკერავი მანქანით, გირებიანი სასწორით, ძველი ტელევიზორითა და ლენინის გამოსახულებიანი რუბლებისა და დროშების გამოფენით, ციფერბლატიანი ტელეფონითა და საბეჭდი მანქანით... აქ იმდენი ეპოქაა დავმოყრილი, რომლის აღწერასაც არ ეყოფა მრავალი ფურცელი; ხოლო მუზეუმს ამშვენებს კუთხე „შენი სოფლის ისტორია", რომლის შინაარსიც გამდიდრებულია ფოტომასალითა და ლიტერატურით. აქ ვხედავთ გავაზელი ინდიკო ბუთიაშვილის წიგნებს ფსევდონიმით – თედორე გავაზელი, დიდი ალბომით მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ქართველების ფოტოებით და სხვა. რაღა გასაკვირია, რომ სხვადასხვა წლებში სასკოლო ეთნოგრაფიულ მუზეუმს დედაქალაქიდან სტუმრობდნენ პროფესორ – მეცნიერები, საქართველო კუთხის სტუმრები, რომლებიც შთაბეჭდილებების წიგნში გადმოსცემდნენ ემოციებსა და განცდებს. ეს სასკოლო ეთნოგრაფიული მუზეუმი სკოლის დიდი ღირსების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, უდიდესი სიახლეა, რომლის მსგავსი არ მეგულება საქართველოს არც ერთ სკოლაში. მუზეუმის ბრწყინვალე კედლები მასპინძლობდა მრავალ სასკოლო ლიტერატურულ ღონისძიებას, თეატრალიზებულ მინი-დადგმებს. მუზეუმზე სკოლის პერსონალები და დირექცია ზრუნავს, ამდიდრებენ კოლექციას.

დავუბრუნდეთ გავაზის სკოლის ისტორიას და, როგორც ზემოთ ავღნიშნე, ეს ოროთახიანი შენობა წარმოადგენდა სკოლას, რომელიც შემდეგ დაანგრიეს კულტურის სახლის მშენებლობის გამო.

ბატონი პაატა ვერ ფარავს აღტაცებას თავის წიგნში: „არ შემიძლია არ გაგიზიაროთ ის ფაქტი, რომ 1909 წელს გავაზელმა მკვიდრმა პავლე კეწელაშვილმა მოაწყო ბავშვების სწავლება თავის ბინაზე. თითქმის ორ წელზე მეტხანს უფასოდ ასწავლიდა ოციოდე ბავშვს წერა-კითხვას დედა ენის მიხედვით და არითმეტიკიდან ძირითად ცნობებს. იგი სოფლის დიაკვანი გახლდათ, შემდეგში კომუნისტებმა ციმბირში გადაასახლეს ათი წლით და საყვარელ სოფლამდე ვეღარ მოაღწია".

საინტერესო ფაქტები გაზეთ „ივერიაშიც" ყოფილა მოცემული, როგორც იუწყება წიგნის ავტორი და ამ ინფორმაციით პირველი სკოლა გავაზში 1886 წელს გაიხსნა და 1909 წლიდან პედაგოგების სახელებიც კია ჩამოთვლილი.

სასკოლო შენობა, რომლის მშენებლობაც 1914 წელს დასრულდა, საუკეთესო შენობა იყო იმ დროინდელ გავაზში. მასში განთავსებული იყო არა მხოლოდ სკოლა, არამედ კლუბიც. კედლებში ჩაშენებული იყო ბუხრები და გავაზის კლიმატის გათვალისწინებით, იატაკი მიწის ზედაპირიდან აწეული დაახლოებით ერთ მეტრზე. მისი გახსნა ზარ-ზეიმით მომხდარა. საკურთხევლად თელავიდან ჩამოუყვანიათ ეგზარხოსი. ეკლესიიდან ამ შენობამდე ხალიჩები დაუფენიათ და ეგზარხოსი და მოწვეული სტუმრები მასზე გაუტარებიათ. ბოლოს, რა თქმა უნდა, სოფელს სადღესასწაულო სუფრაც გაუმართავს.

ამ შენობის გარდა, ორი ოროთახიანი აივნიანი შენობა იყო აშენებული ეკლესიის მარცხნივ, პირველი 1898 წელს, ხოლო მეორე 1954 წელს. მასში საკლასო ოთახები იყო განთავსებული, შემდეგში სამხედრო კაბინეტი და სასწავლო სახელოსნოები, აშენებული 1938 წელს.

1895 წლიდან 1930 წლამდე გავაზში სკოლა იყო ორწლიანი. 1930 წლიდან 1947 წლამდე – 7-წლიანი. 1947 – 1966 წლებში საშუალო (11-წლიანი). 1966 – 1988 – 10-წლიანი. 1988 – 2009 – 11-წლიანი. 2009 წლიდან – დღემდე – 12 წლიანი.

წიგნში წლების მიხედვით არიან ჩამოთვლილნი სკოლის დირექტორების სახელი და გვარი. თავად წიგნის ავტორი პაატა ბერიაშვილი, სპეციალობით ფიზიკოსი 1987 – 2011 წლებში გახლდათ სკოლის დირექტორი.

ქალბატონი ლია კაპანაძე, სპეციალობით ფილოლოგი 2015 წლიდან უძღვება თანამედროვე სკოლას და დიდი წარმატებითაც. პროფესიული საქმიანობის გარადა, მან მრავალი საინტერესო სტატია გამოაქვეყნა გაზეთ „სახალხო განათლებაში".

ევროსტანდარტების შესასბამისი ახლად აშენებული სკოლა 2010 წლის 29 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა გახსნა. სამსართულიანი შენობა აღჭურვილია უახლესი ინვერტარით, ფუნქციონირებს აინშტაინის პროგრამით მოქმედი ლაბორატორიული კაბინეტები, კომპიუტერული კლასები, თანამედროვე ტექნიკით არჭურვილი სამოქალაქო განათლებისა და თავდაცვის საკლასო ოთახები, სპორტდარბაზი და სკოლაში დამონტაჟებულია თანამედროვე ლიფტიც კი.

სადღეისოდ სკოლა მეტად აქტიურად აგრძელებს საგანმანათლებლო მოღვაწეობას, თანამედროვე მოთხოვნებისა და შესაბამისი პროექტების განხორციელებით. დღემდე მრავალი წარმატებისა და ჯილდოს მფლობელია.

წიგნში ქრონოლოგიურად დეტალურად არის აღწერილი სკოლის სერიოზული მიღწევები, წარმატებები, სკოლის განვითარების პროექტები, პარტნიორული ურთიერთობის პროექტი კალიფორნიის შტატის სკოლასთან, მოპოვებული გრანტები, ურთიერთობები სხვადასხვა ორგანიზაციებთან და მრავალი სხვა. განსაკუთრებულია მოსწავლეთა სხვადასხვა საგანმანათლებლო გამოწვევებსა და კონკურსებში გამარჯვებები.

მე წელს დავიწყე ამ სკოლის კედლებში მოღვაწეობა და იმდენად დიდი სითბო დამხვდა დირექციის, კოლეგებისა და მოსწავლეების მხრიდან, რომ სურვილი გამიჩნდა წინამდებარე წერილი შემექმნა, საკუთრი ემოცია, დამოკიდებულება ასე მეტად გამომეხატა. მოკლე მიმოხილვით საზოგადოებისთვის გამეცნო ამ სოფლის საინტერესო ისტორია და ღირსება, სკოლის უმნიშვნელოვანესი როლი მოსწავლეების ზრდა-განვითარებაში.

ქართველი ერი უფლის მიერ ჭეშმარიტად მომადლებულია მრავალმხრივი ტალანტით. სოფელმა არაერთი წარმატებული ადამიანი შვა. სკოლის მასწავლებლების მუშაობამ გამოავლინა და განავითარა მათი უნარები, შესაძლებლობები. მსურს გაგაცნოთ ორი ახალგაზრდა შემოქმედი გოგონა – ანი ვარადაშვილი და ლილი მინდიაშვილი. მსურს გითხრათ, რომ სკოლის წიაღში მრავალი მოსწავლე აგლაფრთოვანებთ ხელოვნებისა და მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებებში სიძლიერითა და საზრიანობით. მხოლოდ ამჯერად, როგორც პოეზიის მოყვარული, მათი მცირე შემოქმედებით მონუსხული შევჩერდები მათზე.

ანი ვარადაშვილი დამამთავრებელი კლასის მოსწავლეა. მისი თვალებიდან ზღვა სითბო იღვრება და სანამ თავად დაიწყებს ამაღლებულ გრძნობებზე რითმით საუბარს, მანამდე მისი სიღრმისეული მზერა გაგიტაცებთ იმ სამეფოსკენ, სადაც მხოლოდ უსაზღვრო სიყვარული შემოგევლებათ თავს.

2021 წელს მან მიიღო მონაწილეობა ლიტერატურულ კონკურსში „ნუშების თოვლი" და სიგელით დაჯილდოვდა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის მიერ. გარდა ამისა, ამ კავშირმა გამოსცა გამარჯვებულ მოსწავლეთა შემოქმედება წიგნად ამავე სახელწოდებით „ნუშების თოვლი", სადაც შესულია მისი ლექსი „მე უბრალოდ ვწერ სიმწრით ამ ფურცელზე / გულის ტკივილები განა დამელია... " ამ ლექსის მთავარი იდეოლოგია გადის საკუთარი ბაღის ღირსებით შენარჩუნებაზე, რომელიც ფართე გაგებით შეგვიძლია მოვიაზროთ საქართველოს სამოთხედ, ფულზე გაყიდული და გაცვლილი. სხვაგვარად ემოციურია მისი მცირე პოეტური ნაწერები, უფრო მეტი სიზუსტით კი შტეფან ცვაიგის „უცნობი ქალის წერილების" მიხედვით დაწერილი, რომელიც თავისი შინაარსით ცხადად შეგვახსენებს ნაწარმოების შინაარს. ანის რომანტიკულ ბუნებასა და ლირიკაზე გავლენა მოახდინა უცნობი ქალის წერილმა, აღტაცებაში მოვიდა ერთგული სიყვარულის სიმძლავრითა და სულიერი სიმტკიცით. მისი ჯერაც გაუწრთვნელი პოეტური სული არაერთგზის განიცადებს გავლენას კლასიკური ნაწარმოებებისაგან. ამის დასტურია თუნდაც მისი „სულით ბოროტი" (ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის ოცდამეერთე საუკუნის ვერსია), მისი პოეტური ამბები სასიყვარულოა, დრამატული და სევდიანი. მისი სიყვარულის ნაღველი შეყვარებული ქალიშვილის ამოძახილია, რომელიც მზად არის თავგანწირვისთვის, სამარის კარამდის ერთგულებისთვის, მარტოობა და „გადაკარგვა" კი მისი საწუხარია:"... გადავიკარგე, არავინ მეძებს/ მხოლოდ ბნელი ცა, მხოლოდ ჯანღები/ ისე მტკიოდა, მაგრამ მე ვდუმდი, შიგნიდან მჭამდა ჩუმი დარდები... //... გადააფარეს ჩემს სულს თითქოს თეთრი სუდარა/ ახლა იქნებ და სადღეგრძელოც ხსოვნისა შესვან/აღარც სიტყვები, აღარც ზარები და თითქოს აღარც გულის ფეთქვაა... „

ანისაგან განსხვავებით, მეტად მძიმეა ლილი მინდიაშვილის ლექსები. მეცხრე კლასის მოსწავლე ცხოვრებას უკვე ჭადრაკს ადარებს და მისი „ბავშვური" ფილოსოფია და „განსწავლულობა" ამით უკვე ვლინდება. ჭადრაკის სამყაროში მინიატურული სახით ადამიანთა ცხოვრებაა გადმოცებული, მისი გონების ძალა, ხასიათი, შორსმჭვრეტელობა და ლილი ამბობს:"ჭადრაკის დაფა ჩვენი გზა არის, ფიგურები კი ჩვენი სვლა არის/ სანამ წინ წავალთ, უნდა დავფიქრდეთ/ სწორია გზა თუ უკუ სვლა არის... „

თავის ნაწერებში ლილი გახსნილად ამხელს, რომ უკვირთ ადამიანებს მის თვალებში ჩამდგარი სევდის, ნაღველის და საპასუხოდ თავად გამოხატავს გაოცებას იმის გამო, რომ ეს თავად ცხოვრებაა ასეთი, მას აქვს ლხინისა და სევდის ტალღები:"... ცხოვრებაა საჩუქრებით, ხანაც ლხინით, ხანაც დარდით/ მაგრამ მე ხომ ვერას ვიზამ, რა ვქნა ცხოვრებაა ძნელი?!/ ხან ქუჩაში ვხედავ ბავშვებს, მათ არა აქვთ წყალი, პური/ ხან კი უდანაშაულ ბავშვს ეყინება მალე სული/ მტავჯავს უსამართლობა და მტანჯავს ხალხის საქციელი... //... „ლილი პარტიოტულ მოტივებსაც ეხება, როდესაც ამბობს, რომ „... სურს იბრწყინოს ჩვენმა საქართველომ!"

როგორც ზემოთ ავღნიშნე, ლილის ლექსები მძიმეა თავისი აზრობრივი დატვირთვით, დარდით, იმედგაცრუებით, გულგატეხილობით და ყველა უბედურებას ცხოვრებას მიაწერს, თუნდაც იმ ვნებას, „როცა ლოთები გულს აყოლებენ სმას", ხოლო სათავეში აყენებს ამპარტავნების დამღუპველ გრძნობას. მკაცრად ნუ განვსჯით და შევაფასებთ გოგონების თავისებურ ხედვას, დამოკიდებულებას, შთაგონებას. ისინი იმ ასაკში იმყოფებიან, როდესაც ტკივილს აყურადებენ, გამომწვევ მიზეზებს იძიებენ. ვიტყოდი, რომ ნამდვილად აქვთ პოტენციალი მომავალში შედგნენ, როგორც პოეტები. ამ ყველაფერს კი დრო გამოავლენს.

მათ კი სასკოლო საზოგადოებისა და მოწვეული სტუმრების წინაშე ლიტერატურული საღამოს სახით მოკრძალებულად წარმოადგინეს საკუთარი შემოქმედება სკოლის დირექციისა და მასწავლებლების მხარდაჭერით. საკუთარმა სოფელმა პირველმა აღიარა და შეიყვარა მათი შემოქმედება, მე კი კვლავინდებურად აღტაცებული ვარ ამ სოფლითა და მისი მაცხოვრებლებით.

**ეკატერინე ავაზაშვილი,**
**პედაგოგი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი**

# ახალი წელი საქართველოში

ახალი წელი მთელს მსოფლიოში განსაკუთრებული დღესასწაულია. ძირითადად, ხალხი დეკემბრის მიწურულს იწყებს მზადებას ახალი წლის შესახვედრად: ნაძვის ხის ლამაზი სათამაშოებით მორთვა, ფერად-ფერადი განათებები, საახალწლო წვიმები, მაშხალები, ბავშვები წითელ-თეთრ სამოსში გამოწყობილ თოვლის ბაბუას ელოდებიან, მშობლები საჩუქრებს ფუთავენ – დღეს ეს ყველაფერი გვიქმნის საახალწლო განწყობას, თუმცა არც ისე დიდი ხანია, რაც თანამედროვე საახალწლო ტრადიციები დამკვიდრდა, რაშიც მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ამერიკული კულტურის გავრცელებას ევროპასა და დანარჩენ მსოფლიოში. ასე რომ, შობა-ახალი წლის აღსანიშნავი დღევანდელი ტრადიციების უმეტესობა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ამერიკული კულტურის დიდი გავლენით წარმოიშვა. მანამდე კი ევროპის ქვეყნებშიც კი განსხვავებული ტრადიციები არსებობდა ახალი წლის აღსანიშნავად.

საქართველოში საახალწლო ტრადიციები საკმაოდ დიდი ხნის წინ დამკვიდრდა და მას შემდეგ მუდმივად ვითარდებოდა. ჩვენთან ახალი წელი სხვადასხვა ეპოქაში წელიწადის სხვადასხვა დროს აღინიშნებოდა. შემონახული ცნობების თანახმად, IV საუკუნეში ახალ წელს 6 აგვისტოს ზეიმობდნენ. VII საუკუნიდან აგვისტოს სექტემბერი ჩაენაცვლა. IX საუკუნის 20-იანი წლებიდან ახალი წლის ათვლა გაზაფხულის პირველი თვიდან –მარტიდან იწყება. იანვარში კი ახალი წლის აღნიშვნა ჯერ კიდევ X საუკუნეში დაიწყო, თუმცა, საბოლოოდ, XIV საუკუნეში დამკვიდრდა. სწორედ ამ პერიოდში დაიხვეწა უამრავი საახალწლო წეს-ჩვეულება და რიტუალი.

მოგეხსენებათ, საქართველოს ყველა კუთხე საკუთარი დამახასიათებელი კულტურით გამოირჩევა. არც საახალწლო ტრადიციებია გამონაკლისი: მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი საახალწლო ტრადიცია ყველა კუთხეში საერთო იყო, რიტუალები თითქმის ყველგან განსხვავდებოდა ერთმანეთისგან.

სანამ კუთხეების მიხედვით გიამბობთ საახალწლო წეს-ჩვეულებებს, მანამდე გეტყვით, რომ ყველა კუთხეში მოზეიმეების მიზანი საერთო იყო: დღესასწაულს ისე უნდა შეხვედროდნენ, რომ ახალმა წელიწადმა თითოეულ ოჯახს ბედნიერება, ჯანმრთელობა, ხვავი, ბარაქა, სიკეთე და სიხარული მოეტანა. ასევე, საერთო იყო ყველგან თოვლის ბაბუაც – თეთრ ჩოხაში გამოწყობილი, ნაბადშემოხვეული და ხურჯინგადაკიდებული მხიარული და წვერებიანი მოხუცი, რომელიც ბავშვებს საჩუქრებს ურიგებდა. თოვლის ბაბუასთან ერთად საქართველოში ახალ წელთან მეკვლეც ასოცირდებოდა. საბედნიეროდ, ეს ტრადიცია დღემდე შემორჩენილია. მეკვლე იყო კაცი, რომელიც პირველი შეაბიჯებდა ახალ წელს ოჯახში. სწორედ მასზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი აღმოჩნდებოდა ის წელი ოჯახისთვის, ამიტომ ცდილობდნენ, რომ ცუდი ფეხის მქონე მეკვლედ არ აერჩიათ.

ახალ წელს საქართველოში ხშირად „ბასილის დღეს“ უწოდებდნენ, რადგან პირველ იანვარს მართლმადიდებლური ეკლესია წმინდა ბასილი დიდს იხსენიებს. საახალწლოდ ცხვებოდა ადამიანის ფორმის პური ე. წ. „ბასილას კვერები“.

## ახალი წელი საქართველოს კუთხეებში

**ქართლი**

ქართლში თავდაპირველად ბასილას ქანდაკებას აცხობდნენ, ოჯახის თითოეული წევრისთვის ორ-ორ ბედის კვერს და თითოს შინაური ცხოველებისთვის. ოჯახის უფროსი ხონჩაზე დააწყობდა მოხარშულ დედალს, ღორის თავს, ბედის კვერებს, ბასილას, თაფლში ამოვლებულ პურის ლუკმებს, ჩურჩხელას, გოზინაყსა და დოქით ღვინოს. გათენებისას იგი ხონჩას გარეთ გაიტანდა, სახლს ლოცვით სამჯერ შემოუვლიდა. შინ შებრუნებისას მუგუზლით ცეცხლს შეუჩუჩხუნებდა და ნაპერწკლების აცვენისას წარმოთქვამდა: – „ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი...“

ამ საახალწლო ხონჩას ქართლში „აბრამიანს“ უწოდებენ. შემდეგ ოჯახის ყველა წევრს თაფლიანი ლუკმით „დააბერებდა“. ამ ხონჩას ქართლში სამ დღეს ინახავდნენ, შემდეგ ბასილას გულიდან ჯვარს ამოჭრიდნენ, ფქვილიან გოდორში ჩააგდებდნენ და თან იტყოდნენ:

– „ბარაქა ამ გოდორსაო!“

აქვე გალობდნენ:

„ღმერთმა ყველა ააშენოს ამ ოჯახის
მასპინძელი,
პური, ღვინო ბევრი მისცეს და
სიმინდი ძველისძველი,
ეს სახლი ღმერთმა აკურთხოს,
გაუმაგრდეს საფუძველი
ახალწელიწადს დაესწროს,
გაისტუმროს ესე ძველი!“
ბოსელში შესვლისას საქონელსაც
ულოცავდნენ ახალ წელს.

## საახალწლო კვერები

**კახეთ-ჰერეთი**

კახეთში მეკვლეს სახლში შემოსვლისას ხორბალს ან სიმინდს გადაუყრიდნენ – ბევრი მაძღარი კრუხ-წიწილა გვეყოლებაო. აქვე ასეთი მესტვირული საახალწლო სიმღერა ისმოდა:

„ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით მრავალ
ახალწელს დილითა,
ნათლიმამა თან მოგდევდეს, თაფლი
მოქონდეს ქილითა;
ხურჯინიც სავსე ეკიდოს,
ჩურჩხელებით და ხილითა...
თქვენი კოდები ყოფილა სავსე და –
წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა სავსე და
– წითელ ღვინითა;
თქვენი ფარეხი ყოფილა სავსე და –
ცხვრითა, ბინითა...
თქვენი მტერი წაქცეულა, ვეღარა
ძღება ძილითა...!“

ჰერეთში საახალწლოდ დაამზადებდნენ ხონჩას; დააწყობდნენ ზედ პურებს, ლავაშს, დადგამდნენ ჯამით თაფლს, ერბოს, არაწით ღვინოს, ბამბის წითელ და თეთრ ძაფებს და სახლის-დიდთან ერთად წავიდოდნენ ვენახის საკვლევად. მივლენ ერთ კარგ მოსავლის მომცემ ვაზთან. სახლის უფალი ჯერ გასხლავს ვაზს, მერე ააგებს, ჭიგოების ჩარჭობის დროს ნიადაგს ღვინით მოალბობენ; იგივე უფროსი ვაზის ძირში დაკლავს წითელ ფრთოსან მამალს, წითელ ფრთებს მოაგლეჯს და ბამბის ძაფით ამ ფრთებს ჭიგოსა და ვაზზე მიაკრავს და თან იტყვის:

„ღმერთო, ქურმუხის საყდარო, შენ ნუ მოგვაკლებ ქვევრებში წითელ ღვინოსა“. თითო ლუკმა პურს ამოაწებენ თაფლსა და ერბოში, შეჭამენ, ცოტა ღვინოს მოსვამენ და შინ დაბრუნდებიან. ახალი წლის დღეს ინგილოებმა სადილი იციან ადრე. უფრო ქათმის წვენსა და ფლავს აკეთებენ. სადილად მოელიან გარეშე მეკვლესაც, რომელიც უნდა იყოს ვინმე ბედისგან დაუჩაგრავი, ან ნათესავი, ან ნაცნობი. მანამ მეკვლე არ ეწვევათ, არავის მიიღებენ სახლში.

## ქართველი გლეხი ხონჩით მარანში

**თუშეთი**

ზამთრის სადღესასწაულო რიტუალებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია ახალი წლის შეხვედრა, რომელსაც ხალხი თავის ოჯახის ბედს თუ უბედობას უკავშირებს. ამიტომ თუშებიც თავიანთ „წელწდობას“ მოწიწებით ეგებებიან.

საახალწლოდ თუშეთის სოფლებში არაყს ხდიან და ლუდს ადუღებენ. ოჯახებში აცხობენ ერთ გულიან კოტორს „ქრისტეს საგძალს“, კაცზე „ბაცუკაცს“ და ქალზე მრგვალ კვერს. აცხობენ აგრეთვე დამახასიათებელ ნიშნებიან საქონლის კვერებს. ხარისას რქები აქვს, ძროხისას – ძუძუები, ცხვრისას – დუმა, ცხენისა კი ნალის ფორმის არის. ყველა ამ კვერს ხონზე დაალაგებენ და ზედვე დებენ: მატყლს, მარილს, ყველს, ერბოს და ამ სუფრას მეკვლის მოსვლამდე ხელს არავინ ახლებს. დიასახლისი აგრეთვე აცხობს სახლის ანგელოზის ან ფუძის ანგელოზის კვერს და „კერის კვერს“.

საახალწლოდ ირჩევენ მეკვლეს, რომელსაც მოაქვს პური და ამ პურზე უწყვია: ერბო, ყველი, მატყლი და რაიმე ტკბილეული. მეკვლეს ხელში არაყიც უჭირავს. ოჯახში შემოსვლისას პურს შემოაგორებს და იტყვის: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი კვალი ანგელოზისა, კაი წელი გამოგეცვალოთ მრავალი. ერთი ესე, ათასი სხვა. გაგიმრავლოთ შინ ოჯახი, გარეთ საქონი!“

**ფშავი**

მამლის პირველი ყივილისას დიასახლისი დგება, ჯალაბს ნაყრად (საგზლად) ხმიადს გამოუცხობს, ხონჩაზე დადებს და მას კერის პირზე მიდგამს, გარშემო თაფლ-ერბოიან ჯამებს შემოუმწკრივებს. ოჯახიდან ერთი წყალზე წავა, თან „ნაყრს“ – ყველს და პურს წაიღებს. იქ წყალში ჩააგდებს და სამჯერ იტყვის: „წყალო, ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო“. ამ წყალსაც დიასახლისი სუფრასთან მიდგამს, სუფრას სახელს შესდებს და დაილოცება. ამის შემდეგ ოჯახის წევრებს თაფლს და ხილს შეაჭმევს, „დააბერებს“ და ერთმანეთს ეტყვიან: „ეგრემც ტკბილად დამიბერდიო“. გადმოიღებენ ხმიადებს, წვნიან ჯამებს და საუზმობენ. ოჯახი უცდის წინა ღამეს ხატში წასული ღამისმთევლების გამობრუნებას, მეკვლეს შემოსვლას და ოჯახიდან არავინ გადის. დიასახლისი ქვაბს ჩამოჰკიდებს და ხინკლის კეთებას შეუდგებიან.

**ხევსურეთი**

ხევსურები ახალ წელს „წელწადს“ უწოდებენ და მას დიდი სამზადისით ეგებებიან. ოჯახებში საახალწლო არაყს ხდიან, ხატში დასტურები ლუდს ხარშავენ. დიასახლისი საახალწლო კვერებს აცხობს. ყველაზე დიდი სამეკვლეო კვერია, რომელზედაც გამოსახულია ჯვარი, კაცი, სახნისი, ხარი, ძროხა, ცხენი, ქერის თავთავი და სხვა. სამეკვლეო კვერს გამოცხობის დროს უცქერიან და, რომელი გამოსახულებაც აიწევს, იმ წელიწადს ის იქნება მრავალი და დოვლათიანი. შემდეგ დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისათვის აცხობს ბედის კვერებს: თითოეულს თავისი ნიშანი აზის და გამოცხობის დროს, ვისიც აფუვდება, ის ბედიანი და ყისმათიანი იქნებაო.

ოჯახის მეკვლეები ხატებში ათენებენ ახალი წლის ღამეს. გათენებისას ხუცესი გარეთ გამოდის, თოვლი შეაქვს სალოცავში, მეკვლეებს თავზე აყრის და დალოცავს:„ესრ თეთრად აყვავდით! წელიმც კაისა გამოგეცვლებისთ, პურიან-წულიანი, სახელსარგებლიანი, მშვიდობისა და კარგად ყოფნისა!...“

**რაჭა**

რაჭაში ახალი წლის წინა საღამოს ოჯახის უფროსი „სამკლოვიარო გერგვს“ აკეთებდა. ამისთვის ცხრა ვაზს თითო რქას შეაჭრიდა, მათ ერთმანეთს შეაგრეხდა, მორკალავდა და შუაში ჯვრად თხილის დაჩიჩილაკებულ ჯოხებს ჩაუყენებდა. ამ ჯოხებს გარეთ გამოშვერილ წვეროებზე ვაშლებს წამოაცვამდნენ, ბაძგის მწვანე ტოტებით მორთავდნენ და ზედ საახალწლო განატეხს დაადებდნენ.

ახალი წლის დილით შინაური მეკვლე შინ შემოვიდოდა, ღომის მარცვლებს მოაბნევდა იატაკზე, ოჯახის წევრებს ახალ წელს მიულოცავდა, სამჯერ შემოუვლიდა კერას სამკლოვიარო გერგვზე დადებული სანოვაგით, რომელსაც ყველა ეხებოდა ხელით. შემდეგ გერგვს საფუარის ქვაბზე დადებდა, შეუჩუჩხურებდა ცეცხლს და ამბობდა:

„ამდენი ვაჟი, ამდენი ხარი, ამდენი გოჭი, ამდენი ქათამიო...“

ზემო რაჭაში საახალწლოდ ორ ბაჭულს აცხობენ, ერთს ახალი წლისთვის, მეორეს ძველისთვის. აცხობენ აგრეთვე ადამიანის სახის კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს „კერია-ბერიას“, რომელსაც სხვადასხვა სახეებით აჭრელებენ. ამ ნამცხვრებს ოჯახის უფროსი ცხრილზე დაალაგებს და ბეღელში შეინახავს. მამლის პირველი ყივილისას „მაკვრიელი“ ან მეკვლე ცეცხლს დაანთებს. შემდეგ გარეთ გავა, მარხილზე დაწყობილ ნეკერს მოტეხავს, ჩიჩილაკს აიღებს და ბეღელში შევა. შემდეგ შინ შემოვა ლოცვით „შემოვდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი. დიამც მამივა ახალი წელი: შეძენის და მოგების, მშვიდობის დაკარგად ყოფნის, ვაჟიანობის, ღვინიანობის, პურიანობის“, შემდეგ წყლის მოსატანად წავა. მის დაბრუნებამდე ყველანი დგებიან. მეკვლე ყველას ხელპირს დააბანინებს. საუზმის დროს კი ოჯახის ყველა წევრს „კერია-ბერიას“ უნაწილებენ.

**ლეჩხუმი**

ლეჩხუმში ახალ წელს, ნაშუადღევს, ოჯახის უფროსი მამაკაცი ზურგზე მოიკიდებდა მეორე მამაკაცს და ვენახისკენ გასწევდა. თან მიჰქონდა ტაბლა, რომელზეც ეწყო ღვინიანი ჭიქა, ღორის შემწვარი ხორცი, ანთებული სანთელი და ხორბლის ერთ-ერთი ჯიშის – ზანდურის თავთავების კონა. ვენახში შესვლისას იგი იძახდა: „ღუზ, ღუზ, ღუზ!“

ამის შემდეგ კაცს ჩამოსვამდა, თავთავების კონას სარზე ჩამოაცვამდა, ტაბლას წალმა შეატრიალებდა, მერე ღვინით დაილოცებოდნენ და მიტანილ სანოვაგეს შეექცეოდნენ.

**სვანეთი**

სვანეთში ახალ წელს ოჯახის უფროსი კაცი, ერთი ქალი და ერთი კაცი სისხამ დილაზე ჩუმად ადგებოდნენ, სანოვაგით სავსე გიდელს წაიღებდნენ,



ყველაზე გამორჩეულ ხარს წაიყვანდნენ და წყალს დაალევინებდნენ, უკან დაბრუნებისას თან წყალი მოჰქონდათ. კალოზე თოვლის ზვინს დადგამდნენ, შუაში ნაძვის ხეს ჩაურჭობდნენ, გარს შემოუვლიდნენ და მერე სახლში შედიოდნენ. კაცი იძახდა: „კარი გამიღეთ, ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს!“ შევიდოდა სახლში, შეიყვანდა ხარსაც, სამჯერ შემოუვლიდა კერას, შემდეგ აიღებდა ხელში ბედის პურს, რომელზეც ელაგა: თაფლი, ხორცი, ყველი, ფული და ყველას მიულოცავდა ახალ წელს.

რაც შეეხება მეკვლეს, ახალწლის ღამეს სვანები სხვადასხვა სანოვაგეს გიდელში ჩაალაგებენ და სახლის გასავალ კარებზე ჩამოკიდებენ, რომ მეკვლეს მზად დახვდეს. მეკვლე კარებს დააკაკუნებს შემდეგი სიტყვებით: „ყორ მუკიარ, ყორ მუკიარ (კარი გააღეთ) ღერ თემიში იხელწიფი ჟორ ამღვე, ყორ მუკიარ (ღვთისა და ხელმწიფის წყალობა მომაქვს, კარი გამიღეთ)“.

## გიდელი

**სამეგრელო/აფხაზეთი**

სამეგრელოში ყველაზე დიდ დღესასწაულად კალანდა – ახალი წელი ითვლებოდა. შინ გამოსაჩენ ადგილას დადგამდნენ ბროწეულით, ხილით, ტკბილეულით, ძვირფასი ნივთებით, აბრეშუმის ძაფით, სუროსა და დაფნის ტოტებით მორთულ ჩიჩილაკს. აცხობდნენ ბასილას და ღვეზელს, რომელშიც კვერცხის გულს დებდნენ. დილით ადრე სოფელში თოფის სროლა ატყდებოდა. ოჯახის უფროსი სანოვაგით სავსე ხონჩას აიღებდა, ხალხს ლოცვით სამჯერ შემოუვლიდა, ღომის მარცვლებს აბნევდა და ღმერთს გამარჯვებას, ჯანმრთელობასა და კარგ მოსავალს სთხოვდა. შემდეგ შინ შევიდოდა და ყველას მიულოცავდა.

აქვე ახალ წელს სტუმრის მოტაცება იცოდნენ. ამ ჩვეულებაში მთელი უბანი მონაწილეობდა. გაიმართებოდა მხიარული გაწევ-გამოწევა, სიცილი და ხუმრობა. მოტაცებულ სტუმარს ასაჩუქრებდნენ, პატივს სცემდნენ და მეორე დღემდე არ გაუშვებდნენ.

ახალი წლის საღამოს ეწყობოდა „ტყაპობა“ – ახალგაზრდა ქალები და ვაჟები ერთმანეთს სიმინდის ცომით თხუპნიდნენ. ამ მხიარულ შეჯიბრებაში ვინც მოუთხუპნავი გადარჩებოდა, იმ წელიწადს გამარჯვებული და ბედნიერი იქნებოდა.

**იმერეთი**

საახალწლოდ რამდენიმე ჩიჩილაკი მზადდებოდა. ერთ-ერთი მარნისთვის იყო განკუთვნილი. ახალი წლის დილას შინაური მეკვლე წყაროდან წყალს მოიტანდა. ოჯახის წევრები პირს დაიბანდნენ და ისევ მეკვლის წინამძღოლობით მარნისკენ წავიდოდნენ. მიჰქონდათ სანოვაგით სავსე გობი, ორშიმო და ჩიჩილაკი. მეკვლე ჩიჩილაკს საახალწლო ჭურის გვერდით დაასობდა. მარანს ახალ წელს მიულოცავდა, შემდეგ საახალწლო ჭურს მოხდიდა, ღვინოს გასინჯავდნენ და დოქებს აავსებდნენ.

**გურია**

ახალ წელს კალანდას ეძახიან. წინადღით მოჰქონდათ „ცხემლის“ (რცხილის) შეშა, რომელსაც თხილის ჯოხებსაც მოაყოლებდნენ ჩიჩილაკისთვის. ამ ჯოხებს ლადარში აცხელებდნენ და კარგად ალესილი დანით ისე თლიდნენ, რომ ბურბუშელა ჯოხზევე რჩებოდა და ეხვეოდა. შემდეგ ჯვრიან დასადგმელს უკეთებდნენ, წვერში ჯვარედინად თხილის ჯოხებს ჩაურჭობდნენ და რთავდნენ სუროს ტოტებით, ვაშლებით, საჩიჩილაკე ხაჭაპურებით, ტკბილეულითა და ვერცხლის ფულებით. აქვე ასეთი წესით სრულდებოდა: ოთხ ხაჭაპურს გიდელში ჩააწყობდნენ და გოგონას გაატანდნენ მარანში. იქიდან ვაჟი უნდა გამოსულიყო ღვინიანი დოქით და გოგონას შეხვედროდა. მათ შორის მოჩვენებითი ბრძოლა გაიმართებოდა დოქისა თუ ხაჭაპურის წასართმევად და მარანში შესატანად. თუ ბიჭი იმარჯვებდა, მაშინ ღვინისა და ხაჭაპურის უხვი მოსავალი იყო მოსალოდნელი, ხოლო თუ გოგონა იყოჩაღებდა, აბრეშუმის უხვი მოსავალი იქნებოდა.

**აჭარა**

ახალგაზრდები თითქმის გათენებამდე დადიოდნენ სოფელში და ყველა ოჯახს ახალი წლის დადგომას ქრისტიანული სიმღერით ულოცავდნენ:

„შემოვდგი ფეხი, გილოცავთ,
გწყალობდეთ წმინდა ბასილი,
იმისი მადლით იყავით
პურით და ღვინით ავსილი“.

მასპინძლები საჩუქრებს აძლევდნენ მომლოცველებს.

**სამცხე-ჯავახეთი**

31 დეკემბერს მზის ჩასვლისას ოჯახის უფროსი მამაკაცი ხელში რკინის ჯოხით სახლს სამჯერ შემოუვლიდა, თან ფუძის ანგელოზს სთხოვდა მისი ოჯახი ეშმაკის გზიდან აეცდინა.

საღამო ჟამს დიასახლისი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ ბასილას, რომელსაც გრძელი წვერი და ნიგვზის თვალები ჰქონდა. შემდეგ აცხობდნენ: „ხარის ქედის“ მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჟუნას“, რომლის ცომსაც სახრეზე დაახვევდნენ და ისე გამოაცხობდნენ, „ბედის პური“ ცხვებოდა დიდი და შიგ ატანდნენ თეთრ აბაზიანს.

შემდეგ დიასახლისი აცხობდა „ბანის პურებს“ და „ქათამ-წიწილას“ პურებს, რომელსაც ვაშლის ფორმა ჰქონდა და გარშემო ცომის ნისკარტებს უკეთებდნენ. აცხობდნენ სამეურნეო იარაღების ბედის კვერებსა: ცელს, გუთანს, ძროხის ძუძუებს, პურის ორმოს, ქერისას და დიკისას.

ამის შემდეგ სახლის უფროსი კვერებს საახალწლო ტაბლაზე დაალაგებდა. შუაში ესვენა ბასილა, რომელსაც ხელები გულზე ჰქონდა გადაჯვარედინებული. თავთან და ფეხებთან ბასილას ბანის პურებს დაუდებდნენ. ტაბლაზე დადებდნენ თაფლიან ჯამს, ჰალვას, გოზინაყს და ტყვიას. ამ ტაბლას ოჯახის უფროსი კერასთან მიდგამდა.

მამლის ყივილისას ამ ტაბლას აიღებდა, ავიდოდა სახლის ბანზე და დარბაზის გვირგვინს სამჯერ შემოუვლიდა ლოცვით; „ერდოსა შენსა შემოვდგი ფეხი, ჩემო ცოლშვილო გწყალობდეს ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისა, გწყალობდეს წმ. ბასილას მადლი“.

მეკვლე სახლში შესვლის დროს ასეთ ლექსს წარმოთქვამდა:

„ახალ წელიწადს, წლის თავსა
გიკვლევ ვაზისა ქითამცა,
შენიმცა სახლი ავსილა
ტყავკაბაზარბაზითამცა;
ცხენზედაც შაგისხდებიან
მშვილდისრიანნი, ხმლითამცა,
კარზედამც მოგადგებიან
ცხენჯორამაფრაშითამცა;
ტახდზედამც დაგიდგებიან
თავ-ოქრო-გვირგვინითამცა,
მტერი სულ დაგიბმრავდების ეშმაკი
ხმალით – ცითამცა
მოკეთე ღმერთმა გიმრავლოს,
მოყვარე მრავალ გზითამცა;
პურ-ღვინო დაულეველი, ვით
მონადირე წყლითამცა;
სიცოცხლე გახარებული,
მოუწყინარი დღითამცა;
ასრე დასტკბი ამ ქვეყანას, ვით
თაბლი ფუტკრის სკითამცა,
უხვადაც მოგეცემოდეთ
თვალ-მარგალიტი ზღვითამცა“.

# საქართველოს მეაბრეშუმეობა – გუშინ, დღეს, ხვალ



### აბრეშუმი, მეაბრეშუმეობა

მეაბრეშუმეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის უძველესი დარგია, რომელმაც წარმატებით გაუძლო ისტორიის მკაცრ ქარტეხილებს და სამართლიანად ითვლება ერის კულტურული მემკვიდრეობის საუკეთესო მაგალითად. აბრეშუმის პარკის წარმოება, გადამუშავება და ქსოვა ყველაზე პრესტიჟულ საქმედ ითვლებოდა ქვეყანაში.

აბრეშუმის წარმოებამ და დამუშავებამ ფართო განვითარება საქართველოში ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში ჰპოვა. იგი საქართველოში მეხუთე საუკუნემდეც იწარმოებოდა, რადგან ქართველებს თუ არ ეცოდინებოდათ გრენის გამოცოცხლება და ჭიის კვების ტექნიკა, თუთის ხის და აბრეშუმის ჭიის მავნებლებისა და მათი დაავადებების წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდები, პარკის პირველადი დამუშავებისა და გადამუშავების ტექნოლოგია, გრენის დამზადების წესები და სხვა, ჩამოტანილი გრენის გამოყენება და მისი ფართოდ გავრცელება საქართველოში შეუძლებელი იქნებოდა. უფრო სწორია იმის აღიარება რომ საქართველოში მეაბრეშუმეობა გავრცელებული იყო ინდოეთიდან გრენის შემოტანამდე (V საუკუნე-ვახტანგ გორგასალის მეფობის დრო) და ქართველებმა იცოდნენ ყველა ის აგროტექნიკური და ტექნოლოგიური პროცესი, რაც დაკავშირებული იყო ამ დარგთან ამას ისიც ადასტურებს, რომ ქართველებს აბრეშუმის ნაწარმზე ჰქონდათ საკუთარი ტერმინები: ბჟოლა (თუთა), ძაფი, ჩიგორგალი (ხამი ძაფი), დარაია, სტავრი (აბრეშუმის ქსოვილები), ჭიჭნაური (აბრეშუმი), ყაჭი (აბრეშუმის ნარჩენი) და სხვა. აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ვივარაუდოდ, რომ მეაბრეშუმეობა საქართველოში მეხუთე საუკუნემდე უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ქართული აბრეშუმი, დიდი სიყვარულით სარგებლობდა საერთაშორისო არენაზე. ქვეყანაზე გამავალი დიდი საქარავნო გზები, ერთმანეთს აკავშირებდა იმდროინდელ სავაჭრო ცენტრებს–ჩინეთს, ირანს, ბიზანტიას და სხვა ქვეყნებს.

ცნობილი მოგზაურის შარდენეს (მე-17 საუკუნე) მონაცემებით, საქართველოში მოყავდათ 3700 ტონისა ნედლი პარკი და სპარსეთში გაქონდათ 280 ტონა აბრეშუმის ხამი ძაფი.

მეაბრეშუმეობა წარმოადგენდა ერის ძლიერების წყაროს და მუდმივი ზრუნვის საგანს, რამაც განაპირობა მისი ზიგზაგებით, მაგრამ მაინც აღმავლობით განვითარება. ამასთან, იხვეწებოდა აბრეშუმის ჭიის მოვლის წესები, პარკის წარმოება-გადამუშავების ტექნოლოგია და საბოლოო პროდუქციის წარმოება.

ქართული აბრეშუმი, დიდი სიყვარულით სარგებლობდა საერთაშორისო არენაზე. ქვეყანაზე გამავალი დიდი საქარავნო გზები, ერთმანეთს აკავშირებდა იმდროინდელ სავაჭრო ცენტრებს–ჩინეთს, ირანს, ბიზანტიას და სხვა ქვეყნებს.

საუკუნეთა მანძილზე, მეაბრეშუმეობის განვითარების ამსახველი მასალები და უცხოურ მოგზაურთა მწირი ცნობების მიუხედავად, საქვეყნოდ აღიარებულმა მკვლევარებმა (ისტორიკოსები, ეკონომისტები) მაინც შეძლეს საერთო კანონზომიერების დადგენა.

მეაბრეშუმეობაში, ჩატარებული მუშაობის შედეგად XVIII საუკუნის 50-იან წლებში საქართველოდან საექსპორტოდ „ევროპაში გაჰქონდათ აბრეშუმი, უპირატესად ძაფად და აბრეშუმის ჭიის თესლის სახით". ამასთან, პარკის საშუალო წარმოება შეადგენდა 350-400 ათას ფუთს (21847-25000 კგ), რაც სარეკორდოდ ითვლება დღემდე. თანდათანობით იხვეწებოდა ვაჭრობის მეთოდები, ევროპის ბაზრებზე და საერთაშორისო გამოფენებზე გამოჩნდა ქართული აბრეშუმი, რაც მედლების და ფულადი ჯილდოებით აღინიშნებოდა. ეწყობოდა თუთის სანერგეები, აბრეშუმის ჭიის საჩვენებელი გამოკვებები, სკოლებში დაიწყო მეაბრეშუმეობის შესწავლის საკითხები და ა. შ. ასე თუ ისე დარგს აღმავლობის ელფერი დაეტყო. მრავალი საუკუნის მანძილზე მეაბრეშუმეობა საქართველოში მოსახლეობის ერთ-ერთ ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა. ამასთან, ქართველ ვაჭრებს მაშინ ისეთ შორეულ ქვეყნებთან ჰქონდათ სავაჭრო ურთიერთობა, როგორიც იყო ეგვიპტე სამხრეთით და რუსეთი ჩრდილოეთით-საქართველოს საექსპორტო ვაჭრობის ერთ-ერთ საგანს საუცხოო ოქროქსოვილებიც-ფარჩა-აბრეშუმი შეადგენდა.

საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარებას XVIII საუკუნეში დიდად შეუწყო ხელი კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურმა, რომელიც დაარსდა 1887 წელს. სადგურს ჰქონდა ბიბლიოთეკა, მუზეუმი, თუთის საკოლექციო პლანტაცია, საფუტკრე. ყოველწლიურად გამოსცემდა ანგარიშებს, ჟურნალ „მოამბეს", შრომებს.

კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგურის ბაზაზე 1930 წელს ჩამოყალიბდა ამიერკავკასიის მეაბრეშუმეობისა და მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც დაექვემდებარა ქუთაისის, ერევნის, კიროვაბადის და პიატიგორსკის ზონალური საცდელი სადგურები.

ხსენებული ინსტიტუტი, 1936 წელს რეორგანიზებული იქნა თბილისის მეაბრეშუმეობის კვლევით ინსტიტუტად, ხოლო 1958 წელს მას ეწოდა საქართველოს მეაბრეშუმეობის სამეცნიერო–კვლევითი ინსტიტუტი, ხოლო ინსტიტუტის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტთან შეერთების შემდეგ იგი ჩამოყალიბდა სასწავლო და სამეცნიერო ორგანიზაციად და მას ეწოდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მეაბრეშუმეობის სასწავლო-კვლევითი ფაკულტეტი, რაც პირველი ნაბიჯები იყო მეცნიერებისა და სასწავლო პროცესის ერთ სტრუქტურაში გაერთიანების მიმართულებით.

განვლილ პერიოდში მეაბრეშუმეობაში მიღწეული წარმატებები განპირობებული იყო მეცნიერების, სპეციალისტების და მომსახურე პერსონალის თავდადებული შრომით. აღსანიშნავია, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში მეაბრეშუმეობის ფაკულტეტი მხოლოდ საქართველოსა და უზბეკეთში ფუნქციონირებდა.

მეაბრეშუმეოს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში 1983-2010 წლებში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგად, შემუშავებული იყო მრავალი აგრეტექნიკური ღონისძიება, გამოყვანილი და დარაიონებული–იყო თუთის ხის 25 ჯიში და თუთის აბრეშუმხვევიას 22 ჯიში (ჰიბრიდი), დაისტამბა სამეცნიერო შრომების 25 ტომი და 1100-ზე მეტი სტატია, მრავალი რეკომენდაცია, მეთოდური მითითება და სხვა სახის ლიტერატურა, გამომგონებელთა და აღმოჩენათა იმდროინდელი საკავშირო კომიტეტისაგან მიღებულია 46 საავტორო მოწმობა, წარმოება–დაწესებულებებისაგან 45-ზე მეტი

რაციონალიზატორული წინადადებების მოწმობა, დამოუკიდებელ საქართველოში მუშაობის პერიოდში კი მრავალი პატენტი, საავტორო მოწმობა და საერთაშორისო გამოფენის დიპლომი.

სპეციალურ საგნებში, გამოცემული იყო სახელმძღვანელოები, დიდი რაოდენობით მეთოდური და სხვა სახის სასწავლო ლიტერატურა, მომზადებული იყო 2200-მდე სწავლული მეაბრეშუმე აგრონომი (აგრონომ-ინჟინერი) დაცული იყო ათობით საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

აღნიშნულ პერიოდში განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ 1998 წელს აბრეშუმის ჭიის „მზიური – 1" და „მზიური – 2" ჯიშებიდან ამოხვეული ძაფით მიღებულმა ქსოვილმა ესპანეთში მოწყობილ გამოფენაზე ევროპის ხარისხის კომიტეტის უმაღლესი ჯილდო – „პლატინის ვარსკვლავი" დაიმსახურა.

აუცილებლად აღსანიშნავია, რომ ქართული აბრეშუმის აღიარებაა ის ფაქტიც, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის ბრძანებით (N02/31, 11. 06. 2018), არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ელემენტს „ქართული აბრეშუმი" მიენიჭა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი.

მეაბრეშუმეობის დარგის აღმავლობა და განსაკუთრებით მისი წარმოების მიღწევები იგრძნობოდა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან. ა. მ. 1923 წელს ამუშავდა სამტრედიის ძაფსაღები, ხოლო 1927 წელს წულუკიძისა და ქუთაისის ძაფსაღები ფაბრიკები; 1928 წელს დაიწყო პროდუქციის გამოშვება აბრეშუმის ძაფსაღებ – საგრეხ და თელავის ძაფსაღებ ფაბრიკებმა. 1929 წელს ამუშავდა თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა, ხოლო 1933 წელს-ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი.

1945-1946 წლებში მწყობრში ჩადგა აბრეშუმის ქსოვილების გამომყვანი წარმოება ქუთაისის აბრეშუმის კომბინატთან, სოხუმის, ცხაკაიას და კულაშის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკები.

გასული საუკუნის 60-იან წლებში „საქაბრეშუმის" სისტემაში ყოველწლიურად მზადდებოდა საშუალოდ: სამრეწველო გრენა-4,0-4,5 ტონა (სუპერელიტური-80,0 კგ), აბრეშუმის ცოცხალი პარკი-4,0-4,2 ათასი ტონა, აბრეშუმის ხამი ძაფი-450-500 ტონა, ნატურალური აბრეშუმის ქსოვილი-4,5-5,0 მილიონი მეტრი, მილიონობით ძირი ნერგი და სხვა პროდუქცია, რითაც წარმატებით ივსებოდა ყველა დონის ბიუჯეტი. ამასთან წარმატებით მუშაობდა მეაბრეშუმეობის 42 რაიონული პარკსაშრობი, 180-ზე მეტი პარკის პირველადი დამუშავების პუნქტი, დარგისთვის გამოყოფილი იყო 8400 ჰა თუთის პლანტაცია და მილიონ ძირზე მეტი ერთეული ნარგაობა.

სოფლის მეურნეობის სისტემაში დამზადებული ცოცხალი პარკის საფასურად მეაბრეშუმეები ყოველწლიურად ღებულობდნენ საშუალოდ 16,5-17,0 მოლიონ მანეთს და სოფელიც ღონიერი იყო. ამასთან სოფლად დასაქმებული იყო 100-120 ათასი ოჯახი, აბრეშუმის მრეწველობაში მუშაობდა 5,5-6,0 ათასი კაცი და თვით მეაბრეშუმეობის სამმართველოს სისტემაში სამეურნეო ანგარიშის პრინციპით მომუშავე დიდი კოლექტივი.

სამწუხაროდ, მე-20 საუკუნის შუა პერიოდში, როდესაც დარგი აღმავლობას განიცდიდა, გავრცელდა თუთის დაავადება „ფოთლის სიხუჭუჭე" (1964 წელი), განადგურდა 15 მილიონ ძირზე მეტი ჯიშიანი თუთის მცენარე და დარგში მეტად მნიშვნელოვანი პრობლემები შეიქმნა.

მე-20 საუკუნის 80-90 წლებში ქართველი მეცნიერების და დარგის ენტუზიასტების მიერ მეაბრეშუმეობა ისევ აგრძელებდა სიცოცხლეს, მაგრამ შედარებით მოკრძალებული მაჩვენებლებით.

1991 წლამდე მსუბუქი მრეწველობის დარგი ყოველწლიურად მოიხმარდა 1600 ტონა აბრეშუმის პარკს, 1991 წლის მონაცემებით საქართველოში აბრეშუმის ხამი ძაფი 385 ტონა იწარმოებოდა, აბრეშუმის ქსოვილი 4,7 მილიონი გრძივი მეტრი. ქ. ქუთაისში აგრეთვე ფუნქციონირებდა ყველაზე მსხვილი და მნიშვნელოვანი ობიექტი – აბრეშუმკომბინატი. კომბინატის წლიური პროდუქცია შეადგენდა 2,9-3,0 მილიონ მეტრ ქსოვილს.

ჩვენი გაანგარიშებით, სოფლის მოსახლეობამ პარკის წარმოების შემცირების მიზეზით გამოწვეული ზარალი ვერ აინაზღაურა (ვერც აინაზღაურებს) სხვა დარგებისგან მიღებული შემოსავლებით, რამაც მოსახლეობის მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა.

დარგის გადარჩენის მცდელობა იყო 1964-2014 წლებშიც, აღინიშნებოდა გარკვეული მიღწევებიც, მეცნიერების მიერ გამოყვანილი იქნა დაავადება გამძლე თუთის ჯიშები, თუთის აბრეშუმხვევიას ახალი ჯიშები და ჰიბრიდები, დამუშავდა მეაბრეშუმეობის შრომატევადი პროცესების ახალი რესურსდამზოგი ტექნოლოგიები და ტექნიკური საშუალებები და ა. შ., მაგრამ ამ პროცესებმა სათანადო განვითარება ვერ ჰპოვეს მრავალი ობიექტური და სუბიექტური მიზეზების გამო.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიამ, მეცნიერული სიღრმით გაანალიზა დარგში შექმნილი ქაოსური მდგომარეობა და შესაბამისად შეიქმნა მნიშვნელოვანი დოკუმენტები:

– საქართველოს მეაბრეშუმეობის განვითარების კონცეფცია 2012-2025 წლების პერიოდისათვის;

– დამუშავებულია დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების ორი საინვესტიციო პროექტი (ხონის და ვანის რაიონების მაგალითზე);

– აჭარის რეგიონისათვის დამუშავებულია აჭარის ა/რ მეაბრეშუმეობის განვითარების გრძელვადიანი პროგრამა 2018-2025 წლებისათვის;

– დამუშავებულია მეაბრეშუმეობის შრომატევადი პროცესების მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებები (ღეროებიდან ფოთოლგამცლელი და ფოთოლსაჭრელი მოწყობილობები, თუთის აბრეშუმხვევიას გამოსაკვები და პარკის ნაპერტყულისაგან საწმენდი მოწყობილობები, ნედლი პარკიდან ძაფის ამოსახვევი დანადგარი და ა. შ.).

აკადემიის ძალისხმევით მეაბრეშუმეობის აღორძინება-განვითარებას მიეძღვნა ოთხი მონოგრაფია გ. ნიკოლეიშვილის და ე. შაფაქიძის ავტორობით. და ათამდე რეკომენდაცია მეაბრეშუმეობის დარგის აღმავლობისათვის. მონოგრაფიებმა, დამხმარე ლიტერატურამ და სხვა რეკომენდაციებმა დიდი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობის გამო საერთაშორისო ასპარეზზე მოიპოვა აღიარება.

ზემოაღნიშნული და სხვა ლიტერატურის გამოცემით ერთგვარად შეივსო არსებული ვაკუუმი და შეიქმნა მეაბრეშუმეობის განვითარების სისტემა, რაც ხელს შეუწყობს მეაბრეშუმეობის დარგის რეაბილიტაციას და აღმავლობას. აგრეთვე თვალნათლივი ხდება მეაბრეშუმეთა დაინტერესება, სიცოცხლის ნიშნები დაეტყო ბიზნესსაც და თვალსაჩინო გახდა მეურნეობრიობის ახალი ფორმების მზარდი აღორძინებაც.

ამასთან, მეაბრეშუმეობა ისეა ფესვგადგმული ქართველი კაცის ყოფაში, რომ სახელმწიფოს მხრიდან მცირედი ხელშემწყობი პირობების შექმნის შემთხვევაშიც იგი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ქვეყნის ეკონომიკაში. მოცემულ ეტაპზე მეაბრეშუმეობის დამახასიათებელი მრავალი ეკონომიკურად სასარგებლო და ზოგიერთ შემთხვევაში შეუცვლელი თავისებურებების მიუხედავად შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მისი იმ დონით შენარჩუნებაზე, რაც უახლოეს მომავალში რეაბილიტაციის საშუალებას მოგვცემს.

დარგს აუცილებლად სჭირდება სახელმწიფო (საკანონმდებლო, ფინანსური, ბაზრების მოძიება და ა. შ.) მხარდაჭერა. უნდა შეიქმნას ხელსაყრელი გარემო, ინვესტიციების დაბანდების მიზნობრივი გამოყენებისათვის. ამასთან, ყურადღება გადატანილი უნდა იქნეს დარგის სოფლის მეურნეობის სისტემაში არსებულ პრობლემებზე.

ჩვენი შეხედულებით, განსხვავებით ადრინდელი წლებისაგან უნდა გაიზარდოს საექსპორტო გრენის (ყველაზე მომგებიანი სფერო მეაბრეშუმეობის სისტემაში) წარმოება.

**ელგუჯა შაფაქიძე**
**საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,**
**ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

# ამბების კრიალოსანი

### უთხოვარი – ტყის პატრიარქი

უთხოვრის (ურთხმელი) ტყეები მრავალი ათასი წლის წინ ფარავდა დედამიწის დიდ ნაწილს. შუა საუკუნეებში თითქმის მთლიანად განადგურდა ძვირფასი მერქნის გამო. უთხოვარი მარადმწვანე, წიწვოვანი მცენარეა, მიეკუთვნება იშვიათ სახეობათა რიცხვს და შეტანილია „წითელ წიგნში".

უთხოვრის ყველაზე დიდი კორომი 270 ჰექტარზე მეტი, რელიქტური (რელიქტები – ლათინურიდან ნარჩენი, ნაშთი) ტყის სახით, მსოფლიოში შემორჩენილია მხოლოდ საქართველოში, მდინარე ალაზნის სათავეებში, ზღვის დონიდან 1000-1200 მ. სიმაღლეზე. უთხოვარი ერთადერთია წიწვიან ხეებს შორის, რომელიც გირჩებს არ ივითარებს; იზრდება ძალიან ნელა, მაგრამ ხასიათდება დიდი სიცოცხლის ხანგრძლივობით. ამ ტყის უხნესი ეგზემპლარი 2000 წელს ითვლის. უთხოვარი ცოცხლობს 4000 წლამდე.

სხვადასხვა ხალხების კულტურაში უთხოვარი სიკვდილის სიმბოლოა. მცენარის ყველა ნაწილი (ქერქი, მერქანი, ყლორტები, წიწვები) შხამიანია, თუმცა უთხოვრის წითელი, ჟელეს მაგვარი კენკრისებური ნაყოფი უვნებელია და საკვებად ვარგისი.

უთხოვრის, იგივე წითელი ხის ძვირფასი, მძიმე, მკვრივი, მყარი და მტკიცე, ამავდროულად ელასტიური მერქანი ფაქტობრივად არა ლპება. ძველი ეგვიპტელები ფარაონებს უთხოვრისაგან გამოთლილ სარკოფაგებში ასვენებდნენ.

ლეგენდების თანახმად, ევროპისა და აზიის ქვეყნებში, შუა საუკუნეებში მტრებს ღვინოს უთხოვრის ფიალებით ასმევდნენ – სასმელში უთხოვრის შხამები სწრაფად იხსნებოდა და მტერს ასე იოლად იცილებდნენ.

სხვა ქვეყნებში უთხოვარი თუ სიკვდილისა და უბედურების სიმბოლოა, საქართველოში მას წმინდა ხედ მიიჩნევენ. მარადიულობის და აღორძინებადი სასიცოცხლო ძალის სიმბოლო ტრადიციული რიტუალების აუცილებელი ატრიბუტია. უთხოვრის სწორედ ძელებს და ოჯახის კეთილდღეობას, ბედნიერებას, ავი თვალისგან დაცვას ევედრებოდნენ.

### ტყე შეუნახე შვილებს

ტყე – ერთი მხრივ ბიოსფეროს ძირითადი მაცოცხლებელი ელემენტია, მეორე მხრივ ძვირფასი ნედლეულის, მერქნის წყარო. მსოფლიოში არსებობს 30 000-მდე მერქნიან მცენარეთა სახეობა, რომელთაგან მხოლოდ 5000 სახეობას აქვს სამრეწველო გამოყენება.

ერთი ტონა ქაღალდის მისაღებად საჭიროა 4 კუბური მეტრი მერქანი, 70 კილოგრამი გოგირდის კოლჩედანი, 40 კილოგრამი კირქვა, 150 კუბური მეტრი წყალი და 1300 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ქაღალდის წინამორბედები იყვნენ თიხის ფირფიტები შუმერში, პაპირუსი ეგვიპტეში, პერგამენტი ძველ საბერძნეთში, ბრინჯაო და ტყავი ძველ რომში, სანთლის ფენით დაფარული ხის ფირფიტები შუა საუკუნეების ევროპაში და სხვა.

დღეისათვის ქაღალდის დასამზადებლად იხარჯება მილიონობით კუბური მეტრი მერქანი. პირველი გაზეთი „მერცხი" ქაღალდზე დაიბეჭდა 1845 წელს.

### ბუნების საჩუქარი

კაცობრიობის განვითარების ისტორიაში დაწყებული პირველყოფილი მდგომარეობიდან თანამედროვე ინდუსტრიულ ხანამდე, ყველაზე დიდი როლი ითამაშა ხე-ტყემ, ხის მერქანმა, ვიდრე სხვა რომელიმე მასალამ. მერქანი წარმოადგენს უძველეს მასალას, რომელსაც ადამიანი იყენებდა სხვადასხვა მიზნისთვის. ადამიანის პირველი სამუშაო, სანადირო თუ საბრძოლო იარაღიც ხომ ხის ჯოხი იყო.

უძველესი დროიდან ხე-ტყის ფართო გამოყენებას ხელი შეუწყო მისმა შედარებით იოლმა მოპოვებამ და დამუშავებამ. საუკუნეთა მანძილზე ადამიანს ხიბლავდა მერქნის საოცარი ფერი და ძვირფასი ტექსტურა (ტექსტურა – ხის აგებულების თავისებურებები).

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ თითოეულ ადამიანს მთელი სიცოცხლის განმავლობაში საშუალო ასაკის 400-მდე ძირი ხე სჭირდება. აქ ნაგულისხმევია არა მარტო ბინა და ავეჯი, არამედ შეშა, ასანთი, ქაღალდი და სხვა საგნები, რომლებსაც ადამიანი ყოველდღიურად იყენებს.

**მოამზადა**
**ოთარ დავითაშვილმა**

# არაფორმარული განათლების გარეშე მომავალი თაობა სრულყოფილ ცოდნას ვერ მიიღებს

ყვარლის მეორე საჯარო სკოლაში ჩატარდა მოსწავლეთა სასკოლო კონფერენცია თემაზე – არაფორმარული განათლების შესახებ (ხელმძღვანელი ისტორიის პედაგოგი, ქალბატონი თინათინ ნაზრიშვილი).

კონფერენციაში მონაწილეობდნენ მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლეები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა თინათინ ნაზრიშვილმა და ვრცლად ისაუბრა არაფორმარული განათლების მნიშვნელობაზე. კერძოდ, ქალბატონმა თინამ აღნიშნა, რომ აფარომარული განათლება არ არის ოფიციალური სასწავლო პროგრამის ნაწილი, მაგრამ ბავშვებში უნარ-ჩვევების, ცხოვრებისათვის აუცილებელი ღირებულებების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

სადღეისო მოთხოვნების გათვალისწინებით საჭირო ხდება ბავშვებს შეეძლოთ დებატებში მონაწილეობა, თანამშრომლობა, გუნდურობა, კომუნიკაცია ადამიანებთან. ერთი სიტყვით საჭიროა ისეთი უნარ–ჩვევების ათვისება, რომელიც ყველანაირ სიტუაციაში გამოადგებათ.



არაფორმარული განათლება არის რეალური შედეგების მომტანი ბავშვებისათვის, რომლის მეშვეობით ხდებიან საკუთარ თავში დარწმუნებულები და თავს გრძნობენ რეალიზებულად. იგი გათვლილია ბავშვების ცოდნის გაღრმავებისა და განვითარების ხელშეწყობაზე.

ქალბატონი თინას გამოსვლის შემდეგ არაფორმარულ განათლებაზე საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინეს მოსწავლეებმა.

ვალერი ტოჩილაშვილი – წარსულში განათლებას მუდმივად უკავშირებდნენ სკოლას და უნივერსიტეტს, მაგრამ ბოლო 50 წლის განმავლობაში საზოგადოების ცნობიერება სწავლების (განათლების) შესახებ უფრო გაფართოვდა და მოხდა აღიარება, რომ სწავლა შეიძლება მიმდინარეობდეს ადამიანის სიცოცხლის მანძილზე. სკოლის გარეთ, ნებისმიერ გარემოში პოპულარული გახდა არაფორმარული განათლება და სადღეისოდ ფორმარული განათლების ალტერნატივად მიიჩნევენ. იგი გვასწავლის და საშუალებას გვაძლევს უფრო აქტიურად ჩავერთოთ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და უკეთესობისაკენ შევცვალოთ არსებული ვითარება.

ნათია ნემსაძე – ყვარლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ხელმძღვანელი – შევეცდები წარმოვადგინო ჩვენი გუნდის როლი არაფორმარულ განათლებაში.

პირველ რიგში მოსწავლეთა თვითმმართველობა არის მოსწავლეთა არჩევითი ორგანო, რომელიც სკოლის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. დაკომპლექტებულია საბაზისო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისაგან, რომლებიც ირჩევიან ფარული კენჭისყრით, ანუ არჩევნებით. ხელმძღვანელობს თავმჯდომარე. მნიშვნელოვანია მასწავლებლის ჩართულობა, რომელმაც უნდა მოგვცეს მიმართულება. ჩვენს სკოლაში ეს როლი შეითავსა ქალბატონმა თინა ნაზრიშვილმა და გასულ სასწავლო წელს რამდენიმე წარმატებული ღონისძიება ჩავატარეთ, რაშიც ხელს გვიწყობდა დირექცია, ურთიერთპატივისცემა და თანამშრომლობითი გარემო.

თვითმმართველობის ძირითადი მიზნებია სკოლის ფუნქციონირების ხელშეწყობა, მმართველობით საკითხებში მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა, მათი პრობლემებისა და სურვილების განხილვა, საკანონმდებლო და სპორტული აქტივობების ორგანიზება, მოსწავლის უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში ხელშეწყობა.

ჩვენი გუნდი ერთხმად შეთანხმდა იმაზე, რომ პირველი აქტივობა უნდა ყოფილიყო გასართობი და საინტერესო იმისთვის, რომ სასწავლო წელი გაგრძელებულიყო პოზიტიურად და ხმათა უმრავლესობით გადაწყდა მელომანის ჩატარება. ეს მუსიკალური თამაშია, სადაც მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და ირჩევენ კაპიტანს, რომელიც აფიქსირებს პასუხს. გართობასთან ერთად სწავლობენ გუნდურობას და სწრაფ აზროვნებას.

მეორე ღონისძიებისთვის გაერთიანდა თვითმმართველობა და სკოლის სამოქალაქო კლუბი, რომლის ხელმძღვანელიც გახლავთ ქალბატონი ელისო ბუშელაშვილი. ღონისძიება მივუძღვენით დავით აღმაშენებელს. წარმოვადგინეთ პრეზენტაციები, ვუყურეთ ფილმს, რომელიც აღმაშენებლის ბრწყინვალე გამარჯვებაზე იყო და მისი დასრულების შემდეგ გავმართეთ მსჯელობა და აზრთა გაზიარება.

მესამე აქტივობად შევარჩიეთ ფილმის ჩვენება, ვუყურეთ „თავისუფლების მწერლებს". ფილმში გადაღებულია ამბავი მასწავლებელზე, რომელიც მუშაობას იწყებს სკოლაში, სადაც ძნელად აღსაზრდელი, კრიმინალისკენ მიდრეკილი ბავშვები სწავლობენ. უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, მასწავლებელმა ნათელი გახადა ბავშვების საჭიროებები და გაერკვა მათ პრობლემებში. დაანახა რასიზმის შედეგად წარმოქმნილი აგრესიის შედეგები, დაეხმარა პროფესიის არჩევაში, მომავლის დაგეგმვაში, მიზნების დასახვაში.

ახალგაზრდებმა სხვანაირად დაიწყეს ფიქრი და ცხოვრების შეცვლა გადაწყვიტეს. ფილმი გვაძლევს ჩვენი ცხოვრების კარგისკენ შეცვლის მოტივაციასა და იმის იმედს, რომ ერთ დღესაც ყველაზე ბნელი ოთახიც შეიძლება მოიცვას ნათელმა.

რა თქმა უნდა, წელსაც ვაპირებთ ჩვენი საქმის გაგრძელებას. ვგეგმავთ გრემში არსებულ საზოგადოება და საწარმო „თემში" სტუმრობას, უამრავ ინფორმაციულ და სპორტულ ღონისძიებას. ასევე ჩართული ვართ USAID პროგრამაში, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ განვახორციელოთ სკოლის საჭიროებებზე მორგებული პროექტები.

ისევ ვაგრძელებთ თანამშრომლობას მეტი შემართებითა და იდეით.

ჩვენს სკოლაში დიდი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას და მრავალი ასეთი სახის პროექტი განხორციელებულა წარმატებით. დღეს წარმოგიდგენთ რამდენიმეს.

1. ამ სკოლის მოსწავლეებმა რამდენიმე წლის წინ, იქიდან გამომდინარე, რომ სააქტო დარბაზში იყო სკამების დეფიციტი, დაისახეს მიზნად, რომ სააქტო დარბაზი აღეჭურვათ შესაბამისი ინვენტარით. სამოქალაქო განათლების მასწავლებლის დახმარებით შეადგინეს პროექტი, დაამუშავეს, განიხილეს და წარმოადგინეს დონორთან „Socar gas Georgia-ს" გენერალურ დირექტორთან, მიხეილ სამხარაულთან, რის შემდეგაც დააფინანსეს პროექტი და 100 სკამი შეუძინეს სკოლას. ამავე პროექტის ფარგლებში მოხდა მერიის მხრიდან სააქტო დარბაზის რესტავრაცია.

2023 წლის 8 ივნისს... ბიზნეს ფორუმზე, რომელიც კახეთში გაიმართა, სხვადასხვა სკოლამ ადგილობრივ კერძო სექტორს 14 პროექტი წარუდგინა, რომელიც სოციალურ გარემოს დაცვით თემებს ეხებოდა. ერთ-ერთი პროექტი წარვადგინეთ ჩვენც, რომლის სახელწოდებაა „სუფთა წყალი ჩვენს სკოლას". ვისაუბრეთ ჩვენს პროექტზე დონორებთან, განვიხილეთ თუ რაოდენ საჭიროა ადამიანისთვის სუფთა წყალი და რა საფრთხის წინაშე დგებიან მოსწავლეები, რომლებიც წყლის საყიდლად სკოლის მიმდებარე სავაჭრო ობიექტებში გადიან. რის შემდეგაც გავიმარჯვეთ და იგივე პროექტი წარვადგინეთ ჩვენს დონორ კომპანიასთან. მან დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნები და სკოლას სამი წყლის დისპენსერი შეუძინა, რომელიც სკოლის თითო სართულზე განთავსდა.

2023 წლის 20 ივნისს USAID-მა კახეთის მასშტაბით 56 სკოლასთან სამოქალაქო განათლების მიმართულებით ითანამშრომლა და განვლილი აკადემიური წელი შეაჯამა. შეხვედრა ჩატარდა თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც ესწრებოდა სამოქალაქო განათლების მასწავლებელი და რამდენიმე მოსწავლე. სულ 120 პროექტი განხორციელდა. მსგავსი ინიციატივები ხელს უწყობს მოსწავლეებში აქტიური მოქმედების წახალისებას და მათ წინაშე მდგარი გამოწვევების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ეს გამოცდილება ასევე მატებს ახალგაზრდებს თავდაჯერებას და ხელს უწყობს მათში ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებას.

კონფერენციაზე არაფორმალური განათლების მნიშვნელობაზე ვრცლად ილაპარაკა ყვარლის რესურსცენტრის ხელმძღვანელმა, ქალბატონმა ქეთევან ჭიპაშვილმა და ხაზგასმით მიანიშნა, რომ თუ მოსწავლეს ფორმარული განათლება არ გააჩნია, ის მხოლოდ არაფორმარული განათლებით ვერ დაძლევს თანამედროვე ცხოვრებით წარმოქმნილ პრობლემებს.

კონფერენციას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა ყვარლის მე-2 საჯარო სკოლის დირექტორმა, ქალბატონმა ლეილა ქოჩორაშვილმა.

**ალექსანდრე გიგილოშვილი**



## სპორტულ ასპარეზობებზე

# „დურუჯი" კახეთის რეგიონის ჩემპიონია



მიმდინარე წელს კახეთის პირველობა ფეხბურთში ორ ეტაპად, გაზაფხულზე და შემოდგომაზე ჩატარდა, სადაც მონაწილეობას იღებდა ყვარლის საფეხბურთო სკოლის გუნდი ნორჩი „დურუჯელები".

„დურუჯმა" დაამარცხა საგარეჯოს, ახმეტის თელავის, ლაგოდეხის, სიღნაღის, გურჯაანის, ტიბაანის, ლელიანის ნაკრები გუნდები ორივე წრეში და პირველი ადგილი დაიკავა მაქსიმალური ქულებით და გახდნენ კახეთის რეგიონის ჩემპიონები.

„დურუჯის" ღირსებას იცავდნენ: ირაკლი ღუჭაშვილი, ნიკოლოზ გელაძე, ირაკლი გელაძე, გიორგი ქოჩორაშვილი, გიორგი წყალობაშვილი, ზურა ლურსმანაშვილი, ნიკოლოზ წიწრიაშვილი, იასე უძილაური, ნიკა სოლომნიშვილი, სოსო ფუტკარაძე, გიორგი კოკორაშვილი, თემურ ზაუტაშვილი, ლაშაგიორგი ღვინიაშვილი, იბრაგიმ ისაევი, მაგამედ მაგამედოვი, ომიკო მახათაძე, გიორგი იაკობაშვილი, ნიკა ტურაშვილი, ნიკა მამულაშვილი, ოთო მახათაძე, ერეკლე ფერიაშვილი, რეზო მათიკაშვილი, ახმედ მაგამედოვი, გიორგი გეზელიშვილი.

აღსანიშნავია, რომ „დურუჯის" ფეხბურთელებიდან კახეთის პირველობის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს ირაკლი ღუჭაშვილი, საუკეთესო მცველად – ნიკოლოზ გელაძე, საუკეთესო მეკარედ – თემურ ზაუტაშვილი, საუკეთესო თავდამსხმელად იბრაგიმ ისაევი და საუკეთესო ნახევარმცველად – მაგამედ მაგამედოვი. გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ შესაბამისი პრიზებით.

„დურუჯის" წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს ივანე უსეინაშვილს, დავით ბაიდოშვილს და ზურაბ ზათიაშვილს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერმა, გივი ზაუტაშვილმა გამარჯვებულ ფეხბურთელებს სიგელები, მედლები და თასი გადასცა.

დაჯილდოების ცერემონიალს ესწრებოდნენ ყვარლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ზურაბ ნემსაძე, მწვრთნელები ივანე უსეინაშვილი და დავით ბაიდოშვილი.



# კიკბოქსინგი

15-17 დეკემბერს, ქალაქ ქუთაისში ჩატარდა საქართველოს ჩემპიონატი კიკბოქსინგში.

წატმატებით იასპარეზა ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელმა გიორგი ჭოტორიშვილმა, რომელმაც 41 კილოგრამ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაამარცხა და ღირსეულად მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონის ტიტული (მწვრთნელი ზაქრო ხეჩიაშვილი).



# ძიუდო

2 დეკემბერს თბილისში ჩატარდა საერთაშორისო ტურნირი ძიუდოში 2010-2012 წლებში დაბადებულ ვაჟებსა და გოგონებს შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის გოგონებმა.

48 კილოგრამ წონით კატეგორიაში თათია გიგილაშვილმა, ხოლო 63 კილოგრამ წონით კატეგორიაში მაგდა ხოსროშვილმა, ტოლი არ დაუდეს მათზე გამოცდილ მეტოქეებს და ღირსეულად დაეუფლნენ ბრინჯაოს მედლებს (მწვრთნელი: ვანო გიგილაშვილი).



# კარატისტებმა გვასახელეს



25 ნოემბერს თბილისში,ძიუდოს აკადემიაში გამართულ საქართველოს ღია პირველობაზე კონტაქტურ კარატეში, დამწყებ კარატისტებს შორის, კლუბი „ყვარელი“ წარსდგა ითხი სპორტსმენით.

ჩვენმა კარატისტებმა გვასახელეს და ოთხივე სპორტსმენმა მოიპოვეს მედლები:

ბარბარე დოლმაზაშვილი – ოქროს მედალი.

გიორგი ზაუტაშვილი – ვერცხლის მედალი.

ვაჩე ჩიხრაძე – ბრინჯაო.

ლიკა ნაცვლიშვილი – ბრინჯაო.

ვულოცავთ ჩვენს კარატისტებს დამსახურებულ გამარჯვებას და მომავალში წარმატებებს ვუსურვებთ.

# თავისუფალი ჭიდაობა



ქ. რუსთავში ჩატარდა სოსო მინდიაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც წარმატებით გამოვიდნენ ყვარლის სასპორტო სკოლის აღსაზრდელები სოფელ ჩანტლისყურიდან.

ტურნირის ჩემპიონი გახდა რენად ჯაბრაილოვი 38 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მეორე ადგილზე გავიდნენ ნაჟმუდინ საიდოვი 26 კილოგრამი და აბაქარ აბაქაროვი 32 კილოგრამ წონით კატეგორიაში. მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს: შახრუდინ მაგამედოვმა 23 კილოგრამ წონით კატეგორიაში, საიდ საიდოვმა – 29 კილოგრამ წონით კატეგორიაში და მაგამედ მაგამედოვმა 41 კილოგრამ წონით კატეგორიაში (მწვრთნელი რაშიდ მაგამედოვი).




* * *

მიმდინარე წლის 10-14 დეკემბერს ქალაქ ბათუმში ჩატარდა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში, სადაც შესანიშნავად იასპარეზეს ყვარლის სასპორტო სკოლის აღზრდილებმა რობერტ დინგაშვილმა 57 კილოგრამ წონით კატეგორიაში და გიორგი ღონიაშვილმა 61 კილოგრამ წონით კატეგორიაში.

მათ თავიანთ წონით კატეგორიაში ყველა მეტოქე დაამარცხეს და ქვეყნის ჩემპიონატის ტიტულთან ერთად ღირსეულად დაიმკვიდრეს ადგილი საქართველოს ნაკრების შემადგენლობაში.

რობერტ დინგაშვილი ვანო ჭანტურიძის და გივი მეტრეველის აღზრდილია, ხოლო გიორგი ღონიაშვილის მწვრთნელია მალხაზ როზომაშვილი.

სასპორტო სკოლა ულოცავს მათ გამარჯვებას და წარმატებას უსურვებს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე.



*ერთი წლის წინ, ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ ზინობიანში, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა. მოასფალტდა შიდასაუბნო გზები და გაიხსნა მრავალფუნქციური ეთნო-კულტურული ცენტრი, რაც სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრებისთვის წინგადადგმული ნაბიჯია.*

*ამასთან დაკავშირებით, ჩვენი გაზეთის სტუმარია, ზინობიანის ეთნო-კულტურული ცენტრის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტ ალტებრიჯის მაგისტრატურის სტუდენტი საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით და ორგანიზაცია „საქართველოს უდიების“ თანადამფუძნებელი ანა აივაზაშვილი.*



# ზინობიანში გაჩნდა შესაძლებლობა რომ სოფელი გაძლიერდეს და განვითარდეს

***– ანა, უკვე ერთი წელი გახდა, რაც ზინობიანში ეთნო-კულტურული ცენტრი გაიხსნა. აქ, ერთიან კომპლექსში განთავსდა სხვადსხვა სივრცეები. მოგვიყევი ამ კომპლექსის შესახებ...***

– დიახ, თითქმის ერთი წელია, რაც გაიხსნა ზინობიანის უდიური ეთნო-კულტურული ცენტრი,რომელიც ერთ კომპლექსში აერთიანებს უდიურ ეთნოგრაფიულ მუზეუმს, საგამოფენო სივრცეს და ბიბლიოთეკას. საგამოფენო სივრცე და მუზეუმი ორი დამოუკიდებელი სივრცეა, რომელიც ამავდროულად ერთმანეთის ნაწილია. საგამოფენო სივრცეში განლაგებულია ფოტომასალა უდიური თემის ცხოვრების ამსახველი – ზინობიანის დაარსებიდან დღემდე. ეს ფოტომასალა შეგროვებული და გაციფრულებულია საოჯახო ფოტოალბომებიდან, რათქმაუნდა ამ ოჯახების ნებართვით. მუზეუმის ნაწილში არის უკვე კავკასიის ალბანეთის და უდიური თემის შესახებ ეთნოგრაფიული ნიმუშები, ის ნივთები, რომლებიც გადმოსახლების დროს თან წამოიღო ჩვენმა ხალხმა. ასევე, აქ დამზადებული ნივთები, რომლებიც მათ მიერ დაარსებულ ქარხნებში იწარმოებოდა. სამწუხაროდ ამ ეტაპზე არც ერთი ქარხანა აღარ ფუნქციონირებს. მუზეუმში გამოყოფილია ზინობი სილიკაშვილის კუთხე, რომლის სახელსაც ატარებს თავად სოფელი.

ზინობიანის დაარსებიდან, არსებობდა ბიბლიოთეკა, სკოლა... ჯერ კიდევ დაწყებით კლასებში ვსწავლობდი როდესაც გამქონდა წიგნები ბიბლიოთეკიდან. ჯერ ზღაპრების, თუმცა სხვა ვერც მოვასწარი, რადგან სამწუხაროდ ბიბლიოთეკა, რომელიც მრავალი წელი არსებობდა ზინობიანში, დაიკეტა. ბიბლიოთეკის შენობა ძალიან იყო დაზიანებული და არსებული წიგნების საცავი დროთა განმავლობაში განადგურდა. საბედნიეროდ, ამ წლის აპრილის თვიდან უკვე ყველას აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს ბიბლიოთეკით. ეთნო-კულტურული სივრცე არ არის მარტო ბიბლიოთეკა და მუზეუმი. ერთერთმა ადგილობრივმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა საგრანტო კონკურში, სადაც გაიმარჯვა და ამ პროექტის ფარგლებში საგამოფენო სივრცეში შაბათ დღეს ეწყობა ფილმების ჩვენება, ტარდება ტრენინგები და სხვადასხვა აქტივობები.

***– როგორ განხორციელდა ეს პროექტი, ვინ იყვნენ ჩართულნი და რა გაკეთდა კონკრეტულად?***

– პროექტი, რომლის მეშვეობითაც გაიხსნა ზინობიანის ეთნო-კულტურული სივრცე ევროკავშირის მხარდაჭერით, ყვარლის მუნიციპალიტეტის ჩართულობით და ინტეგრირებული რეგიონული განვითარების საპილოტე პროგრამის (PIRDP) მეშვეობით განხორციელდა.

***– რამდენად შეუწყო ხელი ამ პროექტმა სოფლის მოსახლეობას, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ?***

– კონკრეტულად, ამ კომპლექსში დასაქმებულია რამდენიმე ადამიანი, რომელთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესობისაკენ შეიცვალა. ასევე, ამ სივრცის არსებობა არაპირდაპირ ეხმარება ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლებსაც.

***– გყავთ თუ არა ვიზიტორები. რამდენად საინტერესო და მოთხოვნადი გახდა ზინობიანი ტურისტული თვალსაზრისით?***

– ზინობიანი ტურისტული თვალსაზრისით იმ ადამიანებითვის აქამდეც იყო ცნობილი ვინც იცოდა უდიების შესახებ. კერძოდ, ენათმეცნიერები, ლინგვისტები, ისტორიკოსები თუ უბრალოდ დაინტერესებული ადამიანები, თუმცა არ იყო შესაბამისი რესურსი მათ მისაღებად. დღეის მდგომარეობით, უკვე ბევრად მეტმა ადამიანმა გაიგო უდიების შესახებ. ეს განაპირობა აქამდე გაწეულმა კამპანიებმა ცნობადობის ამაღლების მიზნით. არსებულმა სივრცემ შესაძლებლობა მოგვცა მათი მიღებისა და მასპინძლობის.

ახლა, ბევრად მეტი ვიზიტორი სტუმრობს ზინობიანს. ჩვენც შესაძლებლობა გვაქვს ადგილზე არსებული რესურსით უკეთ მოვუყვეთ და გავაცნოდ უდიების ისტორია, კულტურა, ტრადიციები...

***– კიდევ ერთხელ რომ გაიხსენო – როგორ დაიწყო ეს კამპანია?***

– სულ თავიდან თუ გავიხსენებ როგორ დავიწყე, ეს იყო ერთი მშვენიერი დღე, ზღაპრები რომ იწყება ისე... ლაშქრობაზე მივდიოდი ჩემ ლექტორთან ერთად. საუბარში ვახსენე, რომ ვიყავი ზინობიანიდან და ვიყავი უდი. მაშინ, ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ადამიანმა იცოდა უდიების შესახებ და ამ ცოტა ადამიანში შედიოდა ჩემი ლექტორი თინა, რომელიც დაინტერესდა ჩვენი სოფლის ისტორიით და დღევანდელობით... მინდა ავღნიშნო, რომ იმდენი მოახერხა, სადიპლომო თემა შემაცვლევინა და ბოლოს ჩემი სადიპლომო ნამუშევარი ეხებოდა ზინობიანის ტურისტულ განვითარებას. რეალურად, ეს დღე იყო გადამწყვეტი, როდესაც დავიწყე ამ მიმართულებით გამეგრძელებინა მუშაობა. მეგობრებთან ერთად ვფიქრობდი, რა შეიძლებოდა შეგვეცვალა ზინობიანში. პირველი, რასაც ვფიქრობდით, ეს იყო ბიბლიოთეკის აღდგენა. თუმცა, ისე მოხდა, რომ ზინობი სილიკაშვილის ბიუსტის დადგმა უფრო ადრე მოვახერხეთ. ამას წინ უძღოდა ორგანიზაცია „საქართველოს უდიები“ – ს დაარსება. ეს პროექტიც ამ პერიოდში გამოჩნდა, რამაც ზინობიანის განვითარებისთვის გადამწყვეტი როლი შეასრულა. კამპანიის დაწყებიდანვე, ზინობიანში მცხოვრები მოსახლეობა გვერდით გვედგა, ძალიან ბევრმა ქართველმა და არამარტო მათ, გამოთქვეს დახმარების სურვილი. სწორედ ასე შევძელით ზინობი სილიკაშვილის ბიუსტის დადგმა. უნდა ითქვას, რომ დღესაც გრძელდება ეს დახმარება და მხარდაჭერა.

***– ანა მოგვიყევი ორგანიზაცია „საქართველოს უდიების“ საქმიანობის შესახებ?***

– ეს არის სათემო ორგანიზაცია, რომელიც შეიქმნა 2021 წელს. ორგანიზაციის მიზანია უდიური თემის პრობლემების ადვოკატირება, სოფლის განვითარებისთვის საჭირო პროექტების ორგანიზება და განხორციელება, უდიური თემის შესახებ ცნობადობის ამაღლება, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობების წარმოება და სხვა მრავალი აქტივობა, რომელიც ზინობიანის განვითარებაზე იქნება ორიენტირებული.

ორგანიზაციამ საქმიანობა ისტორიული მეხსიერების აღდგენით დაიწყო, შესაბამისად პირველი საქმიანობა თემის თვითორგანიზებას შეეხებოდა.

ამასთან ერთად გვაქვს პროექტები, მაგალითად, როგორიც არის მეწარმე ქალებისთვის ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა ფინანსურ და საგანმანათლებლო რესურსებზე, რაც ხელს შეუწყობს მათი წარმოების გაფართოებას/განვითარებას, და ახალი ბიზნესის წამოწყებას.

***– უახლოესი გეგმები.***

– შევძლო მეტი ადამიანისთვის უდიების გაცნობა, სოფლის განვითარებაში მონაწილეობა და ტურისტულად უფრო აქტიურ სივრცედ ქცევა.

***– შორეულ პერსპექტივაში როგორი გესახება შენი სოფელი?***

– ცოცხალი...

სახლების თითქმის ნახევარი დაკეტილია, ზოგან ზაფხულობით თუ ჩამოდის ხალხი, ზოგშიც წლებია არავინ ყოფილა. ახლა, ზინობიანში გაჩნდა შესაძლებლობა რომ სოფელი გაძლიერდეს და განვითარდეს. უკვე ფუნქციონირებს საოჯახო ტიპის სასტუმრო, რომელიც საინტერესოა იმითაც, რომ არსებობს აპი თერაპიის კოტეჯი (ფუტკრის თერაპია). კიდევ ერთი სასტუმრო გაიხსნება უახლოეს პერიოდში, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ზინობიანს აქვს საკმარისი ტურისტული პოტენციალი და ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა. ეს პოტენციალი მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული, რადგან ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივების დასაქმებას, მათ ეკონომიკურ გაძლიერებას და შესაძლებლობას მისცემს აქედან წასულ ადამიანებს სოფელს დაუბრუნდნენ.

***– ანა მინდა მოგილოცოთ ზინობიანს და მის მოსახლეობას დამდეგი შობა-ახალი წელი. გისურვოთ სოფლის აღორძინება და თქვენი იდეების განხორციელება. სიკეთის და ბედნიერების წელი გქონდეთ სრულიად საქართველოსთან ერთად!***

– ასევე გილოცავთ და ვულოცავ ქართველ ხალხს. მრავალ ახალ წელს!

**ესაუბრა**
**ია გიგიაშვილი**

# ხელბურთი

პლიაჟის (ქვიშის) ხელბურთის მიმდინარე წლის ქვეყნის ჩემპიონატში ყვარლის სასპორტო სკოლის ქალთა ნაკრებმა გუნდმა ზედიზედ მეცხრედ მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის ოქროს მედლები.

აღსანიშნავია, რომ ყვარლის სასპორტო სკოლის ქალთა ნაკრები გუნდი შვიდგზის საქართველოს ჩემპიონია კლასიკურ ხელბურთშიც და წელსაც მოქმედი ჩემპიონია.

ყვარლის მუნიციპალიტეტის მერია და სასპორტო სკოლის დირექცია მადლობას უხდის სპორტსმენებსა და მწვრთნელებს ზურაბ ხარებაშვილს და გოჩა ღონიაშვილს მიღწეული შედეგებისათვის და წარმატებებს შემდგომში სპორტულ ასპარეზობებში და პირად ცხოვრებაში.

**სპორტულ ასპარეზობებზე ინფორმაციები მოამზადა**
**ალექსანდრე გიგილოშვილმა**



გაზეთიხელმძღვანელობსთავისუფალიპრესისპრინციპით.დამფუძნებელიაყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო გამომცემელი შპს „მედია ცენტრი“.
გაზეთში გამოქვეყნებული წერილების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს მასალაში მოტანილი ფაქტების, არგუმენტებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. შემოსული წერილები ავტორებს არ უბრუნდებათ.

დირექტორი
ალექსანდრე გიგილოშვილი
მოადგილე
ნუგზარ ღონიაშვილი

პასუხისმგებელი მდივანი
ია გიგიაშვილი
კორესპონდენტი
დალი ტატულიშვილი

რედაქციის მისამართი:
ქ. ყვარელი, კუდიგორის №2
საკონტაქტო ტელეფონი:
22-01-86